ჯეირანი

2 2023

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 65-ე წელი | მარტი-აპრილი | №2 | 2023 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2023

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ცისანა ანთაძე – ლექსები 3
ზაირა ქაჯაია – მოთხრობები 13
მელანო ზუკაკიშვილი – ლექსები 40
ქრისტინე ჩიხლაძე – საკურორტო რომანი (მოთხრობა) 57
მარი თაბაგარი – ლექსები 62
ირაკლი გაბრიჩიძე – საათი (მოთხრობა) 71
ინგა ფევაძე – ნენეს ოდის ამბები 75
თამარ ჟოჟაძე – ლექსები 81

თარგმანი

თერძი; კარლ ვილჰელმ რამლერი; ქრისტიან აუგუსტ ფიშერი; ფრიდრიხ ადოლფ კრუმმახერი – იგავები (გერმანულიდან თარგმნა **გიორგი ვარამაშვილმა**) ... 84

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ გვენეტაძე – ქართული თემატიკა არტურ ზუტნერის შემოქმედებაში 93

ისტორია

ალექსანდრე ჩხაიძე – ბათუმის ეპოპეა 106

რეცენზია

თინა შიოშვილი, ნინო თურმანიძე – საზღვრისპირა სოფლის ტკივილი
დავით თედორაძის შემოქმედებაში 115

ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲐᲜᲗᲐᲫᲔ

ᲘᲛᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ

სამყარო შედგა პლიუს-მინუსით,
სული სწრაფი აქვს, სუნთქვა სულ ნელი...
მამრის სარეცელს მამრის სუნი აქვს,
ქალის სარეცელს – ქალის სურნელი.

ქარის სუნთქვაა, ცას რომ ზნეს უშლის,
პულსი ჩქარი აქვს, ქროლვა – უცვლელი,
მან არ დატოვა ზეცისქვეშეთში
გადაუშლელი ერთი ფურცელიც,

ვჭვრეტ დედამიწას, როგორც მუმიას,
ვხედავ, გასვლია ვადა ბალზამის,
გამოცალკევდა, გადაკრისტალდა,
ცეცხლის, წყალის და მიწის ნაზავი.

ცალ-ცალკე გდია პლიუს-მინუსი,
სტვენია ჩიტი უსტვენარია,
ჩამოშლილია კლდისპირ ქვა-ღორღი,
ალბათ პატარა მზემ გადარია.

მომაბეზრებელ, უფერულ დღეებს,
ნეტავ, რამდენ ხანს უნდა ვუყურო.
აღარც სიმწვანე, არც მეწამული,
ხეშიც ფუღურო, სულშიც ფუღურო.

წვიმა და სეტყვა, სეტყვა და წვიმა,
სულში აცრილი უამინდობა,

სიყვარულის ხეს უტიფრად ძარცვავს,
არც მატყუარა მზე არ ინდობა.

მეც რას ველოდი? ნეტავ რა მრჯიდა? –
– უცხო ციალმა ამიყოლია...
სამეფო მარკას ვინ დაუბრუნებს
კომისიონში დადგმულ როიალს?...

ლტოლვა, ასაკით ჩამოწერილი
ჩაწყნარდა, ჩაცხრა, სული დაბრუნდა.
ვხედავ, შემოკლდა ჩემი სავალი
და მთვარის შუქზე ჩრდილი დაგრძელდა.

ცოტაც კიდეც და, გეტყვით, მშვიდობით!..
ერთ ფუთაში გაქვს ღარიბის ბარგი...
ზეცამდი ერთი ფრთის გაშლა დამრჩა,
რომ დამესიზმრო, იმადაც არ ღირს!...

სიყვარულს უნდა მიჰყვე...

მთებს ჯეირანიც შეძრავს,
კორდებს – იები მარტის.
უფრო ლამაზად რომ ვთქვა,
ცას გავუმხილე დარდი.

გაშალა ოქროს თმები,
ჩამოეშუქა, დადნა.
თვალზე შემაშრო ცრემლი,
ვხედავ, დამტოვა დარდმა.

ვინ თქვა, არ ფეთქავს ლექსი,
გრძნობებს მოეღო ბოლო...
სიყვარულს უნდა მიჰყვე,
ზვავივით ააგორო.

სადაც ზის უფლისწული,
ლექსით შევამტვრევ იმ კარს...
მადლობელი ვარ უფლის –
– მთავარია, რომ მიყვარს!...

ხინოს ციცინათელები...

ამირან ხაბაზის ხსოვნას

მოდიოდი, ჩანდი, ქუხდი,
ღამეს ლექსთან ათენებდი,
პოეზიას შეუსიე
ხინოს ციცინათელები.

გვარის ათი მელექსეთი,
დაიპყარი მემლექეთი;
არასოდეს დაგიხრია
მელექსეთა შორის ქედი.

გზები გაიუცხოფერე,
ცრუ და იაფ მასკარადის...
მოაბიჯებ ტბელის გვერდით,
ანთებული მაშხალათი.

უკანასკნელი საჩუქარი

ჩემს ჟუჟუნა ხაჯიშვილს

იქნებ ყოველი სასაცილოა,
იქნებ წარსული არ ღირს ცრემლებად.
ხვალ რა იქნება, შენ ის თქვი, თორემ
ჩვენთან ყველაფერს შემოევლება.

ვერ ამიხსნია, რა გზით წავიდა,
ის ბედნიერი აპრილ-მაისი...
ამხელა ცა გაქვს გადასაფრენი,
რა გაგატანო, ისიც არ ვიცი.

იქნება ლექსი? იქნება ლოცვა?
მგონი, ცრემლია ყველაზე წმინდა.
შენთვის არაფერს დავიშურებდი,
ამოირჩიე, რომელიც გინდა.

შენ ახლა იწყებ ლექსით ცხოვრებას,
ახლა იწყება გზები დიდების.
...და ესმის ზეცას შენი ჩურჩული –
– „ავიწყვეტ სხეულს და ავფრინდები!“...

როგორ ჩაგვადნა წუთისოფელი

შოთა ზოიძის ხსოვნას

როგორ გაფრინდით, როგორ მომრავლდით,
ნუთუ და-ძმობის ძარღვი არ ტოკავს?..
ვის წავუკითხო ნედლი ლექსები,
ლეთეს გამოღმა დავრჩი მარტოკა.

სამოცი წელი ერთად გვივლია,
ლუკმაც ზიარი გვქონდა მეტწილად.
როგორ ჩაგვადნა წუთისოფელი!..
ლექსის ამოთქმა როგორ მეტკბილა?!.

ცად წვეულება გველის პოეტებს,
ორი ზურაბი... აგერ ლადოც ჩანს,
ფრიდონი, ნანა, გოგი, რამაზი....
დავფიქრდე, ვინმე ხომ არ გამომრჩა?!.

ეს ვინ გადმოდგა ხიხანის მთიდან?
მზე დაბმული ჰყავს კლდისპირ კიჩოთი...
სხვა ვინ იქნება, თუ არ მამია?
მზეს ის აჩერებს, ასეც ვიცოდი!

აგერ აზიზიც! გაუცინარი
ხელმწიფეაო, მასზე ვფიქრობდი.
მჯერა, პირველი ის შემოგვხვდება,
სული სავსე აქვს მზით და სითბოთი.

შენს გზასავალზე, ცის აღსავალთან,
ცხრა ანგელოზი მართავს კარეტას;
უფალიც შენთან გაჩნდება, ძმაო,
როცა წასვლის ზარს ზეცა დარეკავს.

როგორ გაფრინდით, როგორ მომრავლდით...
ნუთუ და-ძმობის ძარღვი არ ტოკავს?
ვის წავუკითხო ნედლი ლექსები –
ლეთეს გამოღმა დავრჩი მარტოკა!..

მთის რაინდები არ ბერდებიან

ვუძღვნი ხულოს ანსამბლ „ბერმუხას“ და
მის დამფუძნებელს, ბატონ ავთანდილ ბოლქვაძეს

მთის რაინდები არ ბერდებიან,
ხალისობენ და კიდეც ანცობენ.
ა, ძმაო, აგერ, ხულოს „ბერმუხა“,
მუხლი უჭრით და ასაკს არ ცნობენ.

იხსნება ფარდა. ღელავს დარბაზი;
გაცეცხლდა სცენა, აეწვა ღაწვი...
მთის არწივებო, რა დაგაბერებთ,
რა დაგაბერებთ ხულოს მთის არწივთ.

ავთანდილობაც ცის ხელდასხმაა,
ოდით სპეტაკი, ხულოს ცასავით.
გვეამაყები, ძეო ბოლქვაძის,
ფესვებგადგმულო ბერმუხასავით.

სხალთა-ხიხანის მადლი მოუსხამთ
მთის რაინდები არ ბერდებიან.
ისმის საარი, ბუქნავს დევგმირი,
საცაა მთებიც ამღერდებიან...

* * *

ჯერ ვერ ვთქვი სიტყვა ისე თამამი,
რომ დახვეოდა ჭიგოს ვაზის რქით.
ვერ გადავკვეთე აცდენილი წრფე,
ვერ მოვემზადე სრა-სასახლისთვის.

გადამდებია სევდის მიკრობი –
– ვხედავ ტერენტის ობოლ ობელისკს...
ვაჟას ლექსებზე რომ მაჟრჟოლებდა,
იმადაც ღირდა წუთისოფელი.

სამოგზაურო გრაფიკიც შედგა,
ფანჯრები – ღია, კარიც ღიაა!..

რა ხდება ნეტავ? რა ჩოჩქოლია?
ეს რა ჩიტების რია-რიაა?!..

რა უხმაურო ფრენა გცოდნია,
სად გამეპარე? ვერ გჭვრეტ, ზაფხულო...
რა გზას დავადგე ცის ბინადარნო?
მენატრებით და ვეღარ გნახულობთ.

მომნატრებიხარ აპრილ-მაისო...
შენ რომ მინათებ, მზეო, მეც ვხარობ.
ფეისბუქით რომ შეიძლებოდეს,
ვიმეგობრებდი შენთან, მერცხალო.

აჰა, სამგზავრო გრაფიკიც შედგა,
ფანჯრები – ღია. კარიც ღია...
რაშია საქმე? რა ჩოჩქოლია?
ეს რა ჩიტების რია-რიაა?!

მუხა პირველი იგრძნობს ალიონს

გალაკტიონი

მართლაც, რა მუხა იქნება იგი,
აისს შრიალით თუ არ შეხვდება.
თუ დაემსგავსა ალვისხეს, რიგითს,
ქარს გამეტებით თუ არ ეხლება;
კუნთმაგარ ხეებს თუ არ დაჩრდილავს,
არ გადაუმსხვრევს გრიგალს ხერხემალს.

მართლაც, რა მუხა იქნება იგი,
დატოტვილ ფესვებს თუ ვერ გაიდგამს,
თუ ვერ მოდრიკავს ასაკს ტოტებით
და მზეს, ვით ჯიღას, თუ არ დაიდგამს...
მაინც საიდან მოსდევს ეს ღონე,
მაინც საიდან, მაინც საიდან?!

ალვავ, ნუ ფიქრობ, რომ ცას მიწვდები,
ცირკის მომწყობო იმპრესარიოვ!
მუხას არ უყვარს მსუბუქი ფლირტი,
მუხა პირველი იგრძნობს ალიონს!..

* * *

ყველგან შევდექი, სადაც ლექსი ამოსულიყო,
შემოვიარე საქართველო კიდით-კიდემდე...
მივხვდი, სიმღერა ამაოა, სანამ „სულიკო“
ათრთოლებს სიმებს, შოთას ლექსი ცოცხლობს ვიდრემდე.

სანამ ცას აკრთობს თავგანწირვა გალაკტიონის
და მთაწმინდასაც მგლოვიარის მოსავს მანტია.
უხერხულია ლექსისთვის რბოლა იოლ გზით,
ლექსი გაურბის უშედეგო გაწამაწიას.

გაქრა ზაფხული, შემოდგომა სევდიანი ცით
ხან ატირდება. ვხედავ ღრუბლებს უბე ევსებათ...
ცის ხელმოწერა თუ არა გაქვთ, მიჯობს, ნუ მოსვლაზე,
არ შემარცხვინოთ ლექსმინდორზე, ჩემო ლექსებო.

გადაფრენა სათქმელიდან სათქმელზე...

რამ დამასიზმრა? – ვითომ ერთად ვცეკვავდით კადრილს...
იქნებ არც ღირდეს ეს სიზმარი რამედ სხვებისთვის.
ეპოქა თვითონ შეჩერდება, თავის „სტოპ-კადრით –
– ერთ ტოტზე ვზივართ, მობუზული ბელურებივით.

ბელურას ნისკარტს შორეული ცოდვა ეტყობა, –
– სისხლის შხეფები ვერ წარხოცა დრომ და მანძილმა.
ძველის ასლია ყველაფერი, – ეს გზაც, ეს ყოფაც,
დამემოწმება მოფიქრალი, ვისაც არ სძინავს.

დანაშაულში ჩათრეული სული ცახცახებს
და ძაღლის თავიც აქ მარხია, მე კი სად ვეძებ?
გველიც მოვკალი ბავშვობაში, ოთხი წიწილა,
ობლად შთენილნი, საცოდავად დასავსავებდნენ.

მკვდარი ეზოსაც გავაშორე; ვაი-ვაგლახით,
მოვთხარე ორმო, ჩავაგდე და მიწით ავავსე...
მერე რაც მოხდა (მაჟრიალებს ტანში ახლაც კი),
სვენებ-სვენებით მოგიყვებით ამბავს, დანარჩენს.

ოთხი სინსილა მოსრიალდა დედის საფლავთან,
შეძრწუნებულნი თავს ახლიდნენ სისინ-სისინით!..

მას შემდეგ ვეძებ გაუცემელი კითხვებზე პასუხს –
– მე დედა მქვია? გველებია ნუთუ ისინი?

ბევრჯერ მეწვია ამდაგვარი კითხვა, სიტყვებით
ვერ გამოვხატე, რის თქმაც მსურდა, ისე მივდივარ...
გაუცემელი პასუხების ბილიკს მივყვები,
მიტომ ვერ გაველ წუთისოფლის ბურუს-ბინდიდან.

შორეულ ცოდვის კვალი აზის ბელურას ნისკარტს,
სისხლის შხეფები ვერ წარხოცა დრომ და მანძილმა;
თუ გაიგონებთ, სიჩუმეში გაბნეულ დისკანტს,
შემეხმიანეთ, მეგობრებო, ვისაც არ გძინავთ!...

* * *

საუკუნეებს მივწევ და მოვწევ,
თვითონ ვიპოვი ჩემს გზას და სავალს...
თქვენც ხომ უთუოდ დამემოწმებით,
რომ ქარი მიყვარს და ქარში წავალ.

ჩამოვიტოვებ ნაფერებ მინდვრებს,
ჯერთვალშეუდგამ გვირაბზეც გავალ...
თვალს ავარიდებ სემირამიდას,
უფრო ფატმანის ერთგული და ვარ.

რადგან ფიქრებში ბევრჯერ შევცოდე,
ვერ დავიკვეხნი სიანკარეზე.
შეყვარებულიც ვიყავი ერთ დროს,
ჯერ კერკ დუგლასზე, მერე მარეზე.

რაც ზურგჩანთაში მიდევს, აქ ვტოვებ,
გთხოვთ ჩამომართვათ, მიჭირს ტარება,
შევმსუბუქდები და ფრთებსაც გავშლი,
ჩამოვიტოვებ გზა-გზა ნარ-ეკალს.

ჯერ გასავლელი ცრემლების გზა მაქვს
და გზაწვრილები მონანიების,
მერე მთვარესაც გადავუქროლებ,
თქვენი მორჩილი მონა იებით.

იის სურნელი – მინდვრის სქოლიო,
ზეცაში უნდა გავიყოლიო...

* * *

რამდენჯერაც წავალ წუთისოფელიდან,
იმდენჯერვე, მზის სხივებთან გავთენდები...
გუბე არ ვარ, რომ კალაპოტს დავუზავდე,
მდინარე ვარ კალაპოტის ნაფერები.

„ადამი“ – ანს აქვს ფესვები ზეციური,
„დედა“ – მიწა არის მისი ბახტრიონი...
და სიცოცხლემ გვირგვინი რომ დაიმშვენოს,
ღმერთმა ციდან შეაჩეროს უნდა ომი.

ქუხილის ხმას ხომ უსმენდით? რას გვაუწყებს? –
– წვიმას, ქარბუქს, თუ ამათ მსგავს ლათაიას...
გაიბზარა დედამიწა. საქართველო,
სამყაროსგან ელვის ჩამონათვალია.

აქ, ცა ახლა, თოვლისაგან უბეს იცვლის,
საქართველოს ქედებს უნდა შეუსიოს,
ცის ჰანგები უკვე მოაქვს ერისიონს,
არ დატოვებს ამ მიწაზე ბერი სიონს.

საქართველოვ, გრძელი გზა გაქვს გამოვლილი
(ვინ არ შლიდა შენს მინდვრებზე თავის კარავს),
მაგრამ მაინც ხომ გადარჩი, გმირთა-გმირო,
არ შეშინდე, ღვთისმშობელი დაგიფარავს.

რამდენჯერაც წავალ წუთისოფელიდან,
იმდენჯერვე შენს გზაწვრილთან გავთენდები.
გუბე არ ვარ, რომ კალაპოტს დავუზავდე,
მდინარე ვარ, კალაპოტის ნაფერები!...

მთვარეო!

რა ქება გკადრო, ცის დედოფალო,
ცრემლებს ვერ იშრობს ლექსის რვეული...
ჩემი მშობლების მწირი საფლავი,
შენს იმედზე მაქვს მიტოვებული.

შენს სიყვარულზე უარს არ ვიტყვი,
ხელს არ დავიბან პილატესავით.

მე რომ არასდროს არ მიღალატებს,
ვიცი, შენა ხარ ის ნათესავი.

მახსოვს, დედაჩემს როგორ უყვარდი
(ძველი ფირფიტა თითქოს წინ გედოს),
სევდას უმხელდა სიმებს გიტარის –
– „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო“...

ალბათ იცოდა, რასაც მღეროდა,
მე დღესაც ვალში ვრჩები შენი ცის,
ნუ მიმატოვებ ღარიბ საფლავებს,
აბა, შენ იცი! აბა, შენ იცი!..

* * *

არავის მოაქვს ჩემთვის ვარდები,
არც უკეთესი მახსოვს წინადღე,
მაგრამ რადგანაც სულმა მიბრძანა,
გულის ორბიტზე დაგაბინადრე.

ახლა ყველაფერს შენ გიკავშირებ,
თუნდ ტკივილს, რასაც ერთვის ცახცახი.
ვზივარ ეპოქის მთავარ გამზირზე,
ორჯერ გავუსწარ უფალს ასაკით.

სასაცილოა ეს აღსარება,
მიტომ ლექსიდან წვეთავს ცრემლები.
აქ არაფერი არ დამრჩენია,
აქ ბატონობენ ფარისევლები.

სულ სხვა ეპოქის ბინადარი ვარ,
სიზმრებში ვხედავ სხვა ცას, სხვა მთვარეს,
ლექსი რომ ტირის – ჩემი ბრალია,
ვერ შევარჩიე მთვარის სათვალე.

ცას რომ ჰკოცნიდა მთვარე ეული,
მთვარეულივით დავალ მას აქით,
ვზივარ ეპოქის მთავარ გამზირზე,
ორჯერ გავუსწარ უფალს, ასაკით!..

ზაირა ქაჯაია

სულის სუ

თითქმის ოცდაოთხსაათიანი დამღლელი მგზავრობის შემდეგ ტურისტული ავტობუსი თურქეთის ქალაქ ნევშეჰირში შევიდა და ყვითელ-მწვანე ფერებით აჭრელებულ, უზარმაზარ სასტუმროსთან შეჩერდა.

ღამის მგზავრობით გადაღლილმა მოცეკვავე გოგონებმა ნელ-ნელა და ზარმაცად იწყეს ავტობუსიდან ჩამოსვლა, თუმცა პროფესიიდან გამომდინარე, მათ სვლასა და მიხვრა-მოხვრას დაღლილობა ვერაფერს აკლებდა.

– საქართველოდან ჩამოვედით. ეს მოზრდილი გოგონების ანსამბლია, – მოახსენა თარჯიმანმა სასტუმროს მმართველს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ისტორიულ კაბადოკიაში! – მეტად გულთბილი ღიმილით შეეგება გოგონებს თურქი მასპინძელი, იფიქრებდით, მათ მოლოდინში ღამე დაათენდაო.

ოფიციალური მხარე მალე მოგვარდა და გოგონები სასტუმროს ნომრებში დანაწილდნენ.

ქეთი საკმაოდ მძიმე ჩანთას დასწვდა, მაგრამ ვიღაცამ არ დაანება და ტვირთი ხელიდან გამოაცალა. სასტუმროს თანამშრომელი, ახალგაზრდა თურქი ჭაბუკი იყო. წამით მათი მზერდა ერთმანეთს შეხვდა და ორივე ადგილზე გაიყინა. ეს არ იყო უტიფარი მზერა. პირიქით, ქეთის ის ძალიან თბილი და ნაცნობი ეჩვენა.

– ქეთი, რა დაგემართა? რას მისჩერებიხარ მაგ თურქს? – გოგონა გამოერკვა, შერცხვა და სასწარაფოდ გაშორდა არანაკლებ გაოგნებულ ვაჟს.

– რა დამემართა, რამ გამომაშტერა?! – ფიქრობდა ქეთი. – მაინც რა ნაცნობი თვალები ქონდა... თუმცა საიდან, მე ხომ კაბადოკიაში პირველად ვარ.

ვაჟმა ლიფტით მხოლოდ ქეთი გაუშვა ზევით, თვითონ კი ლიფტის დაბრუნებას დაელოდა.

– შეუძლებელია ვიცნობდე, მაგრამ სადღაც ნამდვილად მინახავს, – ფიქრს თავს ვერ აღწევდა ქეთი.

– გოგო! რა მოგივიდა? ასე რამ დაგაბნია? – ფიქრები ხელმძღვანელის მკაცრმა ტონმა შეაწყვეტინა.

– მაპატიეთ, ქალბატონო ირინე, მომეჩვენა, რომ იმ ბიჭს ვიცნობდი.

– მოჩვენებები მინდა მე? სიცხემ ხომ არ აგიწია? რას მიედ-მოედები?

იმ ღამეს ქეთიმ ვერაფრით დაიძინა, თვალებს მილულავდა თუ არა, თურქი ვაჟის მზერა აფხიზლებდა და ძილის საშუალებას არ აძლევდა.

– ღმერთო ჩემო, რა ხდება? მისი თვალები მეუბნება, როგორ ვერ მიცანიო. ეს ნაცნობობის შეგრძნება ვერაფრით ამიხსნია.

დილით რეპეტიციაზე ხელმძღვანელმა მოცეკვავეებს აღმზრდელობითი საუბარი ჩაუტარა, განსაკუთრებით ქეთის დაუბრიალა თვალები.

– ჩვენთვის კაბადოკია უპირველესად წმინდა ნინოს სამშობლოა, მიმოიხედეთ ირგვლივ, ყველაფერი მოვლილი და ლამაზია, მაგრამ პირდაპირ თვალში საცემია გახუნებული ფერები. აქ მზესაც კი დაჰკარგვია ფერი. ჩვენ წვიმაც კი ფერადოვანი გვაქვს, მაგრამ მივეჩვიეთ და არაფრად მიგვაჩნია. მე ყოველთვის და განსაკუთრებით აქ მინდა თქვენში ნამდვილი ქართველი ქალი დავინახო – ამაყი, კლდემამოსილი, ჭკვიანი. თქვენ კი ჩამოსვლისთანავე სიყვარულობანა გამიმართეთ. გაიხსენეთ „ოსმალობა საქართველოში“ და ისიც, რომ საუკუნეთა განმავლობაში ოსმალებმა რამდენი ქეთევანი, თინათინი თუ თამარი წაგვართვეს. ამიტომ გთხოვთ, ფხიზლად და ჭკუით იყოთ.

– შური ვიძიოთ, თუ წარსულის გამო პასუხი მოვითხოვოთ?!

– წარსული არ დაივიწყოთ. მე ახლა აღმოსავლური ცეცხლოვანი სიყვარულისთვის არა მცალია.

– ამისთვის თქვენ საქართველოშიც არ გცალიათ. – ხელმძღვანელს არც გააგონეს, ეს სიტყვები ისე, სხვათაშორის, ჩაილაპარაკეს გოგონებმა.

ქეთი მიხვდა, გაფრთხილება ძირითადად მას ეხებოდა. ირინე ვერც კი გრძნობდა, როგორ აწყენინა. მის ჯერ კიდევ ბავშვურ გულს მეტი გაფრთხილება სჭირდებოდა.

სასტუმროს ფოიეში ჩასვლისთანავე ქეთიმ გუშინდელი ყმაწვილი შენიშნა. ისევ შიშის გრძნობა დაეუფლა, მაგრამ რატომ ვერაფრით ახსნა. ის კი მშვიდად იდგა და გოგონას თვალს არ აშორებდა. შეეცადა გამოლაპარაკებოდა კიდეც, მაგრამ გოგონამ არაფერი უპასუხა. თითქოს არ ესმოდა რას ელაპარაკებოდნენ. გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით მოუსვენრობამ შეიპყრო.

– თვალები კი არა, მისი ხმაც ნაცხნობია, აღარ შემიძლია. ვის მივმართო? ვინ ამიხსნის რა ხდება?!

შემდეგ კი კონცერტი გაიმართა.

დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ქართულ თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგონები სცენაზე გედებივით დასრიალებდნენ.

ქართული მუსიკა... ბროლივით გამჭვირვალე თავსაბურავები... ხელების უნაზესი მოძრაობა...

ქეთი თეთრ ანგელოზს ჰგავდა.

დარბაზი შფოთავდა. გოგონებს ფარდაში შესვლას არ აცლიდნენ.

ყვავილების წვიმა...

ქეთიმ თაიგულს იქით ნაცნობი თვალები დალანდა.

ვაჟი უცებ დაიჩოქა და კაბაზე ემთხვია. ქეთიც დაიხარა და ინგლისურად სახელი მოჰკითხა.

– რაშიდ! სულის სუ!

სულის სუ! ეს ხომ რაღაცას ნიშნავს. ქეთი დაბარბაცდა და გრძნობა დაკარგა. ვაჟმა ხელში აყვანილი კარებისკენ გააქანა.

– გურჯი გოგონა დაიღალა. უშველეთ – ყვიროდა დარბაზი.

შეშფოთებული ქალბატონი ირინე მედდის თანხლებით უკვე ნომერში ელოდა მათ. გამწყრალი ვაჟს მივარდა.

– დაანებე მაგ გოგოს თავი, რას გადაეკიდე. რა დღეში ჩამიგდე ბავშვი.

ვაჟს არ ესმოდა ქართული სიტყვები, მაგრამ ხვდებოდა ხელმძღვანელი მას უჯავრდებოდა. დამნაშავესავით დახარა თავი და ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა:

– I love Keti.

– I love? არ გადამრიო ბიჭო!

ამ დროს ქეთის მისუსტებული ხმა გაისმა.

– მე მას ვიცნობ. ისაა, ის!

ირინემ ნომრიდან ყველა გაისტუმრა და ქეთის ჩამოუჯდა.

– დაგღალე ჩემო გოგონი?! ჯგუფში ყველაზე პატარა ხარ, მაგრამ ყველაზე უკეთ ცეკვავ. ახლა დაისვენებ და კარგად გახდები.

ქეთიმ ხელი მის მარჯვენას წაავლო და აკოცა.

– რისი თქმა გინდა, მითხარი აბა! თუმცა უკეთესია ხვალ ვილაპარაკოთ. ახლა კი დაიძინე.

გოგონას არ ეძინა, მაგრამ თვალებს ვერ ახელდა. ბოლოს გაურკვეველი ლაპარაკი დაიწო.

– გემი ზღვის ტალღებს მიაპობს... ნახვამდის ჩემო საყვარელო სამშობლოვ! ქეთევანი ვეღარასოდეს განახავს... თოკები... გემბანი... უამრავი ტყვე, ქალი, კაცი, ბავშვი... ერთმანეთზე ლამაზები, თვალებმაყვალა, თვალებგიშერა, თაფლისფერთვალება, ცისფერთვალება... ჟრიამული გულსაკლავი, ცრემლები ზღვაში მდინარე... მზეა თუ ცეცხლი?! არა, ეს ჩემი მზე არ არის! ქართველ გოგონას სწყურია. თურქ ჭაბუკს ეცოდება, წყალს ასმევს. ვაჟი კეთილია... მას უყვარს ქეთევანი, მაგრამ იგი უნდა გაიყიდოს.

– ქეთი რას ბოდავ, ქეთი, შემომხედე! – ჩასძახის ირინე, მას კი არაფერი ესმის, განაგრძობს...

– ფული რომ მქონდეს, შენს თავს ვერავინ წამართმევს. მითხარი გურჯისათვის რა არის ყველაზე ტკბილი?

– ყველაზე ტკბილი სულია. მეშინია წარწყმედის.

– სული? საოცარი ხალხი ხართ...

– შენთვის? შენთვის რა არის ყველაზე ტკბილი?

– შენს მერე წყალი, თურქულად – სუ. ამიტომ შენ, ჩემს „სულის სუს“ გიწოდებ.

ქართული და თურქული სიტყვების ნაერთით რა ლამაზი მოსაფერებელი სიტყვა გამოვიდა. მიყვარხარ, სული სუ!

– ეს უფრო მეტი ტკივილია.

უცხო ქვეყანა, სტამბოლი. ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა... ტყვეთა ბაზარი...

უამრავ ტყვეთა შორის გამორჩეული ქართველნი... ქეთევანიც აქაა... კეთილი ჭაბუკი ვერაფერს შველის... ცხენით გარს უვლის უამრავ ტყვეს და მხოლოდ ერთს დარაჯობს. ჯოჯო და მახინჯჯი ოსმალო ოქროთი სავსე ქისით ხელში ევაჭრება ქეთევანის გამყიდველს. ლამაზი ქალი ოსმან ბეის საკუთრება ხდება. იგი მეტად კმაყოფილი ბილწი თვალებით მრავალგზის ათვალიერებს. ფეხებზე თოკი აღარაა... შეიძლება გაიქცეს... საით? მარცხნივ ზღვის ხმაური ისმის... ძალიან მაღალია... მერე რა! გოგონა გარბის, მცველი ჭაბუკი ცხენით მისდევს.

– სულის სუ! – მისძახის.

გადაფრინდა...

ჰაერში თვალი მოკრა ცხენიც და ჭაბუკიც მოფრინავდნენ.

– სულის სუ! – იმეორებდა ექო...

შავი ზღვის ლურჯი ტალღები...

ქეთი დამშვიდდა, ძილს მისცა თავი.

პულსი ნორმალური...

შეშინებული და გაოცებული ირინე ნომრიდან გამოვიდა. რაშიდი კართან იდგა. ქალმა არაფერი უთხრა. თვითონ ვაჟი მიუახლოვდა და ინგლისურად ქეთის ჯანმრთელობა მოიკითხა. ირინე შეწუხდა.

– რა ვქნა?! თურქული და ინგლისური ენები მე არ ვიცი, ამან კიდევ ქართული და გერმანული არ იცის. როგორ გავაგებინო, ბიჭო, თავი დაგვანებე! ვერ ხედავ რა დღეში ჩაგვაგდე?!

რაშიდმა თარჯიმანი იხმო.

– ქალბატონო ირინე, ქეთი ჩემთვის ძალიან ახლობელია, დავინახე თუ არა, მაშინვე ვიგრძენი ეს. თითქოს ყოველთვის ვიცნობდი და ველოდებოდი მას. არ ვიცი საიდან და როგორ მომივიდა აზრად, მე მას სულის სუ ვუწოდე და ამ სიტყვამ ცუდად გახადა. მაპატიეთ, არ მინდოდა მისთვის გული მეტკინა, ვერ ვხვდები ეს სიტყვა საიდან მოვიდა.

– კარგი, კარგი, კმარა! – იყვირა შეშინებულმ ქალმა და თანამოსაუბრეს სწრაფად მოშორდა. იქვე მდგომ თარჯიმანს მიუბრუნდა:

– ლილიან, შენ რეინკარნაციის გჯერა?

– არ ვიცი, ამბობენ...

– არ მაინტგერესებს, რას ამბობენ, მაგრამ მე გაგიჟებული ვარ. მაგ ბიჭს მგონი მართლა იცნობდა ის გოგო. შედი რა ნომერში, ჩემს მოსვლამდე ქეთის მიმიხედე.

– ქალბატონო ირინე, თუ შეიძლება რაშიდს ვაჩვენებ ავადმყოფს, ცოდვაა.

– შენც გჯერა ხომ? რაც ახლა გითხარი?!

ლილიანმა მხრები აიჩეჩა.

– კარგი შეიყვანე, ოღონდ ბავშვი არ მინერვიულოთ.

– მაშ, თქვენც დაიჯერეთ?!

– არ ვიცი, არა, ჩემო ლილიან!

რაშიდი მეოცნებე და სიყვარულით სავსე თვალებით დასცქეროდა მძინარეს.

– მაინც სად მინახავს ეს მშვენიერი გოგონა? რა ნაცნობია მისი ხორბლისფერი სახე, პაწაწინა ლამაზი ბაგე, ტალღოვანი გრძელი თმის კულულები, მისი უძირო მწვანე თვალები. ო, რა ბედნიერი ვარ, რომ ისევ შევხვდი მას, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ, ადრე სად შეიძლება მენახა ის.

ავადმყოფმა თვალები გაახილა. აღარ შეშინებულა, არაფერი გაკვირვებია. ბოდიშს უხდიდა ვაჟი, ის კი იღიმებოდა. უცებ შეეკითხა:

– რაშიდ, შენ იცი რას ნიშნავს სულის სუ?

– არ ვიცი, მაგრამ ძალიან დიდი სითბო მოდის ამ სიტყვიდან ჩემს გულში.

– სულის წყაროს ნიშნავს.

– ვგრძნობდი ძალიან ტკბილი სიტყვა იქნებოდა.

ვაჟი ბედნიერი იყო.

ამ დროს კარი გაიღო და ირინე შემოვიდა. ქეთი მშვიდად რომ დაინახა, გაიხარა:

– ქეთი, ჩემო სიცოცხლევ, როგორა ხარ? მოვკლავ მაგ უბედურს, ჩემი ხელით დავახრჩობ.

– მაგან რაღა დაგიშავათ, ქალბატონო ირინე?

– მაგან თუ არ დამიშავა, მაშ სხვა ვინ?! ლილიან, ერთი ამ ვაჟბატონს უთარგმნე, ქეთი, რომ უყვარს გასაგებია, მაგრამ მას დედა და მამა ჰყავს, ჩამობრძანდეს ჩვენთან, მოელაპარაკოს მის მშობლებს, ხელი სთხოვოს მათ, როგორც ქართული ტრადიციაა და მერე მელაპარაკოს მე.

რაშიდი იღიმებოდა. ქეთი კი ხელმძღვანელს საყვედურობდა:

– ასე უცებ გამიმეტე?

– რა ვქნა, ძალიან მეცოდება!

– თქვენ გეცოდებათ? ეს შეუძლებელია!

– რა არის შეუძლებელი. განა მე კი არ მაქვს გული?! სადაც კი წავედით, ხმის ამოუღებლად უკან დაგვსდევს. ცოდვაა ბიჭი, სიყვარული ძნელია, აღმოსავლური მითუმეტეს.

რამდენიმე დღეში მოცეკვავე გოგონების ჯგუფმა დატოვა სასტუმრო.

– შენ არ იდარდო რაშიდ! – ირინე ამ სიტყვებით ემშვიდობებოდა ვაჟს, – როგორც მოვილაპარაკეთ, ისე იქნება, გელოდებით.

– I love Keti.

– ვიცი, მჯერა, მაგრამ რაღაცეებში მაინც მეპარება ეჭვი. ამიტომ შენ შენს გრძნობებში კარგად გაერკვიე და მერე გვესტუმრე.

რაშიდი მორჩილად უქნევდა თავს, თან ავტობუსში მჯდომ ქეთის ვერ აშორებდა თვალს.

ავტობუსი დაიძრა. სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს დიდი სითბოთი ემშვიდობებოდნენ. ამ ხმაურში ყველას სმენას რაშიდის ხმა მიწვდა.

– სულის სუ! I love Gurjistan!

– საერთოდ არ ვფიქრობდი, თუ ასე დამწყდებოდა გული აქაურობის გამო.

– გული ნამდვილად მწყდება, მაგრამ საქართველოც ძალიან მომენატრა.

– კაბადოკია არის ბუნებრივ საოცრებათა შორის უპირველესი. აქ გული სხვა ძალით ფეთქავს.

– აკსარაი... ნევშეჰირი...

– კაიზერი, კირშეჰირი და უჩიზარი...

– გორემი და ავანოსი მითიურ სამყაროში გახვედრებს.

– და ადამიანს თითქოს სუნთქვასაც უჩერებს.

– რამდენი ეკლესიაა, თანაც რა ძველი.

– მეჩეთი და ეკლესია ერთ ჭერქვეშ, საოცრებაა.

– კაბადოკიის ხედი აჭარბებს დამთვალიერებლის ყველაზე თამამ წარმოდგენებს.

– ეს ქვეყანა დიდი ფილოსოფიური ნაწარმოებია, რომელიც ყველა ნაბიჯზე ახალ იდეას ბადებს.

– ამ ნაწარმოების შესაქმნელად ადამიანს და ბუნებას ხელი-ხელ ჩაკიდებულებს ერთად უშრომიათ.

– ეს ქვეყანა ნამდვილად გაჯადოებს და ეს განცდა არასოდეს გტოვებს.

– კაბადოკიის შემდგე მე მჯერა ოცნებათა ახდენის.

გოგონების აღფრთოვანებას დაღლილობამ მაინც სძლია. ნელ-ნელა მოეშვნენ, მიწყნარდნენ და მიიძინეს.

ირინე სიყვარულით დასცქეროდა შვილებივით გამოზრდილ მძინარე მზეთუნახავებს. ტურისტული ავტობუსი გზატკეცილზე მსუბუქად მისრიალებდა.

ქეთის ძილში ცხენის ფლოქვების ხმა ჩასწვდა. თვალი გაახილა. მხედარი თანდათან ახლოვდებოდა. ჩაცმულობით ქეთევანის მცველს ჰგავდა, სახით კი ახალგაცნობილ თურქ ჭაბუკს. ქალი ანიშნებდა უკან გაბრუნდიო. ვაჟი კი გაქვავებული სახით მოსდევდა ავტობუსს.

შეშინებულმა და სასოწარკვეთილმა ქეთიმ პირჯვარი გამოისახა...

მხედარმა სვლა შეანელა, ბოლოს კი შეჩერდა და მთელი ხმით დაიძახა:

– I love Keti. I love Gurjistan...

ერთი უბრალო მესხი ქალი

ცხოვრება ხანდახან ისეთ ადამიანებს შეგვახვედრებს ვერასოდეს დაივიწყებ. შენი ცხოვრების ეს რამდენიმე წუთი წლების განმავლობაში ბევრჯერ ამოტივტივდება ხოლმე გონებაში.

წლების წინ, სტუდენტობისას, ფოლკლორულ ექსპედიციაზე ვიყავით სამცხეში. ეს ის პერიოდი იყო, კომუნიზმი რომ ყვაოდა. ფეხით შემოვიარეთ მესხეთის სოფლები. როგორც მთელ საქართველოში აქაც ეკლესია-მონასტრები დაცარიელებული და დაკეტილი იყო. უამრავ ადამიანს შევხვდით. ძალიან დიდი სითბო და დაუვიწყარი მოგონებები გამოგვყვა მესხეთიდან.

ერთ-ერთ სოფელში გავიცანით მოხუცი ქალბატონი, როგორც თვითონ გვითხრა ოთხმოცდაათს გადაშორებული, მამულაიშვილი თერეზინა. არასოდეს დამავიწყდება მისი გულმხურვალე თხოვნა:

– შვილებო, სანამ ეკლესიები დაკეტილია კარგს ნურაფერს ელოდებით. გთხოვთ ხმა მიაწვდინეთ ვისაც შეუძლია, ან თქვენ დადექით ერთად და მოითხოვეთ, გახსენით ეკლესიის კარები, ილოცეთ ქვეყნისათვის, შვილებო.

– რა დროს ეკლესიებია, ბებო. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, – გულგრილად მიუგო ახალგაზრდა კომუნისტმა.

– რას ამბობ, შვილო. ღმერთი არ გასწირავს საქართველოს. აწ თქვენ უნდა იბრძოლოთ მისთვის. დიდება უფალს. – მის მტკიცე ხმას ბზარი შეეპარა, თითქოს ჩვენ ვიყავით მისი უკანასკნელი იმედი.

– შვილებო, ყველაფერს წარსული შთანთქავს და თუ ეკლესიებს არ ავამოქმედებთ ჩვენც შთანვითქმებით, მაგრამ საქართველო უკვდავია, მას წმინდა მარიამი იცავს.

ნუთუ ასეთი წმინდა და გულწრფელი თხოვნა შეუსრულებელი დარჩება, უფალო. თვალწინ წარმომიდგა ჩვენი ქალაქის ცენტრში დაკეტილი და მაღალი ძაბვის დანადგარებით გამოტენილი ულამაზესი ღვთისშობლის ეკლესია.

– ჩვენ რომ ეს შეგვეძლოს, ბებო... – მხრები აიჩეჩა იმავე ახალგაზრდამ.

– იცი, შვილო, ღმერთმა რა უთხრა ძლიერთ?! ნუ ჩაგრავ უმწეოს, რადგან ის დასახმარებლად მე მომმართავსო. ღმერთმა ეს პერიოდი ეშმაკს დაუთმო და უთხრა, ერთი მლოცველიც, რომ დარჩეს, არაფერს დაგითმობო. ამ დროსაც ექნება თავისი დასასრული. ლოცვას დიდი ძალა აქვს, შვილებო. მე სხვა რა შემიძლია?! სანამ სული ცოცხალია ვილოცებ. არ ვიცი ლოცვაო, მითხრა ერთმა გოგონამ. ლოცვას რა ცოდნა უნდა. აანთე ღვთის სანთელი და მის ალს უყურე, ლოცვა თავისით წამოვა გულიდან. შვილიშვილს ვატარებ ყველგან. მეშინია, სადმე თუ მოვკვდი ხალხს მაინც გააგებინებს. ყველა ეკლესიას, ყველა წმინდა ნანგრევს ვნახულობ სანთელს ვანთებ და ვლოცულობ. აი, რითი ვართ ძლიერი და რამ გაგვაძლებინა ქართველებს.

დამუნჯებულები და გაოგნებულები შევყურებდით ამ ჩია მოხუც ქალს. ამ დროს ასეთი სიბრძნე და რწმენა შეინარჩუნო, ეს გმირობაზე ბევრად მეტია.

მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა... ეკლესიაში შესვლისას, როცა ტაძრის კარს ვემთხვევი, ყოველთვის მახსენდება ერთი უბრალო მესხი ქალი. ასე მგონია ის ტაძარშია, არა უფრო სწორად თვით ქცეულა ყოველი ტაძრის კარად.

ბუდეს მიბრუნებული ამუნია

თითქოს სულ ახლახან დამთავრდა ბავშვობა...

დღეს კი სკოლის დამთავრებიდან ოცი წელი უნდა აღვნიშნოთ.

მაინც რა მალე გადის დრო-კაცობრიობის მუდმივი წუხილი.

დიახ, დრო მიქრის...

წუთითაც არ უნდა დაყოვნდე, თორემ ჩამორჩები. ფუჭად დახარჯული დრო კი უეჭველად სანანებელი გახდება შემდგომ.

რესტორნის წინ რიგრიგობით ჩამწკრივდა მსუბუქი მანქანები და დარბაისელი მამაკაცებითა და ელეგანტური ქალბატონებით გაივსო ეზო.

– ის ვინაა? მგონი მაიაა ვაშაკიძე. ის ვაჟკაცი ალბათ შვილია მისი. ხედავთ რამხელა შვილი ჰყავს?!

– რა თქმა უნდა ეყოლება. დაგავიწყდა, კლასში პირველი მაია გაგვითხოვდა.

– მაიკო, აქეთ... აქეთ...

ქალმა მიმოიხედა და გაღიმებული გაემართა ერთად შეგროვილი თანაკლასელებისაკენ.

გაისმა მხიარული კისკისი. მონატრებული ამხანაგები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

– შენ ომარი ხარ? სულ არ შეცვლილხარ. ქოჩორი შეგთხელებია მხოლოდ.

– ქოჩორს ნუ შეეხებით, მტკივნეულია. ეს შენი ვაჟკაცია? რა გქვია, ბიძია, შენ?

– მირზა!

– ვახ, შენ გენაცვალე! კარგი სახელია.

ყმაწვილი აღტაცებით შეჰყურებდა დედის თანაკლასელებს.

– მზია, ნუთუ ეს შენ ხარ?! არ ბერდები ხომ?! როგორა ხარ? სად მუშაობ?

– სკოლაში, ბიოლოგიას ვასწავლი.

– ისევ სკოლაში ხარ? ნუთუ? გახსოვს მე და შენ ელენე მასწავლებელი ერთ მერხზე არ გვსვამდა, ილაპარაკებთო.

– მე და რომანი კი ბოლომდე ერთ მერხზე ვიჯექით, ხომ, რომა? – ბავშვობის მეგობარი დაიმოწმა ირინემ.

– თანაც სულ მეჩხუბებოდი.

– მე კი არა, შენ მეჩხუბებოდი. მახსოვს ერთხელ მთელი სერიოზულობით გითხარი, რომა, შენ ისეთი ხუმარა ხარ, სკოლას რომ დავამთავრებთ, ცირკში კლოუნად იმუშავე-მეთქი. მე რჩევა მოგეცი, შენ კი ისე გაბრაზდი, ძლივს გაგასწარი.

– კლოუნად არა, მაგრამ ხანდახან ზამთრობით თოვლის პაპად ვმუშაობ. საინტერესოა.

– აი, ხომ ხედავ, ნიჭმა მაინც არ მოგცა მოსვენება.

– გახსოვს, ერთხელ მთელი კლასი გაგვაცინე, შენ თვითონ კი ჩვეულებრივი, სერიოზული სახით იჯექი. ელენე მასწავლებელმა გითხრა – აი, ესაა ნამდვილი ხელოვნება, ბარამიძე, ისინი იცინიან, შენ კი არა. ეს რომ მოახერხე, მართლაც კარგი ბიჭი ხარო.

– რომა, ექსკურსიაზე შენს მიერ წაკითხული ლექსი თუ გახსოვს? – ღიმილით შეეხმიანა მანანა. რომანი გაოცებული მიაჩერდა მას.

– მერე რა გამოთქმით კითხულობდი:

„აქეთ – იქით, იქით – აქეთ,
აქეთ – იქით, იქით – აქეთ“.

ჩვენც ინსტინქტით ხან იქეთ გავიხედავდით, ხან – აქეთ. მოკლედ გვაბზრიალებინე თავები. ელენე მასწავლებელი კი გადარიე. არასოდეს რომ არ უკადრებია, სულ ანცი გეძახა.

– ბავშვებო, ელენე მასწავლებელი როგორაა, ნახულობთ?

ბავშვებოს დაძახებაზე ყველას გაეცინა, მაგრამ ამ წუთში ეს სიტყვა ისეთი სასიამოვნო მოსასმენი იყო და ისე მისადაგებული ყველას თვალებში სიამის მგვრელი სხივი გაუბრწყინდა.

– ელენე მასწავლებელი მოგვიხუცდა. ამას წინათ დაბადების დღე მივულოცეთ, ოთხმოცდახუთი წლისაა უკვე, მაგრამ საოცრად ლამაზი, წელში გამართული და საღად მოაზროვნე. სასიამოვნოა მასთან საუბარი. ვაჟა დავითაძე მოიყვანს დღეს საკუთარი მანქანით.

სანამ ვაჟები საორგანიზაციო საქმეებს აგვარებდნენ, ქალებმა მათთვის ჩვეული საქმიანობა – „ჭორაობა“ – წამოიწყეს.

– ლეილა, გახსოვს შენ და ომარიმ საორგანიზაციო კუთხეს მინა რომ ჩატეხეთ?! ელენე მასწავლებლის რისხვა იმ დღის მორიგეებს დაგვატყდა თავს, – სიცილით იხსენებდა ბავშვობას ჩვენი აბო – ნანუკი აბესლამიძე.

– კარგად კი მოიფიქრეთ მორიგეებმა. შენ ყვავილებს რწყავდი და არაფერი დაგინახავს, მიქო ჩვარს რეცხავდა, შლანგო კი მას ეხმარებოდა. მოსე კი უბრალოდ შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა. მოკლედ, არავის დაუნახავს, არავის გაუგონია, არავინ იცის. საბოლოოდ გადავრჩით არა?!

– გადავრჩით, იმიტომ რომ მეორე დღესვე ჩავსვით მინა. ელენე მასწავლებელი მინის გამტეხს არ დასჯიდა, მაგრამ მიცემული პირობა, რომ არ შეგვესრულებინა და მეორე დღეს მინა ჩასმული არ ყოფილიყო, აი მაშინ კი ნამდვილად დავისჯებოდით. უპირობო კაცი არ უყვარდა ელენე მასწავლებელს.

– იცით რა, ახლა უფრო მიკვირს, მას ოთხი შილი ჰყავდა. მეუღლე, ოჯახი, ავადმყოფი დედა და წარმოიდგინეთ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ჩვენც სულ კუდში დაგვსდევდა. როგორ ახერხებდა ამდენს?! მართლაც მიკვირს.

– გახსოვს, მედიკო, მე, შენ და მარინემ, მაღაზიაში, ლეიბებში რომ დავიმალეთ?! გაოცდა ქალი, ვერსად გვიპოვა.

– მერე რას ვგავდით, ბამბის მტვერში ამოგუნგლულები! – კისკისებდა ნანა.

– ის ვინაა?

– ჩვენი რეზიკოა მეუღლით.

– გოგონებო, ჩვენს ბიჭებს შორის ყველაზე ლამაზი ცოლი რეზოს ჰყავს მგონი.

– შენ ყველა რძალს არ იცნობ და ასე რატომ ლაპარაკობ.

– არ ვიცი, რეზოს ცოლი ერთ იტალიელ მსახიობს გავს და მართლაც ძალიან ლამაზია.

– გოგონებო, ჩვენი ჯაბა სადაა? არ მოვა ნეტავ?

– არ იცი? ჯაბა გერმანიაშია, იქ ცხოვრობს. იშვიათად ჩამოდის. გული მტკივა, როგორ დავკარგეთ ეს ბიჭი.

– აგერ, ჩვენი თამუნაც თურქეთში ცხოვრობს, მაგრამ მოახერხა ჩამოსვლა.

– ჯაბა ძალიან დაკავებულია. მე ნუ შემადარებთ, – გამოუსწორა საქმე მეგობარს თამუნამ.

– გოგონებო, მახსოვს პირველად ჯაბას გვარი რომ გავიგონე, დედას ვუთხარი, ჩვენს კლასში ერთ ბიჭს აჯიბას ეძახიან, მაგრამ ვერ მივხვდი გვარია თუ სახელი-მეთქი. მაშინ გავიგე, რომ ადამიანები იყოფოდნენ ქართველებად, აფხაზებად, რუსებად... ჩვენთვის კი ეს ყველაფერი არაფერს ნიშნავდა. ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვთამაშობდით, აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავით. ნუთუ ბავშვები დიდებზე უფრო ჭკვიანები არიან. ჯაბას სახით მთელი აფხაზეთი მიყვარდა. მითუმეტეს რომ სწორედ ჯაბა იყო ჩემი პირველი სიყვარული.

– ეხლა გამოტყდი ხომ?! – ნანას ირგვლივ შემოეხვივნენ მეგობრები და კინაღამ ძველებურად თავში წაუთაქეს. მან კი ამოიოხრა და თქვა:

– ღმერთო, როგორ დავიფანტეთ. ვინ იფიქრებდა წლები ისე გავიდოდა ერთმანეთს ვერ ვნახავდით.

– კი მაგრამ, სადაა მირზა ცინცაძე? რატომ იგვიანებს? – აღელვებით მოიკითხა თამუნამ.

– მირზა სადაა, რას გაიგებ. სამი წელი საფრანგეთში იყო, ბოლოს მოსკოვში მყოფს ველაპარაკე ტელეფონით, თვითონ დამირეკა. მგონი არც დაოჯახებულა. ბათუმში თუა, აუცილებლად მოვა და მის ოჯახურ მდგომარეობასაც აუცილებლად გავიგებთ, – დაასკვნა დიანამ.

– მე კი ნამდვილად ვიცი, მირზა ბათუმშია. ბზობას ვნახე ეკლესიაში. სულაც არ შეცვლილა. ხალხმრავლობის გამო საუბარი ვერ მოვახერხეთ.

– მეც ვნახე, ყველა მოგვიკითხა და გნახავთო დამპირდა, – საბოლოოდ დაამტკიცა დალიმ.

– რომ გავიგე მირზა დაბრუნდაო, გავიხარე და ვიფიქრე, ახლა ყველას ჩამოგვივლის, გვინახულებს, შეგვკრებს, როგორც მას ჩვევია და მის დაბრუნებას ავღნიშნავთ-მეთქი.

– გეთანხმები, და იცი რაშია საქმე? ჩვენ სულ მას ველოდებით. ჩამოსულა და იმედი გვაქვს, გვინახულებს და არცერთს აზრადაც არ მოგვსვლია ჩვენ ვინახულოთ. რა საჭიროა, ამას თვითონ მირზა გააკეთებს. ის ხომ ისეთი კეთილია, არაფერზე გვისაყვედურებს.

– რა ვუყოთ, თვითონ მიგვაჩვია.

– უნდა გადავეჩვიოთ. ყოველთვის მისი სიკეთით არ უნდა ვისარგებლოთ. მასაც სჭირდება ყურადღება.

– მართლაც, ის ყოველთვის უზომოდ კეთილი იყო. მისთვის სულ ერთი იყო ლამაზი თუ ულამაზო, ყველა გოგონას თბილად ელაპარაკებოდა.

– ის დღესაც ასეთია, ყურადღებიანი, მოსიყვარულე და კეთილი.

– ქეთი, შენს შვილს მირზა ქვია, არა?! ჩემს ბიჭსაც მირზა დავარქვი.

– მგონი თამრიკოს ბიჭსაც მირზა ჰქვია.

– რუსიკოს შვილსაც.

ძველმა დაქალებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი ატეხეს.

– ეს უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს. ხომ იცით. ეკატერინე ჭავჭავაძემ პირმშოს ნიკოლოზი შეარქვა. თქვენც ხომ ამის მიხედვთ არ შეარჩიეთ სახელი.

– ყველაფერი გასაგებია, – თითქოს ეხლა გამოფხიზლდა მედეა, – კი, მაგრამ ყველას გიყვარდათ?!

ქალების კისკისმა მოიცვა გარემო.

– განა მარტო ჩვენ?! მოზრდილი კლასის თითქმის ყველა გოგონა მასზე იყო შეყვარებული. ნუთუ დაგავიწყდათ?

– თვითონ არც კი გათამამებულა, თავი ამის ღირსად არ მიაჩნდა. გაკვირვებული იღიმებოდა მხოლოდ.

– ახლა რაღა დროისაა, მაგრამ მე შვილიშვილს დავარქმევ მირზას, – თავისებური იუმორით ჩაერთო ირინე.

ეხ, ჩვენო ბედნიერო ბავშვობავ და გაფრენილო ოცნებებო!

ამ დროს ტაქსი გაჩერდა და იქედან ახოვანი მამაკაცი გადმოვიდა. ლაღი, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ღიმილით გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, მისთვის ჩვეული ჟესტით – მაღლა აღმართული გაშლილი ხელით შორიდან მიესალმა იქ მყოფთ.

– მირზა! – ერთხმად წამოიზახეს ქალებმა და ჯგუფად დაიძრნენ ვინ დიდი ხნის უნახავ მეგობართან და ვინ პირველ სიყვარულთან შესახვედრად. მირზა კი ისევ ცალად დაიარებოდა და გულისწორი ვერ ეპოვა ამ გაშლილ და მადლიან დედამიწაზე.

შემდეგ კი იყო ლხინი, იყო სადღეგრძელოები, მუსიკა, ცეკვა, მოფერება, სიცილი, იყო გახსენება და ცრემლი. თითქმის ყველა აატირა თამადის სადღეგრძელომ.

– ვუყურებ ჩვენი ბავშვობის ფოტოსურათებს და გული მტკივა მკვირცხლი, თვალმერცხალა დათო დიასამიძის გამო. იგი ხომ ქართველობის გამო მოგვიკლეს რუსეთში. რას ვიზამთ, უფლის ნებაა ჩვენთვის სიცოცხლის ჩირაღდნის ანთებაც და ჩაქრობაც. ჩვენი ავთო გორაძეც აღარ გვყავს გვერდით. ყველაზე ცელქი და მხიარული ბიჭი... როგორ დაჩაგრა ცხოვრებამ, მაგრამ მას ორი ვაჟკაცი მაინც დარჩა და გააგრძელებენ მამის სახელს. ასევე ნაადრევად ჩაიფერფლა მურკა მიქელაძის სიცოცხლეც. სამხედრო სამსახურის დროს მიღებულმა ჭრილობამ იმსხვერპლა თვრამმეტი წლის ახალგაზრდა. ფოტოებში თუ დაკვირვებიხართ მურკას მარჯვენა ყოველთვის გულთან ახლოს აქვს, ალბათ რაღაცას უნდა ნიშნავდეს ეს. საოცარია ბუნება, მაშინ ისე დაგვწყდა გული, გვეგონა ჩვენს ერთად შეკრებას ფასი არ ექნებოდა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ის მშვენიერია... – იცრემლებოდა მურკას პირველი სიყვარულის უარმყოფელი მადონაც.

ცოტა ხანში სუფრა ისევ გამხიარულდა.

– თამუნა, შენ მე გაგაცილებ, – ცეკვის დროს უჩურჩულა მირზამ.

– რატომ? – გაეღიმა ქალს.

– იმიტომ რომ მე სხვებივით მანქანით არა ვარ და ფეხით გავივლით სანაპიროზე.

– კარგი აზრია. თავდავიწყება ბოლომდე. სანაპირო! მართლაც კარგად მოგიფიქრებია.

– აწი მაინც მთავრდება ჩვენი საღამო, მოდი გავიპაროთ.

– არ დავემშვიდობოთ?

– სწორედ დამშვიდობებას ვერ ვიტან.

– ახლა გავიპაროთ და ხვალ ისევ ვინახულოთ ყველა, საქმე მაინც არ გვაქვს.

– კარგი, გავიპაროთ.

შექეიფიანებულ საზოგადოებას არ შეუმჩნევია ორი წევრით შემცირება.

ისინი სანაპიროს ნელი სვლით მიუყვებოდნენ. ქალს ფეხსაცმელი ხელში ეჭირა. სველ სილაში დარჩენილ პატარა ნაფეხურებს წყალი დაუნდობლად შლიდა. ეს ისე ართობდა ქალს, ისიც კი დაავიწყდა მარტო რომ არ იყო.

რა მშვიდი ზღვაა, – გაიფიქრა ქალმა, – ზღვაც კი დამშვიდებულა, ჩემი ცხოვრება კი ისევ შფოთავს. უცებ კაცი წინ გადაუდგა ქალს, თვალებში ჩახედა და უთხრა:

– თამუნია, 28 ნოემბერი გახსოვს? ბოლო კლასში რომ ვსწავლობდით, იმ წლის.

ქალი არც კი დაფიქრებულა მშვიდად მიუგო:

– ძალია კარგად. იმ დღეს მითხარი მიყვარხარო.

– მერე?

– მერე ამით დაამთავრე ყველაფერი. რატომ დღემდე არ ვიცი.

– შემიყვარებდი?

ქალმა გულზე ხელი ჰკრა და თითქმის გაიქცა. მირზა მას გაჰყვა.

– შენ ნამდვილად ვერა ხარ რა... თუ მე მაგიჟებ?! გაგონილა ოცი წლის წინ გამოცხადებულ სიყვარულზე პასუხს დღეს ითხოვ?!

მირზას გაეცინა.

– შენ ისევ ისეთი ამუნია ყოფილხარ, ისევ მწარედ იკბინები, – ბავშვობის სახელი შეახსენა თამუნიას, – მაგრამ შენთან ჩხუბი მირჩევნია სხვის სიყვარულს.

თამუნა შეჩერდა, გაეცინა და დაღლილი იქვე ნაპირთან ჩამოჯდა. მირზაც მას მიუჯდა და წუთით გაყუჩდნენ.

– რამდენი დღით ჩამოდი თურქეთიდან? – ბოლოს ხმა ისევ მირზამ ამოიღო.

– სამი დღით.

– იქ რა გინდა, რას აკეთებ?

– რას ვაკეთებ? რას აღარ ვაკეთებ.

– შენი ქმარი სადაა?

– ზის, ოღონდ ყოფილი ქმარი.

– მიაღწია არა?! მთელი შეგნებით და ფიქრებით შენი ლამაზი თავი მას დავუთმე, მან კი ვერ დაგაფასა.

– მერედა რად დაუთმე?

– ელენე მასწავლებელმა ხომ გითხრა რაღაც. ეს მე ვთხოვე შენთვის ეთქვა.

– სისულელე! მირზა ავადაა და მალე მოკვდებაო. შენ კი აგერ ოცი წელი გავიდა და ცოცხალი ხარ. მაშინვე ვიფიქრე. რომ ეს ამბავი შენი მოგონილი იყო და ძალიან გავბრაზდი. მაინც რა გეგონა, აგეკიდებოდი? თუმცა შენი ავადმყოფობა სიმართლე რომ ყოფილიყო, მე მაინც შეგიყვარებდი. მაგრამ შენ ყურადღებას აღარ მაქცევდი.

– შემიყვარებდი, თუ შემიცოდებდი?

– შეგიყვარებდი!

– ქმართან ბედნიერი იყავი?

– სანამ წამალს მიჰყოფდა ხელს, კი.

– და რამდენ ხანს გრძელდებოდა შენი ბედნიერება?

– სამი თვე. მერე კი დაიწყო ხუთწლიანი ჯოჯოხეთი. წამლის მომხმარებელი კაცი მოღალატეს მე მიწოდებდა. ბოლოს კი მართლაც ვუღალატე და აღარც დავბრუნებულვარ მასთან.

– არ მესმის, თურქეთში მაინც რა გინდოდა, რატომ წახვედი?

– მშობლები მოხუცდნენ და უნდა მერჩინა. აქ კი ამის საშუალება არ იყო. გაიგე ახლა?

– როგორ არიან ახლა შენი მშობლები?

– აღარ არინ, მარტო ვარ.

ქალს თვალები ცრემლებით აევსო. მირზას ძალიან შეეცოდა ის.

– მე ვერ განვსჯი შენს წარსულს და ისიც ვიცი, ხანდახან ქუჩის უკანასკნელი მეძავი უფრო პატიოსანია, ვიდრე თუნდაც მონასტრის მოძღვარი. როცა თანაკლასელებს ვნახულობდი, შენს ამბავს სპეციალურად აღარ ვკითხულობდი. თითქოს შინაგანად პროტესტს გიცხადებდით შენ და თურქეთს. არ მეგონა ასე თუ გიჭირდა. ამიტომ დღეს არავითარი უფლება არ მაქვს შენს მოქმედებაზე პასუხი მოგთხოვო. მე ხომ ვიცი, ლამაზი ქალის გვერდით ყოველთვის ვიღაც არის, მაგრამ სულიერად ის თითქმის ყოველთვის მარტოა.

– მე ჩემს მოქმედებაზე პასუხს ახლა მხოლოდ ერთი კაცი, თურქი მილიონერი ახმედ-ბეი მომთხოვს. ის ფულში იხრჩობა. უზარმაზარი სასახლე აქვს, მაგრამ სამოცდახუთი წლის კაცი ლოგინსაა მიჯაჭვული. მის ოცდაშვიდი წლით უმცროს მეუღლეს აიშა-ჰანიმს კი აღარაფერში სჭირდება ის. შვილიც ამერიკაში გადასახლდა და ვუვლი მე. წამლებს ვასმევ, თეთრეულს ვუცვლი, ვაჭმევ და ვბან. ჰო, მართლა, ჩემს ამბებს რომ მაყოლინებ, შენ თვითონ როგორა ხარ, ავადმყოფობა რატომ მოიგონე? რამ შეგაშინა?

– მაშინ მართლაც ავად ვიყავი, არავის ეგონა თუ გადავრჩებოდი.

– ახლა? ახლა როგორა ხარ?

– საფრანგეთში ვიმკურნალე, კარგად ვარ.

– კი მაგრამ, დიაგნოზი რა დაგისვეს?

– რა მნიშვნელობა აქვს, განა სულ ერთი არ არის ბოლოს რა მოგიღებს.

– კარგი, კარგი. ახლა მაინც ნუ მაცოდებ თავს.

მირზას ალერსიანად გაეღიმა.

– თამუნია, დარჩი ჩემთან. სასტუმროში ვცხოვრობ აქვე.

– შენთან დავრჩე? წასვლამდე არა?

– ჰო, თუნდაც წასვლამდე!

– რატომაც არა!

* * *

– შენ რომ ისე უცნაურად არ მოქცეულიყავი, დღეს ჩვენ ბედნიერები ვიქნებოდით და არც ერთი არ ვიბორიალებდით ასე აღმა-დაღმა, მარტოდმარტო. ახლა კი კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს მარტოობაში...

მირზამ თავზე ხელი ალერსით გადაუსვა ქალს.

– თამუნია-ამუნია, ჩანს უფლის ნება ასეთი იყო. ჩვენ ერთმანეთი განშორებაში უნდა გვეძებნა. განა არ გამოგიცდია გაზაფხულის მოლოდინი?

– რა გაზაფხული, ვერ გავიგე.

– მოვა გაზაფხული და ყველაფერი იწყება თავიდან... საოცარია, ვერაფერი აფერხებს ადამიანში გაზაფხულის მოლოდინს.

გაღიმებულმა თამუნიამ ხელები ყელზე შემოხვია მირზას.

– გამოუსწორებელი ოპტიმისტი ხარ.

– შენთან სხვანაირი ვერც იქნები. კარგია, რომ შენ მაინც ხარ რეალისტი, ამიტომ ხარ ცოტა ამუნიაც.

უცებ მირზას სახე გაუფითრდა.

– მირზა, რა დაგემართა?

– მოითმინე. ახლავე, – ძლივს წარმოთქვა მან, დიპლომატს ხელი დაავლო და აბაზანაში ჩაიკეტა.

გაოცებული ქალი საწოლიდან წამოდგა, სარკეში საკუთარი თავი ეჭვიანად შეათვალიერა, მხრები აიჩეჩა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა, შემდეგ საღამური აიკაპიწა და გრძელი, ლამაზი ფეხებიც შეათვალიერა.

ოციოდე წუთის შემდეგ, ვითომც არაფერიო, მირზაც გამოვიდა სააბაზანოდან. ქალმა ეჭვიანი თვალები შეაგება. მირზამ დამნაშავესავით გაუღიმა.

– მირზა, მიპასუხე, ნუთუ ისეთი ქალი ვარ, საყვარელმა მამაკაცმა ნარკოტიკში გამცვალოს?

მირზას გაეცინა:

– გეფიცები, მე ნარკოტიკს სიახლოვესაც არ ვეკარები.

– შენზე არაა საუბარი, – სასწრაფოდ უკან დაიხია ქალმა, – მე ჩემს ქმარს ვგულისხმობდი.

– შენი ქმარი რომ მიატოვე, კარგი გიქნია, მაგრამ თურქეთი ვერაფრით მიპატიებია. იქ რა გინდოდა ქართველ ქალს?

– ტყუილით ცხოვრება საერთოდ ძნელია, მაგრამ საკუთარი თავის მოტყუებასაც რომ დაიწყებ, ეს უკვე კატასტროფაა. მე არც პირველი და არც უკანასკნელი ქართველი ქალი ვარ, ვინც იქ მოღვაწეობს. მე კიდევ გამიმართლა. არც მოგატყუებ, ამ გამართლებამდე ბევრი ვიწვალე. არაფრად გჭირდება ამის ცოდნა და ნურც მე გამაწვალებ მოგონებებით.

– თამუნია, ხვალ მიდიხარ?

– აუცილებლად.

– რა გაეწყობა, გამოსამშვიდობებელ ვახშამს მოგიწყობ.

– შენ ხომ დამშვიდობება არ გიყვარს.

– დღეს ვივახშმებთ. ხვალ დილით კი ჩემს გაღვიძებამდე გაიპარე, თორემ აღარ გაგიშვებ.

– ეს შეუძლებელია. ახმედ-ბეი და აიშა-ჰანიმი გაგიჟდებიან.

– მაგენის დედაც...

– გეთანხმები, მაგრამ ვერაფერს გავაწყობთ.

* * *

გვიან ღამით, როცა მირზას ღრმად ჩაეძინა, თამუნამ გასაღები მოიპარა, მირზას დიპლომატი გახსნა და გაოცებული დარჩა. იქ იმდენი უცხოური წამლები და ექიმის რეცეპტები დახვდა. ქალმა სწრაფად გადაიკითხა ისინი. ორი რეცეპტი ამოიღო და ჩანთაში შეინახა.

– ესე იგი ის ახლაც ავადაა, – წამით თითქოს რაღაც გაუხარდა ქალს, შემდეგ კი იქვე ხალიჩაზე ჩაიმუხლა და დაფიქრდა. მოაგონდა საყვარელი ელენე მასწავლებელი.

– თამუნია, დაფიქრდი შვილო, ძალიან ლამაზი, თავაზიანი და წესიერი ყმაწვილია მირზა, მაგრამ ის სერიოზულადაა ავად. ამას მოჰყვა მირზას მხრივ აბსოლიტური უყურადღებობა. თითქოს სიტყვები – მე შენ მიყვარხარ, თამუნია-ამუნიაო – სხვას ეთქვას.

ეხ, თამუნია, თამუნია... ცხოვრებამ მართლაც მაწანწალა ამუნიად გაქცია... როგორ მეზიზღები... ქალმა თავი გაიქნია, თითქოს აბეზარი ფიქრები მოიშორა. შემდეგ ადგა და მირზას გვერდით ფრთხილად წამოწვა. ფიქრებს თავი ვერ დააღწია.

სამი დღეა რა ბედნიერი ვარ, ისევ სრულფასოვანი ქალი, სასურველი, მოსაფერებელი, დღესასწაულების დედოფალი. მე? მე რით დაგეხმარო, ჩემო მირზა, რითი გიშველო... – ფიქრებში დაღლილს ბოლოს ჩაეძინა.

დილით მირზამ გაიღვიძა და უხალისოდ შეიშმუშნა. დარწმუნებული იყო სასტუმროს ნომერში მარტო იყო. უცებ მეორე ოთახის კარები გაიღო და თავიდან ფეხებამდე მოწესრიგებული თამუნა შემოვიდა, რომელიც ღიმილსა და სითბოს აფრქვევდა.

– ხომ გითხარი გაიპარე-მეთქი.

– დღეს არ მივდივარ, ხვალ წავალ. რაღაც საქმე უნდა მოვაგვარო. მალე დავბრუნდები. შენ კი კარგად გამოიძინე. ამ საღამოს მე გპატიჟებ ვახშამზე.

– საინტერესოა, ჯერ არ დავუპატიჟებივარ ვახშამზე ქალს.

თამუნა ცნობილ კარდიოლოგთან მივიდა და რეცეპტები აჩვენა. ექიმი შეშფოთდა.

– ალბათ ღმერთი ეხმარება, თორემ ამ დიაგნოზით ადამიანი კარგა ხნის წინ უნდა გარდაცვლილიყო.

– ექიმო, რა შანსი გაქვს?

– არავითარი. თუმცა ალბათ ისევ უფალი. ამ წუთას ამ ადამიანმა მციროედენი სიხარული ან იმედგაცრუება რომ განიცადოს, მორჩა.

– ექიმო, ეს დაავადება შთამომავლობით ხომ არ გადადის?

– საბედნიეროდ არა! ეს შეძენილი დაავადებაა.

სასტუმროში დაბრუნებული თამუნა მძინარე მირზას დასცქეროდა და ფიქრობდა – როგორ ინარჩუნებს სიმშვიდესა და წონასწორობას, როცა ასე უჭირს. როგორ არ გაბოროტდა, პირიქით, სულ სიკეთეზე ფიქრობს და თავად იქცა დიდ სიკეთედ. სწორედ ურყევმა რწმენამ უშველა. არასოდეს დაუჩივლია საკუთარი, ყველას თვითონ ამშვიდებს და ელოლიავება. ალბათ ამიტომაა მასთან ყოველი შეხვედრა განსაკუთრებული. ის ყოველთვის ისე იქცევა, თითქოს ეს ყოველივე აღარ განმეორდება...

ფიქრებიდან მობილურის ხმამ გამოაფხიზლა. მეორე ოთახში გავიდა. ახმედ-ბეი ურეკავდა თურქეთიდან.

– .....

– არ ვიცი როდის წამოვალ.

– .....

– ვერ მოვახერხებ, ეს არაა ჩემზე დამოკიდებული.

– .....

– როგორც გნებავთ. მე სხვა სამუშაოს ვიშოვი.

– .....

– კარგი. როგორც კი მოვახერხებ, გეახლებით.

– მაშ წასვლა გადაიდო?! – კარებში მდგომი მირზა იცინოდა.

– მაცდური ხარ, ვეღარ გშორდები.

ერთი თვის შემდეგ მირზა უარესად შეიქმნა. უფრო ხშირად იკეტებოდა სააბაზანოში.

– მირზა, მე უნდა წავიდე, უკვე დროა. ჩვენ ხომ არ დავქორწინებულვართ.

– შენ თუ წახვალ, მაშინ მეც საფრანგეთში მოვკურცხლავ.

– ჩემს წასვლას ელოდებოდი. კი მაგრამ რატომ არ მეუბნები შენც წაგიყვანო?

– იმიტომ, რომ ვერ წაგიყვან. შენ შენი ცხოვრება გაქვს. რა ვიცი, იქნებ ერთ დღესაც დაგირეკო და გადმოგაფრინო ჩემთან, უფლის შეწევნით. ახლა კი ძალიან გთხოვ, ნუ გეწყინება.

მაინც ვერაფერი აფერხებს შენში გაზაფხულის მოლოდინს – გაიფიქრა ქალმა.

– მირზა, იქ ვინმე გყავს?

– მე უკვე მხოლოდ ჩემი ამუნია მყავს, მაგრამ მაინც ვერ წაგიყვან.

– იცი რა, მოდი ჯერ შენ წადი, მე გაგაცილებ, მერე კი მე წავალ. პირობას გაძლევ არ დაგემშვიდობები. ისე უბრალოდ გაკოცებ და მალე შეხვედრამდე-მეთქი გეტყვი.

მირზამ ზურგიდან ხელები მოხვია ქალს და კისერზე პაწია ხალთან აკოცა.

– თამუნია, ერთი სათხოვარი მაქვს და შემისრულე.

– გისმენ და ძალიან შევეცდები შეგისრულო.

– არ წახვიდე თურქეთში. აქ გათხოვდი, შვილები გააჩინე და იცხოვრე, როგორც გაზაფხულზე მერცხალი, შენც შენს ბუდეს დაუბრუნდი.

– გათხოვებას ვერ დაგპირდები. დედა კი აუცილებლად გავხვდები, ვგრძნობ.

– რას გრძნობ? – აღელვებით შეეკითხა მირზა.

– რას ვგრძნობ და ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან ერთი პატარა მაინც არ გავაჩინო.

– მე მეგონა...

– შენ რა გეგონა არ ვიცი, მაგრამ ამას აუცილებლად შეგისრულებ.

მაპატიე ძვირფასო, შენთვის ემოციები არ შეიძლება და ვერ გაგახარებ იმ ბედნიერებით, რასაც შენი შვილის დედობა მანიჭებს. თუმცა ისიც ვიცი ასე მონოტონური და უემოციო ცხოვრებას შენ დიდხანს ვერ გაუძლებ – სინანულით გაიფიქრა თამუნამ.

აეროპორტში ქალი და მამაკაცი დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და იქ ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ. ბოლოს ქალმა თითის წვერებზე აიწია და მამაკაცს აკოცა.

– მალე შეხვედრამდე, ძვირფასო.

– სანამ წავალ, ეს უნდა დაგიბრუნო, თამუნია, შენთან იყოს ისევ. ჩემთან უკვე დიდი ხანიაა და მოიწყინა, – მირზამ ჯიბიდან პაწია, გამჭვირვალე პლასტმასის ლეკვი დაისვა ხელისგულზე. თამუნამ იცნო მის ჩანთაზე დამაგრებული პაწაწინა სათამაშო, რომელიც დიდი ხნის წინ დაკარგა.

– მოკლედ, სიურპრიზების ოსტატი ხარ, მირზა!

– აი ეს კონვერტიც. თვითმფრინავი რომ წავა, მაშინ წაიკითხე, ახლა კი მშვიდობით და საერთოდ იცოდე, ქალი იმ სიყვარულს ღებულობს, რასაც იმსახურებს.

– მშვიდობით, თუ მალე შეხვედრამდე?

– მალე შეხვედრამდე, უფლის ნებით... – მიუგო მამაკაცმა, შებრუნდა და უკან მოუხედავად წავიდა. თვითმფრინავში შესვლამდე კიდევ ერთხელ მოიხედა. გაშლილი მარჯვენა ასწია, წუთით შეყოვნდა და ბოლოს თვალს მიეფარა. მალე თვითმფრინავიც ღრუბლებში აიჭრა და გაუჩინარდა. ქალმა კონვერტი გახსნა, ფურცელი გაშალა და კითხვა დაიწყო. მალე ცრემლი ღვარად წასკდა. ეს იყო ანდერძი, რომლის მიხედვითაც მირზა საფრანგეთში არც თუ მცირე ქონებას მის მომავალ შვილს უტოვებდა. ამ შვილის დედად კი თამუნიას აღიარებდა.

– ყველაფერს მიმხვდარა. ღმერთო ჩემო, მიმხვდარა თუ... იქნებ მე მომცა შანსი. თუმცა რას გაიგებ. მირზას სიკეთეს ხომ არასოდეს არ აქვს გასაღები.

ქალი ეიფორიაში ჩავარდა. ლამისაა თვითმფრინავს გასდევნებოდა. ხან პირჯვარს იწერდა, ხან გამალებით ცრემლებს იწმენდდა. გაოცებული გამვლელები შესცქეროდნენ და ვერ ხვდებოდნენ

როგორ მოქცეულიყვნენ. ქალი კი არავის ერიდებოდა, ირგვლივ ვერავის ამჩნევდა. უცებ ტელეფონი აწკრიალდა.

– .....

– არა ქალბატონო, ნუღარ დამელოდებით.

– .....

– ახმედ-ბეი, ნუ მთხოვ... მე ჩემი შვილი აქ უნდა გავზარდო.

– .....

გამოუყენებელი პომადა

ჩემი ბებია სასწაული ქალი იყო. მის ყველა თვისებას წინ ეპითეტად უსაზღვრო უნდა დავურთოთ. ქალი – უსაზღვროდ ერთგული და თბილი, უსაზღვროდ მოსიყვარულე და მიმტევებელი, უსაზღვროდ ბედნიერი და ამავე დროს უბედურიც. გულიკო დიასამიძე – ერთიანად, დამამშვიდებლად თაფლისფერი ქალი. თმებიც და თვალებიც თაფლისფერი.

– ბებო, ასეთი ლამაზი ქალი როგორ მიგატოვა ბაბუამ?

– ეხ, შვილო, კი არ მიმატია, ადგა და წევიდა. ბოლოს ხომ მაინც დაბრუნდა?!

კი, ბოლოს დაბრუნდა ბაბუა და ბებოც დახვდა მას თავისებური, უწყინარი საყვედურით. მისმა სუსტმა მხრებმა ატარა იმდროინდელი აჭარელი ქალის მართლაც არაჩვეულებრივად მძიმე ხვედრი.

– ჩემს რაიონში პირველმა მე გადავაგდე ჩადრი. ვისაც ვუნდოდი და მოვწონდი, ყველამ ზურგი მაქცია, მაგას ოჯახში აღარ შევიყვანთო. შუქრიმ რაფერ წამომიყვანა არ ვიცი.

ახალ ოჯახში პატარძალს ერთი მეტად ორიგინალური და ძველი დროისთვის ავანგარდული, საზოგადოებისთვის მიუღებელი ჩასაცმელი მიჰყვა.

– ერთი კოფთა მქონდა, იდაყვს ქვევით ქონდა მკლავები და შავი იუბკა წვივებს მიფარავდა. კი წამოვღე სახლიდან, მარა ვინ ჩამაცვა?! ყოველ საღამოს, დაწოლის წინ, შუქრი მეტყოდა, ერთი შენი მოტანილები ჩაიცვი და დემენახვეო. არც შემეზარებოდა, ჩევცვამდი, გევიარდი-გამოვიარდი ჩემი კაცის წინ. ყოველ საღამოს ერთს გამოვიპრანჭებოდი. შუქრისაც ძალიან მოწონდა, მარა ვერ მაცვამდა, დრო იყო იმფერი.

– ეხ, ჩემო ბებო, ბაბუას თამამი ქალები მოსწონდა, მაგრამ მის თამამ ცოლს ვერ გეპატრონა, ვერ მოგკიდა ხელი, მის მიერ მოწონებული სამოსით შემოსილს, ვერ ჩამოგატარა ნათესავებთან – ნახეთ რა ლამაზი ცოლი მყავსო – ვერ აღიარა... „გათხოვილი ქალის საქმე სხვააო“ – ასე იმართლა თავი შენს წინაშე და ჩაბმულხარ შენც ცხოვრების ფერხულში.

ცხოვრების წესს კი თვითონ ცხოვრება გვკარნახობს. ჩემი ბებიასა და ბაბუის ახალგაზრდობის პერიოდი ისტორიულ მოვლენას, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებას დაემთხვა. მაშინდელი აჭარელისთვის მუსულმანობა და მისი წესები ხელშეუხებელი იყო. ამ დროს გაჩნდა ქართული ცნობიერებისათვის მანამდე მიუღებელი ცნება – ქართველი მაჰმადიანი, მაგრამ დროთა მეფობას ყველა აღიარებდა. მართალია ამ კუთხის ქალებმა ფეხით გადათელეს ოსმალური ჩადრები, მაგრამ მათი ჩაცმულობა მაინც მეტად შეზღუდული იყო. ასეთი შეფუთული ქალების გვერდით ფერადი თუთიყუშებივით მიმზიდველები ჩანდნენ სიცოცხლის მოყვარული, უკომპლექსო და თავისუფლად ჩაცმული რუსი ეროვნების ქალები. ბაბუაჩემის ასაკის ახალგაზრდისავის კი მეტად პრესტიჟულად და თითქმის ცხოვრების ნორმად იქცა ოჯახში შეფუთულ-შეხვეული მეუღლე და ოჯახის იქით რუსი

ეროვნების საყვარელი ქალი. ერთხელაც ხელი აიღო ოთხ შვილსა და ულამაზეს ცოლზე. თან წაიღო ოჯახში შეკოწიწებული გადანახული მონაგარი და გაჰყვა სატრფოს რუსეთში. გულდაწყვეტილმა ცოლმა მხოლოდ სევდიანი გამოხედვით გააცილა. მის გამოხედვაში ერთადერთი შეკითხვა – რატომ? – იკითხებოდა.

დარჩა დედის ფრთებს ქვეშ ოთხი ანგელოზი, რომელთაც მხოლოდ დედის იმედი ჰქონდათ. დედას კი... თავი დაეხარა, თვალებში ლოდინი ჩადგომოდა. ელოდა ბავშვების დაფრთიანებას და კიდევ... შვილებთან ერთად რუსული წერა-კითხვა ისწავლა. ეს თავისებური პროტესტი იყო, მასზე მიყენებული შეურაცხოფის წინააღმდეგ გამოხატული. გაჭირვებას არ იმჩნევდა, სტუმარს ცალკე დასვამდა, არაფერს მიაკლებდა.

– შვილებო, თქვენ საჭმელი რომ გაგითავდებათ, ცარიელი ჯამებიდან მაინც ჭამეთ, სტუმარმა უხერხულობა რომ არ იგრძნოს და ის რომ წავა, მერე კიდევ გაჭმევთ, – ასე აფრთხილებდა ბავშვებს.

ისინიც უფრთხილდებოდნენ დედას და თვალებში შესცინინებდნენ.

– დე, მამა როდის მოვა?

– რა ვიცი, შვილო, მოვა!

ერთ წვიმიან ღამეს ის მართლაც მოვიდა, მგლის სახე ჰქონდა უკვე.

– უნდა დამმალო, გულიკო, მომდევენ...

ბებიამ შეჰკივლა:

– ადამიანის ცოდვაც დეიდევი?! შენი საშველი აღარაა. კი მარა ხომ გიყვარდა, ქალი რაფერ მოკალ, კაცი ყოფილიყო მაინც!

რვა წელი ემალა ბაბუა მართლმსაჯულებას, ბოლოს მაინც ჩაავლეს და ათი წელიც მიუსაჯეს.

ბებია იშვიათად წერდა წერილებს. შვილებსა და შვილიშვილებს კი გვაიძულებდა ხშირად მიგვეწერა. თვითონ გვკარნახობდა და ჩვენი წერილებით არწმუნებდა ბაბუას, რომ ყველას გვენატრებოდა, გვიყვარდა და ველოდებოდით.

ციხიდან დაბრუნებული ბაბუა ჩვენ ვერც კი ვიცანით.

– ამ დღისთვის რამდენი რამ მქონდა სათქმელად მომზადებული, მაგრამ ახლა რაღა ვუთხრა ამ მოთავებულ კაცსო – თქვა ბებიამ და სკამი მიუჩოჩა.

– ეს რა ახალგაზრდობა მოსულა, როგორ დადიან ჩემი შვილიშვილები – შეშფოთდა მოხუცი კაცი – გოგონებმა კაბები დაიგრძელონ! – გასცა განკარგულება.

– დაწყნარდი, შუქრი! – მიმართა ბებომ – რომ ვთხოვო, დამიჯერებენ, მარა არ ვთხოვ. ძალიან მომწონს ჩემი ბაღნები. იარონ მოკლე კაბებით. ახლა ასეა მოდაში, ჩემი ბადიშები ვისზე ნაკლები არიან ნეტა!

– ბებო, შენ ცოტა ადრე დაიბადე – ვუთხარი ერთხელ.

– რატომ ამბობ მაგას?

– შენ ახლა უნდა ყოფილიყავი ახალგაზრდა და გეხარა სწავლით და ჩაცმით.

– კი, კი, მართალს ამბობ. წერა-კითხვა ქართულადაც ვიცი, თურქულადაც და რუსულადაც, მარა ეს არ კმარა. ახლა თქვენ რომ გხედავთ, ასეთებს, ეს მიხარია.

– ბებო, ძალიან მიყვარხარ.

– რომ გიყვარდე, დიდედას დამიძახებდი, მაგრამ არაფერია, წინა დღეს უარესი ვნახე. ერთ ბებიას პატარა შვილიშვილი ბეკეკასავით დასდევდა და ბეე... ბეეს... ეძახდა. ბებო დამიძახეთ, მარა ბე არ გამაგონოთ.

ასეთი საუბრის დროს ხშირად შემიმჩნევია როგორი დასაწყლებული თვალით გვიყურებდა ბაბუა. აშკარად გრძნობდა, რომ ბებო უფრო გვიყვარდა.

ბებომ სიბერეში გადაკრული ნათქვამებით მთლად გამოუყვანა წირვა მეუღლეს.

– შუქრი! დღეს სტუმრად რომ ვიყავ, მე და ერთი კაცი ლიფტში გევიჭედეთ. ორი საათი ვერ მოგვიხერხეს იქედან გამოყვანა.

ბაბუა სერიოზულად იბოღმებოდა, ბებო კი თვალს გვიკრავდა:

– თუ მაგარი იყავ, ადრე დეგეცავი, რუსეთში რომ დარბოდი, – ნიშნის მოგებით გადახედავდა ეჭვით გასივებულ მეუღლეს.

ერთ დღესაც გახარებული მივვარდი ბებოს.

– დიდედა, იცი, როგორ უნდა გაგახარო?!

– შენ უკვე გამახარე!

– აი, ეს წიგნი უნდა გაჩუქო. ნახე, ემენ დავითაძე „სოფლის აღმაშენებელი“. ხედავ აქ ვისი სურათია?!

ბებო წიგნს დააცქერდა, ხელი დასტაცა, გულში ჩაიხუტა, გაირინდა, მერე კი ისევ შორიდან შეხედა:

– ჩემი მამა... ეს ყაბალახი მე გიყიდე. გახარებულმა იმ დღესვე სურათი გედეიღე. ამ სურათში შენ სამოცი წლისაც არ ხარ. ახლა მე შენზე დიდი ვარ ბაბი... რაფერ მენატრები! ნენეს სურათი არც დამჩა. კიდევ კაი შენი სურათი არ დაკარგულა არხივში. ეს რა გამახარე დღეს შენი ნახვით. კაი კაცი რომ იყავ, იმიტომ ჩაგხატეს წიგნში. შენი ბადიშის ბაღანამაც გიცნო და მოგიყვანა შენ შვილთან, ხედავ?!

ოთახიდან გავედი, არ მინდოდა მამა-შვილის შეხვედრაში ხელისშემშლელი ვყოფილიყავი.

მთელი ცხოვრების მანძილზე ბებოს საკუთარი ადგილი ჰქონდა და ის არ დაუკარგავს. რომ აღარ შეეძლო, ერთი ციდა ბოსტანი გაიკეთა და მწვანილს თესავდა. მას პატარა მძივებით მოქარგული ჩანთა ჰქონდა, რომელშიც ყოველთვის იდო სუნამო, ფითქინა ცხვირსახოცი და წითელი პომადა, რომელიც არასოდეს გამოუყენებია. ცხოვრებაში ამ ქალს რა არ გადაუტანია, თუნდაც მხოლოდ ბაბუასაგან, მაგრამ საყვედური არ დასცდენია და როცა ბაბუამ ხელი წამოავლო მის პომადას – რაღა დროს შენი პამადაა – და ფანჯარაში ისროლა, აი, მაშინ კი აფეთქდა ჩემი ბებია:

– როდის იყო ჩემი დრო, ერთი ეს მითხარი!

ბაბუამ თვითონვე მოიტანა გადაგდებული პომადა და ხმის ამოუღებლად ჩანთაში დააბრუნა.

ბებოს ძალიან უყვარდა შვილიშვილებთან შეყვარებულებზე საუბარი. სხვადასხვა ასაკის ქალიშვილს ის სხვადასხვაგვარად არიგებდა. თხუთმეტი წლის გოგონას ასე ეუბნებოდა:

– ქუჩაში არავის შეხედონ. თუ რამეს დაგიძახებენ ან შემოგთავაზებენ, ისე შეუბღვირე, მეორედ ვერაფერი გაგიბედოს.

თვრამმეტიდან ოც წლამდე ქალიშვილს სხვაგვარი დარიგება ელოდა:

– შვილო, მომისმინე, უკვე დროა, აირჩიე ვინმე. ბაღში რომ შედიხარ, გაშლილ ვარდებს კრეფ თუ კოკრებს? ასეა ყველა. არჩევანი გააკეთე, მაგრამ არ შეცდე, ისეთი ვინმე არ აირჩიო, ერთი ყვავილის მორთმევა მაინც ვერ მოიფიქროს.

ოც წელს გადაშორებული გოგონა ბებიასათვის უკვე შინაბერა იყო და სერიოზულ პრობლემად მიაჩნდა მისი გათხოვება:

– შვილო, გაიგე, დღეს სხვანაირი დროა. ერთ ნაბიჯს რომ გადმოდგამს შენსკენ ბიჭი, შენ ორი უნდა გადადგა მისკენ, აბა რაფერ?! ბევრს კი არ შეგეხვეწებიან?!

– ჩემო ბებო, თუკი ვინმე ფეხს გადმოდგამს ჩემსკენ, ისე შევუბღვერ, ახლოს ვეღარ მეკარება – ახსენებს შვილიშვილი ხუთი წლის წინანდელ დარიგებას.

– ვაიმე, შვილო, სულ კი არ უნდა უბღვირო, გაუცინე, კულტურულად ელაპარაკე და შეგიყვარდება.

– ეჰ, ბებო, მე უკვე გაშლილი ვარდი ვარ, ყველას კოკრები უნდა.

– გული არ გეიტეხო, შვილო. დაჭკვიანებულ და სერიოზულ გოგოს რა სჯობს. ახლა ყველაფერი უფრო ადვილია. ადრე ყველაფერი უკვირდათ.

– ეე, ბებო, ახლა სხვაგვარი პრობლემებია, სხვაგვარი.

– მაგით მე ვერ გამაკვირვებ. ახლანდელი ახალგაზრდები საყვედურს რომ იტყვით მიკვირს. ჩემმა ბაბამ სამივე ბიჭი, ჩემი ძმები სკოლაში მიიყვანა, მე კი დამტია, მარა მაინც ვისწავლე მათგან წერა-კითხვა ქართულადაც და თურქულადაც. ჩემი შვილებიდან კი – რუსულად. თქვენ კი წინა დღეს პროგრამა ვერ ვთქვი გამართულად და გაგეცინათ. ასეთ სიტყვებს მე ახლა ვსწავლობ.

სიმართლეს ამბობდა ბებო. წიგნი მართლაც იყო მისი ინტერესის მთავარი საგანი. ჩამოჯდებოდა, ხმამაღლა იკითხეო, გვთხოვდა და გვისმენდა. მახსოვს „შუშანიკის წამებას“ ვკითხულობდი, შევატყვე დიდი ინტერესით მისმენდა, ისტორიული პერიოდიზაციაც კი დავარღვიე და მეტი ეფექტისათვის ისე წავიკითხე, თითქოს შუშანიკმა მუსლიმანობისათვის გასწირა თავი. თან შიშით თვალები კარებისკენ გამირბოდა, ჩემს დას რომ გაეგონა, სასაცილოდ ამიგდებდა. ბებოს კი ჩემთვის მოულოდნელი რეაქცია ჰქონდა:

– მე მეგონა წიგნებში ყოველთვის ჭკვიანურ ამბებს წერდნენ. დედოფალმა ქალმა არ იცოდა, რომ ჩვენ თავიდან ქრისტიანები ვიყავით?! მაგისთვის თავი რატომ მოიკლა. ოთხი ბაღანა იმ გადარეულს რაფერ დოუტია. არა! დღეს ვერ წამიკითხე კაი ამბავი.

იძულებული გავხდი მეღიარებინა რაც გავაკეთე. ისე ეწყინა, სირცხვილით სად წავსულიყავი არ ვიცოდი. თვალებს ვერ ვუსწორებდი, როცა მისგან დამსახურებულ საყვედურს ვისმენდი...

– ვერ ვხვდები, შენ მე ვინ გგონივარ. შენ იცი მამაჩემი რაფერი კაცი იყო? რუსის ჯარისაც არ შეშინებია და მუჰაჯირად არ წასულა. ბევრი დიდი კაციც კი ერიდებოდა მასთან საქმის წახდენას. მე კი მისი გოგო, სახლში უჩადროდ მივედი. სხვებსაც კი უნდოდათ ამის გაკეთება, მაგრამ ვერ გაბედეს.

– ხომ არ დაგსაჯა მამამ?

– დამსაჯა? ამფერი ლამაზი თუ მყავდი, არც ვიცოდიო. რას მეტყოდა, მისი შვილი მას ვემსგავსებოდი, გავბედავდი, აბა რას ვიზამდი. ნენეს ჭადი ოთხად გაჭრილი რომ არ დახვედროდა, საქონელს აჭმევდა. ეს ძველი დროიდან მოდიოდა და ჯვარს ნიშნავდა. ეს დღეს ყველამ იცით და გგონიათ მე არ ვიცი?! შენ კი დღეს...

– მაპატიე, ბებო, შენ ხომ თურქული ლოცვები იცი.

– ქართული ლოცვა ვინ მასწავლა. სულ უღმერთოდ კი არ მინდოდა დარჩენა. დღეს რომ სკოლაში გასწავლიან ღმერთი არ უნდა გწამდეთო, იცოდე, ეს დიდხანს არ გაგრძელდება. იცოდე ღმერთიც არის და ის ქვეყანაც. აბა დოდოფალი ქალი თავს ტყვილად შეაკლავდა?! მარა შენ ჩემთვის ეს არ უნდა გეკადრებია. მე...

– მაპატიე, ბებო! – სიტყვა არ დავამთავრებინე.

მართლაც მაპატიე, ბებო, ყველაფერი და განსაკუთრებით ის, რომ შენი მდიდარი ფოლკლორი ვერ ჩავწერე. მაინც რამდენი ლექსი იცოდი. მახსოვს ფანჯარასთან მჯდარი ღიღინებდი:

„მარიობას დიგინახე, მიგიგავდა მას თვალები,
მასსავით ლამაზი იყავ, დიმიბნელე მეც თვალები“.

– ბებო, მარიობას დაგინახე რას ნიშნავს?

– აგვისტოს ბოლოს მარიობაა, დეილოცოს მისი დედობა, მერე უკვე შემოდგომაშიც შევდივართ.

შემინდე, დედაო ღვთისავ, მაგრამ ბებოს პასუხი გამიკვირდა, არ მეგონდა თუ გიცნობდა. თუმცა ყოველივე უფლის ნებაა და კაცთა გამოცდისათვის ალბათ ესეც იყო საჭირო.

ყველა განსაცდელთან ერთად, ბებოს ავადმყოფი მეუღლის მოვლაც საკმაოდ დიდხანს მოუწია. ის თავზე ადგა მეუღლეს, არაფერს აკლებდა.

– დედა, რა ამბავია?! ამდენი მას არ უზრუნია ჩვენზე. – გადაჰკრა ერთ-ერთმა ქალიშვილმა.

– ახლა ანგარიშების გასწორების დრო არაა, კაცი ავადაა. ესეც რომ არ იყოს, მამაშენზე საყვედურის თქმის უფლება მე მაქვს და არა შენ. – ქალიშვილს ხმა აღარ ამოუღია. გონებაში კი წარსულის სურათი ამოუტივტივდა.

ბაბუას ერთხელ ოჯახში რუსეთიდან ჩვეულებრივი ნათურები გამოუგზავნია, რაც მაშინ დეფიციტური ყოფილა. როცა შუქი აუნთიათ, ბებიას შვილებისათვის უთქვამს:

– ხომ ხედავთ, მამათქვენმა რუსეთიდან აქ ოჯახი გაგინათათო.

ამის შემდეგ გაბედე და გაულანძღე ამ ქალს მეუღლე, როგორიც არ უნდა იყოს ის.

– ბებო, დღესაც ლამაზი ქალი ხარ, მთელი ცხოვრება ქმრიანი ქვრივი იყავი და...

გამომცდელად გადმომხედა:

– ჩვენი კუთხის და დროის ქალი ოჯახს არ დაანგრევდა, შვილო. ოჯახი ყველაზე დიდ ღირსებად ითვლება. ერთ ძველ თქმულებას გეტყვი და მიხვდები ყველაფერს. ცოლ-ქმარმა სერიოზულად იჩხუბა. ქმარმა უთხრა – ახლა მე დევიძინებ და გაღვიძებულს სახლში აღარ დამხვდეო, თანაც ამ ოჯახში რაც კი ძვირფასად მიგაჩნია, შენი იყოს, წეიღე ოღონდ აღარ დამენახოო. იღვიძებს კაცი, მიმოიხედავს, რომ სიდედრ-სიმამრის ოჯახშია. რაშია საქმე? აქ რატომ ვარო? – მოკითხა ცოლს. მან კი უპასუხა: – შენ ხომ ნება მომეცი იმ სახლში რაც ყველაზე ძვირფასია თან წაიღეო, მეც შენ წამოგიღეო. ასე შეინარჩუნა ქალმა ოჯახი. ეს რა თქმა უნდა ზღაპარია, მძინარე კაცს ზურგით ხომ ვერ გედეიტანდა, ან იმ კაცს იმფერი რა ძილქუში დააწვებოდა ვერაფერს მიმხვდარიყო, მარა აქ იმ ქალის მოხერხებულობაზე და გამტანობაზეა ლაპარაკი. ახლა კაცი ქალს მეოცე კაბას თუ არ უყიდის, შეიძლება ოჯახი დეიშალოს. განა ზოგ კაცს ეკუთვნის, მარა ბავშვებია ცოდვა.

– ბებო, შენ ზოგად პასუხს მცემ, პირადად შენზე მელაპარაკე.

– ყველაფერი ამ ქვეყანაზე ღმერთიდანაა, შვილო. ჩემი ბედი ასე ყოფილა. ერთმა რომ არ გაამართლა, ძიებას ხომ არ დევწყებდი. ბედი მქონოდა, ის იქნებოდა კაი. სამაგიეროდ ჩემს შვილებს ვერავინ ეტყვის ცუდი დედა გყავდათო. მამის საქმე კი სხვაა, ის კაცია. რუსეთში რომაა, იმფერი თავისუფალი ცხოვრება, აქაც რომ ყოფილიყო, არც შუქრი წევდოდა სადმე. სხვანაირად შემოხედვას კი, შენ თუ არ გინდა, ვერავინ გაგიბედავს, მაგრამ ხანდახან სხვისი კი არა, შენი თავის უნდა გეშინოდეს უფრო. ერთი უქმრო ქალი გარე ყანაში წავიდა ყანის გასათოხნად, ცოტა ხანში მობრუნდა, ჩვენი ნაკვეთის გვრდით მუშაობდა იმ ყანის მეპატრონე კაცი და მე წამოვედიო. კი მაგრამ რამ შეგაშინა იმ კაცისაო? იმ კაცის არა, ჩემი თავის შემეშინდაო. ასეა რამენაირად ჭკუას უნდა მოსძახო, უნდა დაფიქრდე მომავლისთვის რა აჯობებს.

– დიახ... დიახ... მართალი ხარ, ჩემო კეთილო ბებო. მართლაც ძნელია არ აჰყვე ცხოვრებისეულ ცდუნებებს, მერე როგორ აკინძულია მარგალიტის მძივივით?! ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და შემდეგ უკვე შეჩერებაც ძნელია და ათვლაც. შენ კი რა ძალამ შეგაძლებინა ყოველივეს მოთმენა და ატანა?

– შვილების სიყვარულმა შემაძლებინა. ჩემი ზურაბი ყველა ცდუნებას დაგავიწყებდა ისეთი იყო. გოგონებიც კარგები მყავდა. ყველას ოჯახები აქვთ, შვილები ჰყავთ. ადრე თუ მიჭირდა და ბედნიერებას ვერ ვგრძნობდი, დღეს ბედნიერი ვარ, თქვენ მყავხართ.

– და ჩვენ შენ გვყავხარ, ასეთი კარგი და თანამედროვე ბებო.

მართლაც არაჩვეულებრივი ბებო გვყავდა, მაგრამ სამწუხაროდ ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული... ძალიან დიდხანს ბებოს ლამაზი სურათი კედლიდან გვიღიმოდა და გვეფერებოდა. ის ჩვენს ტკბილ ბავშვობას გვაგონებდა. მისი თეთრი მსუბუქი ლეჩაქით, მისი უმცირესი მძივებით მოქარგული ჩანთით, რომელშიც ყოველთვის ეწყო სუნამო, ფითქინა ცხვირსახოცი და წითელი პომადა, რომელიც მას არასოდეს გამოუყენებია.

P.S.

როცა ჩანაწერის გაკეთება დავასრულე, საოცრად მომინდა ბებოს ახლანდელ სამყოფელთან მივსულიყავი და მისთვის წამეკითხა. გზად ჩვენებთან შევიარე. იქ ახლა ბებოს შვილიშვილისშვილი სახლობს, მისი ახალშერთული მეუღლით. ბებოს ოთახი აღარსადაა.

პატარძალი დატრიალდა. ბებოს მოეწონებოდა ასეთი გოგო – გავიფიქრე. რომ გაიგო, სასაფლაოზე მივდიოდი, თვითონაც გამომყვა.

გზად მიმავალმა ნაგავსაყრელთან სურათი შევნიშნე: ნაგავი გადავქექე და ჩემი ბებოს გაფუჭებული სურათი შემრჩა ხელთ. პატარძალი უხერხულად შეიშმუშნა.

– მე არ ვიცი ვისი სურათია, თანაც უკვე გაფუჭებული იყო.

– არა, გენაცვალე, შენ არაფერი დაგიშავებია. ეს თვითონ ცხოვრებაა ასეთი ულმობელი. გთხოვ, ეს ყველაფერი ახლავე დაწვი, სასაფლაოზე კი მარტო წავალ.

ბებოს წავუკითხე ჩემი მოთხრობა. იქ გამეფებულ სიჩუმეს ვესაუბრე. მერე ვეამბორე ბებოს სხეულზე დაყრილ მიწას, მის გულლზე ამოსულ იას მოვეფერე და ცრემლით ბოდიშიც მოვუხადე. საწუთროს ამოებით გულდამძიმებული წამოსვლას ვაპირებდი, უცებ ვიგრძნი თითქოს ჰაერის ნაკადმა შემკრა და შემაჩერა. მე მას მთელი სხეულით ვგრძნობდი. უცებ ამ ნაკადმა მთლიანად გამათბო, თითქოს გულში ჩამიკრა. საოცარი კი ის იყო, რომ ჩემს ირგვლივ ჰაერში ბებოს სუნამოსა და პომადის ნაზი სურნელი ტრიალებდა.

სპექტრი სიკეთისა

როგორ დაგვაშორა ცხოვრებამ ბავშვობის მეგობრები, – გაიფიქრა გზად მიმავალმა ქალმა და გაკრიალებულ თეთრ მანქანას გააყოლა თვალი, – მაინც რა მოულოდნელობითაა სავსე წუთისოფელი – განაგრძო ფიქრი და გონებაში წარსული ცხოვრების სურათები ამოუტივტივდა. ორივე გაჭირვებასა და სიღარიბეში იზრდებოდნენ, რამაც უფრო დააახლოვა ერთმანეთთან. წამოიჩიტნენ დამშვენდნენ. განსაკუთრებით თამარმა დაიმშვენა ქალობა. მეგი კი ჩვეულებრივ გოგონად დარჩა. მით უმეტეს მის კოპწიაობაზე მშობლები არ წუხდნენ. უფრო მეტიც საჭიროდაც არ თვლიდნენ. მათთვის მთავარი იყო შვილები მშივრები არ ჰყოლოდათ.

თამარს კი დედა არაფერს აკლებდა. დაუღლელად შრომობდა და ქალიშვილს დედოფალივით აკეკლუცებდა. მოწესრიგებული, ძვირფასად ჩაცმული და ორმაგად გალამაზებული თამარი ტოლებში ამაყად დადიოდა. თაყვანისმცემლების სიმრავლე თავდაჯერებულობას მატებდა.

მირბი-მორბოდნენ მაჭანკლები. გარიგება – ესე იგი მხარეები ურიგდებიან ერთმანეთს, პირობას დებენ, ითხოვენ, პირდებიან... რა ვუყოთ, რომ ამ დროს სიყვარულის ღმერთი დუმს. რაკი გარიგებაზე მიდგა საქმე, თაყვანისმცემლებში საუკეთესო შეარჩიეს და კარგადაც გაურიგდნენ. როგორც იტყვიან ჩიტის რძეც არ აკლდა თამარს.

მეგისთვის კი მთავარი სიმდიდრე სიყვარული იყო. შინაგანად ეს ეამაყებოდა კიდეც, მაგრამ თავი მაინც დამცირებულად იგრძნო, როცა შემთხვევით შეხვედრილმა ძველმა მეგობარმა ალმაცერად გადახედა მის უბრალო სამოსს.

* * *

– ბედნიერი ქალი ვარ, მე და ჩემს შვილებს არაფერი გვაკლია, – ხშირად იტყოდა თამარი.

– მართლაც ბედნიერი ქალი ვარ, შეიძლება ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ კარგი შვილები მყავს, – ფიქრობდა მეგი.

– ისევ დაბალი ქულა მიიღე? რატომ არ გინდა სწავლა? რა არ გყოფნით? რა გაკლიათ? მარტო ბიბლიოთეკა გაქვთ რამოდენა. სულ ფერების მიხედვით გიწყიათ ხელუხლებელი წიგნები, დაჯექით და იკითხეთ.

– მაღალი ქულები დამახვედრე, შვილო? გენაცვალოს დედა! ამ საგანში რატომ მოიკოჭლე? წიგნი, რომ არ გქონდა იმიტომ. არაუშავს რამდენიმე დღეში მაგასაც გიყიდი და გამოასწორებ. ეჰ, მამას მოსწრებოდა შენი წარმატებები. როგორ იამაყებდა?!

– უძვირფასესი ტანსაცმელი მომართვა ჩემმა მეუღლემ მეც და ბავშვებსაც. ცნობილი სამოდელო სახლიდან. ღმერთო, რა ამაყი ვარ!

– შვილო, ამას ისე კოხტად დაგიკერებ იფიქრებენ სპეციალურადაა, ისევ გამოგვადგება. შენისთანა შვილი ნამდვილად იმსახურებს ყველაფერს კარგს, მაგრამ ცოტაც მოვითმინოთ.

აი, ასეთი კონტრასტული ოჯახები ჰქონდათ ძველ განუყრელ მეგობრებს.

ხანდახან ტვირთისაგან მკლავებდაწეწილი მეგი გზად რომ მიდიოდა, თამარი ჩაუქროლებდა ავტომობილით. ზოგჯერ შეაჩერებდა კიდეც მანქანას, მაგრამ მხოლოდ საკუთარი სახლის გადასახვევამდე მიიყვანდა მეგის. ამის შემდეგ ის ფეხით აგრძელებდა გზას. ამ დროს მეგი საშინლად გრძნობდა თავს. მეგობრის მიერ გამოჩენილი ყურადღება მოწყალებას უფრო ჰგავდა და შეურაცხყოფდა. მითუმეტეს, რომ მათი ნაცნობობა სულ ამითღა შემოიფარგლებოდა.

* * *

დრო გადიოდა, ბავშვები იზრდებოდნენ. თამარის ოჯახში ქონებას ქონება ემატებოდა, მეგის ოჯახი კი ხშირად მსუბუქი სადილით გადადიოდა.

– დედა, ეს რა ფულია, ეს როგორ მეყოფა... კიდევ... კიდევ... ითხოვდნენ თამარის შვილები. ითხოვდნენ და რა თქმა უნდა ღებულობდნენ.

– დედა, ექსკურსიაზე არ წავედი და ამ ფულს უკან გიბრუნებ, გამოგვადგება, – შვილის გულისხმიერებამ ცრემლი მოგვარა მეგის.

– ასეა ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს! – კისერზე ჩამოეკიდა თამარი მეუღლეს. – პოლიციას ჩაუთვალე ფული და ყველა საბუთი განადგუდა. შენ შვილს კი არც ჩხუბი მოსვლია, არც არავინ დაუჭრია და არც პოლიციაში ყოფილა არასდროს, – ტრაბახით აიკლო ოჯახი ქალმა.

მეგი გაფითრებული შევარდა პოლიციის შენობაში. ადამიანის სახე აღარ ქონდა, ერთიანად კანკალებდა.

– როგორ გეკადრებათ, ჩემი შვილის ჩხუბი და იარაღი ვინ გაიგონა?! ან იქნებ, თქვენი აზრით უპატრონოა ეს ბავშვი და რამეს დააწერთ. მეგის და მის შვილს მთელი უბანი ამოუდა მხარში და შვილის უდანაშაულობა დაამტკიცეს.

* * *

თავშეკრული და გულშეწუხებული თამარი ძვირფას დივანზე მისვენებულიყო. მეუღლე კი ყავის ფინჯანში რაღაც წვეთებს გულმოდგინედ უგროვებდა. ცოლს თვალს ვერ უსწორებდა და მზრუნველად განაგრძობდა წვეთების თვლას.

– რა დონდლო კაცი ხარ, ხომ თქვი ბავშვის სწავლის საქმე მოვაგვარეო.

– რა ვიცი ძვირფასო, რამდენიც მითხრა არ შევვაჭრებივარ, ყველა ჩაუთვალე. შენს თავს გეფიცები, მივეცი არ დამნანებია.

– მიეცი და ბავშვი მაინც უნივერსიტეტის გარეთ დარჩა. ღმერთო, ნუთუ ეს სამართალია.

– კარგი, საყვარელო, ოღონდ შენ დამშვიდდი გაისად მოვახერხებ რამეს. ოღონდ არ ინერვიულო გულს გაუფრთხილდი.

– არა, მე გულს ეს არ მიკლავს ჩემი შვილი არ დამრჩება. რამეს მაინც მოვახერხებ, მაგრამ თავი სად გამოვყო, ჩემი ბავშვი გარეთაა და იმ ღარიბ-ღატაკი მეგის შვილი კი უნივერსიტეტში. ვის უფრო მოუხდებოდა იქ სიარული, ჩემს პეწენიკა შვილს თუ მეგის ჩაუცმელ-დაუხურავ ბიჭს?! აი, ეს მხეთქავს გულზე. როგორ ვთქვა, როგორ ვიკადრო.

* * *

მძიმე ცხოვრებამ ადრე გატეხა მეგის ჯანმრთელობა ვაჟიშვილი უნივერსიტეტიდან საზღვარგარეთ გაუშვეს. ავადმყოფობა არ შეიმჩნია დედამ შვილს ჯავრი არ გაატანა. ქალიშვილები ავადმყოფს თავს ევლებოდნენ. მეგი იმდენს ეცადა, ინგლისიდან დაბრუნებულ შვილს ფეხზე მდგომი დახვდა და მისი ჩამოსვლით გაიხარა. უფრო დიდი სიხარული კი შემდგომ ელოდა თურმე. მისი შვილი მთელი ქალაქის მმართველი გახდა. ხუმრობა ხომ არაა – მეგის შვილი ამოდენა ქალაქის მერი.

– ჩემმა შვილებმა რატომ ვერ მიაღწიეს ვერაფერს, – აქოთქოთდა ამ ამბის გაგებისთანავე თამარი, – არაფერი დამიკლია, მათთვის ვცხოვრობდი, ყველაზე კარგი მაგათ ეცვათ, საბავშვო ბაღიდან დაწყებული საუკეთესოს ვურჩევდი და საბოლოოდ რა მივიღე? უქნარა და ზარმაცი შვილები! აი მეგის როგორ გაუმართლა?! მისი შვილი ქალაქს მართავს, კიდევ დააწინაურებენო ამბობენ. ღმერთო, მე ნამდვილად გავგიჟდები.

– დედა, რა დაგემართა? ახლა რის გამო ღელავ? – მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება ტელევიზორის ყურებით გართულმა ვაჟმა.

– თქვენ გამითეთრეთ თმა, თქვენ გამიჩინეთ ნაოჭები და ბოლოს თქვენ მომკლავთ მე.

– შენ რომ ყველაფერი ჩვენ არ გადმოგვაბრალო არ შეიძლება რასაც შენ ამბობ, უბრალოდ ცხოვრების კანონზომიერებაა.

– თქვენ დამიჩქარეთ ყველაფერი. ჩემს სილამაზეს ასე მალე დაჭკნობა არ ეწერა.

– კარგი რა, დედა, საკმარისია. შენ ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი და მზრუნველი დედა ხარ, ოღონდ მეუღლესა და შვილებში არ გაგიმართლა. ახლა კი საქმე მაქვს და მომისმინე.

– რა ჯანდაბა გინდა, უფრო სწორად რამდენი.

– ფულზე პრობლემა არაა ხომ?! ამჯერედ სხვა საქმე მაქვს. ჩვენი ქალაქის მერის დედა შენი ბავშვობის მეგობარი ხომაა? მიდი რა, ჩვენთვის ერთი კარგი სამუშაო სთხოვე.

– ვის ვთხოვო? მეგის? – თვალები გაუფართოვდა თამარს.

– რა სახე მიიღე, რა გემართება?

– ჩვენთვისო, რომ თქვი, ვინაა ის მეორე? – თამარმა სასწრაფოდ სხვა საკითხზე გადაიტანა შვილის ყურადღება.

– მე და ნიკო.

– შენ, რომ სხვა არ აიკიდო ისე როგორ შეიძლება. რად მჭირდება მე ნიკო? როდის უნდა იფიქრო მხოლოდ შენს თავზე?

– დედა, საკმარისია. ნიკო იმიტომ არ მოგწონს, რომ მდიდარი ოჯახის შვილი არაა. ერთხელ უკვე დამაშორე და რა შედეგი მოყვა ამას კი იცი. მოკლედ, ან მე და ნიკო სამუშაოს ერთად დავიწყებთ, ან ისევ ძველ გზას დავადგები.

– მაშანტაჟებ?! ნარკომანი, რომ არ იყო აუცილებლად ნიკოს გვერდით უნდა იყო არა? კი, ბატონო, თუ ასე გინდა....

– დიახ, ასე მინდა და ისიც იცოდე, ანისაც დავიბრუნებ. ზედმეტი სიტყვა არ გავიგონო.

– კი მაგრამ....

– არავითარი მაგრამ. გიბრუნებთ იმ მანქანას ანის სიყვარულის სანაცვლოდ, რომ მაჩუქეთ.

– შვილო?...

– დედა, შეიგნე შენი შვილები ბავშვები აღარ არიან. რატომ არ ისვენებ? მეორედ ხომ არ მოხვალ ამ ქვეყნად. ღმერთმა საშუალება მოგცა, გაერთე, ფასეული ნახე რამე, ნახატები დაათვალიერე, მუსიკა მოისმინე, იმოგზაურე და ხანდახან სხვაც გაიხსენე.

– ვინ სხვა?

– გაჭირვებული ვინმე, რა ცოტაა?! მიმოიხედე ირგვლივ. ზოგიერთის ცხოვრების საფასური მხოლოდ ერთი თეფში გაქვს, თუმცა მაინც წუწუნებ და წუწუნებ.

– ესე იგი რაც გვაქვს ყველაფერი გაჭირვებულებს დაურიგოთ არა? კი მაგრამ თქვენ?

– ჩვენც მივხედავთ თავს არ დავიკარგებით. შენ, რომ გგონია არც ისეთი ცუდები და უსუსურები ვართ. ახლა ეს მითხარი, მიდიხარ შენს მეგობართან?

– იქნებ თვით მერთან მივიდე.

– ესეც შეიძლება, მაგრამ ბარემ მეგობარიც მოინახულე.

– არ ვიცი, მოვიფიქრებ.

– შენებურად ახლა რაიმე დაწესებულების დირექტორობას ნუ მოთხოვ. ხომ იცი მე და ნიკო კარგად ვუკრავთ და ამ კუთხით...

– ისევ მუსიკას გაიძახი?! – ისტერიული ყვირილით შეაწყვეტინა თამარმა შვილს, – რა იქნებოდა მეც მყოლოდა ექიმი შვილები რა მოხდებოდა...

– კარგი რა დედა! მე და ექიმი?! ხომ ნახე არაფერი გამომივიდა. შენ იცი რა არის ნიჭი? ნიჭი ადამიანის მისიაა, ის რისთვისაც ყოველი ჩვენგანი მოავლინა უფალმა ამ ქვეყნად.

– რატომ? ეს ხელები ფორტეპიანოს თუ დაუკრავს ქირურგობას ვერ მოახერხებს?! ნეტა მამა გყავს ისეთი მხარში არ ამოგიდგეს თუ დედა?

– კი, კი, წარმოიდგინე ერთ მხარეს დედა, მეორე მხარეს მამა, მე კი ვმუშაობ ავადმყოფთან, თანაც ქირურგი. გაფიცებ, დედა, შენ ამის გჯერა? მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს ნიკოსთან მეჩქარება. – აღელვებულ დედას შვილმა შუბლზე აკოცა და გაიქცა.

– ღმერთო, ვერაფრით გამიგია, როგორ გაზარდა კარგი შვილები მეგიმ და მე ვერა?! სად დავუშვი შეცდომა? იქნებ მეუღლის არჩევანში. ის, რომ კიდევ უფრო მოქნილი ყოფილიყო...

* * *

ავადმყოფ მეგის საკუთარი ტკივილიც კი დაავიწყა ოთახის ზღურბლზე მდგარი თამარის დანახვამ.

– თამარ, შენა ხარ? შენც შეგაწუხე? მობრძანდი.

სტუმარი გაკვირვებული იყურებოდა აქეთ-იქით. აღარსად იყო ის ძველი ქოხი, არც ოთახში იგრძნობოდა სიღარიბე. პირიქით, მეგი მეტად ძვირფას საწოლში იწვა. ასეთი თვით თამარს არ ღირსებია.

– როგორ ხარ, შე საცოდავო? – მწუხარებით მიმართა მან ავადმყოფს.

– საცოდავის რა მაქვს, თამარ, უბრალოდ ავად ვარ თორემ.

– მაპატიე, უნებურად წამომცდა, იმიტომ რომ ვერც კი წარმოვიდგევდი შენ, ქვრივი, ასეთ ცხოვრებას თუ ააწყობდი. ასეთი სახლ-კარი, ავეჯი...

– ავეჯი დიდი არაფერი. არც ვიყავი ამის გამადევარი ძალიან. მხოლოდ ეს საწოლია ძვირფასი. ისიც იმიტომ ვიყიდე, რომ ჩემს ქმარს მოსწონდა და ნატრობდა. არ დასცალდა იმ მართლაც საცოდავს, თორემ მე რა მიჭირს ჩემი შვილების პატრონს.

– მართლაც, მართლაც. – დაეთანხმა თამარი.

მეგიმ ძალიან თბილად მიიღო ბავშვობის მეგობარი. რაც უფრო ბევრ ამბებს იხსენებდნენ ისინი თავიანთი ბავშვობიდან, მით უფრო უკვირდათ მეგის ქალიშვილებს, რომ დედის ასეთი ძვირფასი მეგობარი მთელი ცხოვრების მანძილზე მათთან პირველად გამოჩნდა. ძველ მეგობრებს შორის ყინული გალხვა და ისე კისკისებდნენ, თითქოს ისევ თხუთმეტიოდე წლის გოგონები იყვნენ. მეგის უშუალობამ ისე გაათამამა სტუმარი, რომ ყოველგვარი დაძაბულობა მოეხსნა და სათხოვარიც თავისუფლად ბრძანა. წამით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩაეღიმათ, თვით მეგის კი სახის ერთი ნაკვრთიც არ შეცვლია, თითქოს არაფერი მომხდარა მოულოდნელი. – აუცილებლად გადავცემ ჩემს შვილს ამ თხოვნას და ისე ვთხოვ, რომ შეგისრულოს. მისი იმედი მაქვს, – უთხრა და თან თბილად გაუღიმა. მისმა ღიმილმა ჩამოწოლილი უხერხულობა საბოლოოდ გაფანტა. სტუმარი წავიდა, გოგონებმა მანქანამდე მიაცილეს. უკან დაბრუნებულებს დედა ჩაძინებული დახვდათ.

– დედა დაიღალა და ძინავს.

– მოგეწონა დეიდა თამარი?

– არა! თუმცა გარეგნობით ვერ დაიწუნებ. ვერ გამიგია, თუ ასეთი კარგი მეგობარი იყო, მხოლოდ ახლა რატომ გამოჩნდა.

– რა არის აქ გაუგებარი?

– დედა კი მაინც დაპირდა.

– მე ვთხოვ დედას, რომ ამ ქალის თხოვნა საერთოდ არ გადასცეს...

– ჩემი შვილი აუცილებლად შეასრულებს ამ თხოვნას, – საყვედურიანი თვალები შეავლო მეგიმ შვილებს, – თქვენ კი ყოჩაღ, ასეთი გულღრძო ვის დაემსგავსეთ. იმასაც კი ვერ აფასებთ, რომ თქვენი ძმა საჭირო კაცია და შეუძლია გაჭირვებულს დაეხმაროს. არ მოველოდი ამას თქვენგან. მეგობრის სტუმრობით გამოწვეული სიხარული ჩამიმწარეთ.

– ეგ რა მეგობარია შენი, ან კიდევ რომელი გაჭირვებული?! თვითონ, რომ ულხინდა ვინ გაიხსენა?

– ეს მას მოეკითხება. მე ყოველთვის კარგი მეგობარი ვიყავი მისი და ასეთივე ვიქნები ყოველთვის. მოდით, აქ ჩამომიჯექით სალაპარაკო მაქვს თქვენთან, – გოგონები ჩიტებივით შემოუსხდნენ დედას და სმენად გადაიქცნენ. – მამათქვენის სიკვდილის მერე სიცოცხლეც არ მინდოდა. მაშინ მე შვილებიც არ მახსოვდა და როცა მთელი არსებით მარტოობა შევიგრძენი აი, მაშინ გამახსენდით. იცით, რამხელა ბედნიერება იყო ეს ჩემთვის. საოცარია, მაგრამ იმ უბედურებაში მე ბედნიერების გრძნობაც განვიცადე. ეს კი თქვენ მაგრძნობინეთ. ბედნიერება სხეულის ყოველი უჯრედით უნდა შეიგრძნო, თორემ ისე არაფერია. ჭკვიანს ცოტა ყოფნის ბედნიერებისათვის, ბრიყვს კი ბევრიც არ ყოფნის. ამიტომ მეცოდება თამარი.

– დედა, შენ გეცოდება ის ქალი?

– დიახ, ძალიან მეცოდება, ვერ გრძნობს, არ ყოფნის...

– კარგი რა, დედა, ამას უმადურობა ქვია.

– სწორედაც. როცა უზომოდ დაღლილი გულში ჩემს ცხოვრებას და გაჩენას ვწყევლიდი, თქვენი თვალები მავსებდა ახალი ძალებით. თქვენ ჩემი ფერადი მარტოობა იყავით. გახსოვთ, სამი დღის წინ სასწრაფოდ ორი ქვაბი მჭირდება-მეთქი, რომ ამოვიჩემე?

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს.

– რა შუაშია ორი ქვაბი? მითუმეტეს არაფერში გამოგვიყენებია. მეგის გულიანად გაეცინა.

– იმ დროს მანქანა გაფუჭებული იყო. ჩემმა ბიჭმა კი, ქალაქის მერმა, უბრალო სამარშრუტო ტაქსით ქვაბები მომიტანა. ესე იგი თანამდებობა თავში არ ავარდნია. საერთოდ ცხოვრებაში ყველაფრისათვის მზად უნდა იყო. დაიმახსოვრეთ, დაცემის შიში ამაღლებას უნდა ახლდეს თან.

– რა უცნაური რამ მოგიფიქრებია, დედა, რომ არ მოეტანა?

– როგორ, ავადმყოფ დედას თუ არ შეუსრულებდა თხოვნას, მაშ სხვას ვის უნდა ემსახუროს? ვის უნდა გამოადგეს?

– ქვაბი, რომ არ მოეტანა, თანამდებობიდან მოხსნიდი ალბათ, – გადაიკისკისეს დებმა.

– მე რა თქმა უნდა არ მოვხსნიდი, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვა მიუჩენდა თავის ადგილს. ახლა კი ვიცი, რომ ჩემი შვილი ყოყოჩი და ამპარტავანი არ არის და ფეხზეც მყარად დგას. – მეგიმ ორივე შვილი გულზე მიიხუტა და გაირინდა.

მართლაც, როგორ დაგვაშორა ცხოვრებამ ბავშვობის მეგობრები, – გაიფიქრა და თვალთაგან წყვილი ცრემლი ჩამოუგორდა. – მაინც რა არის სიკეთე? იმიტომ კი არ უნდა აკეთო სიკეთე, რომ ვიღაც გააკვირვო. ცხოვრების წესად უნდა გაიხადო, სხვაგვარად არ უნდა შეგეძლოს. მხოლოდ ასეთი სიკეთე ძლევს ბოროტებას. სიკითე სინათლის სხივს გავს, ანათებს და ათბობს. როცა ადამიანის გულის სისხლს მიაღწევს სინათლის სპექტრის მსგავსად გარდატყდება და ათასი ფერის შუქად მოეფინება სამყაროს.

დუელი

რა გრძნობა გეუფლება, როცა ექიმი თვალს ვერ გაგისწორებს?!

გინდა ისევ შენ იხსნა უხერხული მდგომარეობიდან, დიაგნოზის დასმაში ეხმარები.

– ნუ ნერვიულობთ, ექიმო, ყველაფერი გასაგებია, არც მოულოდნელია რაიმე. ოღონდ ჩვენს შორის დარჩეს.

– უნდა ვიბრძოლოთ.

– მაგრამ არა ლოგინში. კარგად ბრძანდებოდეთ.

პოლიკლინიკის ეზოში, მარტო დარჩენილმა სისუსტე ვიგრძენი, მუხლების კანკალი დამეწყო. იქვე, უზარმაზარ ბზის ბუჩქთან ახლოს მდგარ სკამზე ჩამოვჯექი. საფეთქლებთან ჩაქუჩები მიკაკუნებდნენ.

უკურნებელი...

თვალთაგან წყვილი ცრემლი...

წარმოუდგენლად ცხელი...

წამში გადაფასებული სამყარო... სხვა თვალით დანახული...

რამდენი რამ ადრე ფასეული დღეს არაფრის მთქმელი. უსარგებლო ნივთად ქცეული...

– ღმერთო, ვის შევჩივლო?

– არც არავის! განა გინდა საცოდავი და ავადმყოფი ახსოვდე ვინმეს?

– არა! არ მინდა! მაგრამ არც ის ვიცი რა ვქნა.

– მოიფიქრე რამე!

– რაღა მოვიფიქრო?

– რითაც სხვებს ანუგეშებდი.

– რითაც სხვებს ვანუგეშებდი? მართლაც! აბა გავიხსენო: ძვირფასო, თავი მაღლა. გაიღიმე და გაიმეორე – „მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ის მშვენიერია“.

– აი, ასე!

– დამეხმარე, ღმერთო!

– დაგეხმარები.

სახლთან მისული პირველად შვილმა შემნიშნა და ჩემსკენ გამოექანა.

ნიავი ქოჩორს უწეწავდა...

– მარტო საკუთარ თავზე თუ არ იფიქრებ, ყოველგვარ სტრესს გაუმკლავდები.

– მისი პაწია ხელები კისერზე, ერთი კოცნაც და... ყველაფერი დამავიწყდა.

– რა ძალა ჰქონია ამ პატარა არსებას.

– არა, ღმერთო, ჯერ არა, ჯერ საქმე მაქვს, არა მცალია.

– ჰაი, ქალის ქარაფშუტობავ!

– ყოველი მატერიალურის დასაკარგავად მზადაა, ოღონდ სილამაზე შეინარჩუნოს.

– ბრძოლა სხვა სახესაც იძენს...

– განსაცდელმა რწმენა და დამოუკიდებლობა შემძინა.

– სხვენში წლების წინ გადანახული მოლბერტი მოვნახე. პალიტრიდან ფერებმა სხვანაირად შე-მომანათა.

– ეს ის ფერები აღარ იყო, წლების წინ რომ ვხედავდი... ახლა მე მათ ვგრძნობ.

– ტილო გადავჭიმე და ხატვა დავიწყე.

– პირველად შვილის პორტრეტი დავხატე...

– ნიავი ქოჩორს უწეწავდა, ჩემსკენ მორბოდა.

– იფიქრებდი, ცოტაც და გულში ჩამეკვრებაო.

– შემდეგ მზე და ზღვა...

– უფრო მზის ჩასვენება ზღვაში.

– კიდევ თეთრ ღრუბლებთან, მთაზე შეფენილი თეთრი ცხვრის ფარა...

– კიდევ მთელ კედელზე მინდორი დავხატე მხოლოდ ყვითელგულა თეთრი გვირილებით და მზისფერი ბაბუაწვერებით მოჩითული.

– კრიტიკა ჩემდა გასაოცრად თუ გასამხნევებლად დადებითი: – ისეთი ფერებია გეგონება სა-მოთხეში აღმოვჩნდიო, – თქვა ერთ-ერთმა კრიტიკოსმა.

– დიახ, მე მინდოდა, რომ ის აქ ყოფილიყო, – გავიფიქრე გულდაწყვეტილმა, მაგრამ უზომოდ გახარებულმა.

– მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა ყველას რატომ დავიწყე ასე გვიან.

– ნურასუკაცრავად, ეს ჩემი საიდუმლოა, ცოტა მწარეც კი... მაგრამ იცოდეთ – „სული ჩემი აქაა – ჩემს ნახატებში“.

– დარწმუნებული ვარ, სანამ ვხატავ, ღმერთი მადროვებს.

– არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი პირველი ტილო გამახსენდა. წვიმა დავხატე. „ატირებული ღრუბლები ვუწოდე“. ტილოზე გამოსახულ გოგონას ქარი ისე ურტყამდა სახეში, თითქოს მასზე გულმოსულიაო. წვიმაც უშენდა შეუბრალებლად. გაწუწული გოგონა კი ოდნავ მაინც იღიმებოდა. ცოდვა გახელილი სჯობსო და ბავშვურად ჯოკონდას ღიმილის დაჭერა მინდოდა, სხვა არაფერი. სურათი სევდიანი იყო, არავის მოსწონდა. მთავარი კი ის იყო, რომ მე მომწონდა.

– ეს სურათი დღეს ჩემს აწმყოდ იქცა... ხშირად განმარტოებას ვცდილობ. სულის ნავსაყუდლად ტაძარი მექცა.

– მართლაც ძალიან მშველის ლოცვა... გულიდან წამოსული, ათასჯერ გააზრებული.

– მაგრამ ბოდბეში წმინდა ნინოს საფლავზე დაჩოქილს ყველა ჩემი სათხოვარი თუ სატკივარი გადამავიწყდა და მადლობა გადავუხადე. გულწრფერლი მადლობა ყველაფრისათვის.

– თითქმის დავრწმუნდი, მიუღწეველი მართლაც არაფერია, ოღონდ ძალიან უნდა მოინდომო. ღმერთი აუცილებლად დაგეხმარება. ღმერთი და ისეთი მეგობრები, როგორებიც მე მყავს.

– ხანდახან სინდისი მაწუხებს...

– მე მათ ვატყუებ...

– მაგრამ არა უშავს, მოვა დრო, გამიგებენ, მაპატიებენ. ეს ტყუილი თვითონ მე მათავისუფლებს უდიდესი ეჭვისგან...

– მაინც რატომაა, ვინმესთან ცამდე მართალიც რომ იყო, თუკი კვდება, თავს დამარცხებულად გრძნობ და სიბრალულის გრძნობა გიპყრობს. ყველაფერს ნანობ. ეს რომ გცოდნოდა, არც კი შეედავებოდი, დაუთმობდი, ბოდიშსაც მოუხდიდი. დაე, ის ყოფილიყო მართალი, თუნდაც დაჩაგრულიყო შენი სიმართლე... იმიტომ, რომ სიკვდილი ულმობელია, მაგრამ... მაგრამ დამიჯერეთ მაინც არ შეიძლება ჩვენ, მოკვდავებმა ერთმანეთს მომაკვდავებივით ველაპარაკოთ. მაშინ დაიღუპებოდა კაცობრიობა.

– და ვგრძნობ, თითქოს სიკვდილმა დუელში გამომიწვია...

– თუ მე გამოვიწვიე...

– ეს უთანასწორო ბრძოლაა.

– ალბათ გაგეცინებათ, მაგრამ ეს უთანასწორობა ჩემს სასარგებლოდ მგონია.

– მართლაც მშვენიერია სიცოცხლე.

მედეა ზუკაკიშვილი

კვალი

სახლი, რომელიც ჩემს მხრებზე დგას,
ჩემთან ერთად გაიზარდა.
მე დავიბადე მასში.
უიატაკო მიწის მცენარეებთან ერთად ამოვიზარდე.
ხერხემალზე შემიხორცდა,
მდინარის გიგანტური ქვებით ნაშენი, ხავსისფერი კედლები.
მარჯნისფერი სახურავით.
ავიდგით ფეხი.
ავაფარეთ ერთმანეთს გამჭვარტლულ თვალფანჯრებზე
ნავთისსუნიანი გობელენის ნიღაბფარდები.
თვალის ასახვევად, თუ ბნელის მოსაფენად.
რა საჭირო იყო ამსიმაღლე ფანჯრები და კიბეები.
ამდენი საფეხური.
მხოლოდ იმისთვის რომ ქვადქცეული ცრემლის
ბურთულები ჩამომეგორებინა და მერე
ხტუნვა-ხტუნვით დავდევნებოდი ასაკრეფად?!
რათა ვინმეს არ შეემჩნია..
ფეხი არ დაედგა..
არ დაემსხვრია..
იქნებ იმიტომ, რომ
უმთვარო, ქარიან ღამეებში ჩამოვმჯდარიყავი
მეოთხე საფეხურზე,
ყურებზე ხელებაფარებული და
გაბოლილშუშიან ლამფის შუქზე
გაქვავებული სახეების ჩრდილებს დავმალვოდი.
სანამ ცეკვას დაასრულებდნენ და ხელებს დაუშვებდნენ.
სანამ მათი ხორხებიდან ამომღერებული,
სიცოცხლის საყვედურიანი მინორები,

ხევსიქითა მინდვრებზე გადაირბენდნენ.
შთაინთქმებოდნენ.
რატომ დახტოდნენ ამ სახლის ფეხმოტეხილი სკამები ასკინკილით.
სხვენს რატომ მიმძიმებდა ცარიელი აკვნები.
ბორდოსფერი გველიც აღარ სტუმრობდა,
რაც ხელიდან გამისრიალდა და ჭის ფსკერმა იშვილა.
მხოლოდ შაბიამნისფერი თევზი დარჩა
პაპაჩემის ვენახის ბოლოს
შაბიამნის ხსნარით სავსე ავზში.
როგორი ერთნაირფერიანები იყვნენ,
როგორც ღმერთი და სივრცე.
(მე კი ეს სახლი შემიყვარდა).
როგორი შეუმჩნეველი რჩება ღმერთივით,
რაც მნიშვნელოვანია...
იმ სიტყვათა წყობასავით რაც ვერასდროს დაიწერება.
საუკეთესოდ არ იწერება შუაღამეს.
არც შუადღეს იწერება საუკეთესოდ.
არც საპირფარეშოში იბადება იდეალური ნააზრევი.
საუკეთესოდ შეიძლება ჭურჭლის რეცხვის დროს დაიწეროს,
როცა ნაგვიან ფიქრებს რეცხავ და
წყალს ატან ყოველგვარ უსარგებლოს.
როცა ხეხავ და წმენდ
ძველი სახლის ნესტიან კედლებს,
ქვეცნობიერ ნაკაწრებს პოულობ ხავსმოდებულს.
ისეთებიც მინახავს გალურჯებულ ტუჩებზე რომ უყვაოდათ ხმელი სიტყვები.
ისეთებიც, ხელისგულებზე გასაზრდელი შვილები და
გადასარჩენი მამები რომ ეწვინათ.
რამხელა ცხოვრებას დაიტევს
ვიწრო ოთახებიანი დახავსებული სახლი.
რამდენ წარსულს გამოიტირებს.
საით გაფრინდება ახდილი ჭერი.
რამდენი წვიმის წვეთი ჩაეტევა ამსიღრმე სიცარიელეში.
რა საჭირო იყო ამდენი სიტყვააგური და ლოდი.
ამდენი სარკე.
მათში შენახული ადამიანები.
თუ ერთ დღეს, მაინც ყველაფერი ინგრევა.
თუ ერთ დღეს, ყველაფერი ჩამოიშლება.
ჩემო შაბიამნისფერო ღმერთო,
გამიმაგრე ზურგის კედელი.
სიტყვა.
აგური.

ბებიას

როგორი გოგოები ვყოფილვართ მე და შენ..
როგორი ერთნაირსახელიანები.
როგორი ერთნაირგულდარდიანები.
როგორი ერთნაირქვისგულიანები.
გაიცინე თვალ-გული, წამოწექი ძველი ოდის ფართე ოთახში და
დაიკრიფე სანთელივით ხელები გულზე.
ერთხელ არ გადმომხედე მაღალ-მაღალი,
სამზითვო ფარდაგგადაფარებული ტახტიდან სიმშვიდეაფარებულმა.
მე რას მომატყუებ...
მე რას გამომაპარებ...
მე ხომ ვიცი...
ყინვამიკრულ ანფასებს მიღმა, რა გავარვარებულ დარდს იბრუნებ ყელში.
იმ კვნესასავით რომ არ გამოექცეს ბაგეებს,
ღამ-ღამობით ტკივილებს რომ აყოლებდი.
იმ მოგუდული კვნესასავით,
თეთრი ხელების ლურჯ კაპილარებში რომ გამოამწყვდიე და
ცივი წამლის სუნს ამოაფარე.
მე რას გამომაპარებ...
შენი გამკივანი სიჩუმიდან მესმის მძიმედდარდიანი გულის გოდება.
დაიკრიფე გულხელი და ობლად დამიტოვე ცადთვალებაზიდული,
ცრემლიანი მამაჩემი.
საწოლს მიჯაჭვული ჩვილივით პაპაჩემი.
შელოცვასავით მობუტბუტე მოტირალები:
„შენ მოგმატებოდეს მისი დანაკლისი დღეები.
შენ იდღეგრძელეო“. –
შემომისხდნენ და იბუტბუტეს.
შემომისხდნენ და ივიშვიშეს.
სულ მუხლის ჩოქებით ვკრიფე მიწიდან უშენო შენი დღეები.
მიწადაკაწრული თითებით სათითაოდ შემოვიშენე.
გავდიდდი და გავდღეგრძელდი.
მოვიხურე შენი ლურჯყვავილებიანი ჩითის ხალათი და
დედასავით ვუარე ობოლ მამაჩემსა და ჩვილ პაპაჩემს.
შენით სავსე სიზმრები ვასვი და
უშენობით გაჟღენთილი ღამეებით ვაპურე...
დღემანკიან ობოლ ქალზე,
სანთელივით წმინდად მდუმარე ქალზე –
სულ ლამაზ-ლამაზ ზღაპრებს ვუამბობდი.
ვერ გავზარდე პაპაჩემი.
ილეოდა და პატარავდებოდა.

ვერ გავათბე.
აბა ჩემი პატარა მკლავები როგორ ეყოფოდა ასეთ სიცივეს.
ჩავიწვინე კალთაში და სიკვდილივით მშვიდი იავნანა ვუმღერე.
როგორი გოგოები ვყოფილვართ მე და შენ.
როგორი ერთნაირგულდარდიანები.
შენი წილი ძაძები ჩავიცვი.
შენი ნახშირის უთოთი ვაუთოვე და ვათბე პაპაჩემის სავალი ცივი გზა.
მივუჯექი თავთან და სულ შენი ხმით დავიტირე.
თითებით ამოვკაწრე მიწიდან მისი ნარჩენი დღეები და
უფრო გავდღეგრძელდი.
ხელისგულებზე ვზრდიდი
უთქვენსახოდ ლოყააწითლებულ ჩვენი ეზოს ბროწეულებს.
ცამდე ნაყვავილარ თმაჭაღარა ნუშებს.
ამიცივდა. შემიცივდნენ.
ფოთოლ-ფოთოლ ავიკაფე ხორცებიდან. ვუღალატე.
დავუტოვე ორმაგად ნაობლარ მამაჩემს
დეკემბრის თვალწკრიალა თეთრი თოვლი და გავფრინდი.
დავტოვე ცადთვალებაზიდული ცრემლიანი ცივ თოვაში.
მესამედ დავაობლე.
როგორი ერთნაირი გოგოები ვყოფილვართ მე და შენ.
როგორი ერთნაირქვისგულიანები.

* * *

უნდა მივბრუნდე..
თქვენი წილი და ჩემი წილი დღეები სულ მას უნდა მივუტანო.
უნდა მოვუარო.
უნდა გავზარდო.
არ უნდა დაპატარავდეს..
უნდა მივბრუნდე(!)
თვალები დაეღალა მამაჩემს.

სიცარიელის

შემზარავი სიმშვიდიდან დინებას წყვეტენ სიზმრები.
იზრდები, როგორც ქარში ტალღის იზრდება ღელვა.
მე ვარ,
შენს ტკივილს ხელს რომ ვახლებ, გულზე რომ ვიწყობ.
სულს რომ ვუბერავ,
რომ ვეხვევი შენს სევდას –
მე ვარ...

დამიგულებ და დიდგულდები.
მე კი, ვიმღვრევი.

ვბედავ თვალების გახელას და მზის გულზე წოლას.
ძრწოლა აიტანს, რომ ვერ მნახავს სხივი სიბნელის,
რადგან სიზმრები უსიტყვოა, უხალხო, უხმო –
სიცარიელეს ზუზუნებენ ჩემი სიზმრები.
დაძრწიან ჩუმად,
დამეძებენ,
ჰგონიათ ვუხმობ...
ჰგონიათ მოვალ...

მივიწყებული ამბის სევდას სდუმს კლავესინი.
მე კვლავ ტალღები, მიქცევები, ზღვა დამისიზმრებს,
შენ დაისიზმრებ თეთრ ამინდში უჩემო შობას.
სადაც რძის სუნი არ ექნება არცერთ ალიონს,
გაეფანტება ბნელ კადრებად გოგენს ფერები.

შენი ტკივილის პიქტოგრამებს გულზე დავიწყობ –
არყოფნიდან მოგეფერები.

ბოლო ოქტავა

ჩემი დუმილი
ხმაურია შენი სულისა.
„ულისე“.
„აჯნა“.
ანისული და ნისლი ყველგან.
ღმერთს გავს
სიმშვიდის მონატრება, ნაზარეველო.
არ მომბეზრდება
ბნელ ღამეში შენთვის მზის ქსოვა...
ითოვა.
თურმე, მთელი ღამე,
ცისფრად ითოვა!
სიკვდილი ისევ ადრე არის!
მშვიდად ვიღვიძებ...
სიმშვიდე! – ვამბობ!
გარინდება...
შობა, იესო.
(სოლ, ფა.

სი, ლა, სოლ...)
მზის კუბოა ბოლო ოქტავა.
მოგპარავ ღიმილს.
მონატრებას.
სევდას მოგპარავ.
მოვყავარ შენთან
გაელვების იისფერ გველებს.
შენ ვერ მიამბობ ცის ქალღმერთზე
შუმერულ ზღაპარს...
ჩანხარ
სამყაროს უკაცრიელ პოლუსიდანაც.
აქ ისიკავა –
„მინდა სასთუმლად სევდა დავდო
ყველაზე ტკბილი
ყველაზე მწარე
და მერე ფიჭვებს დავუგდო ყური,
როგორ კვნესიან
გათენებამდე“.
ჭირხლი აქვს სარკმელს
ჩემი ფიქრის ცივი დესანტი.
გეძახდი.
მერე გახსენებდი, ლექსებს სევდაზე...
და დამხრჩვალ თევზებს ვასწავლიდი
ლოცვას დილამდე!

იერემია

დაანთე „წმინდა კოცონი“,
სად „ერგეაშვას“ მღერიან.
უცხო ამბები მიამბე
ირმებზე, იერემია...

მე ხომ სიჩუმეს შევები.
მე ხომ თვალები დავხუჭე.
მაინც მიღლიან შევერცხლილ
სულში სიმშვიდის თავთუხებს.

ღმერთიც მომპარეს, აღთქმაც და
ჩემი ჯვარცმული მიწებიც.
ჰგონიათ მომკლეს. მმარხავენ.
მაგრამ სხვა გზებით ვიწყები.

სად მტრედისფერი ნისლი და
სამურზაყანოს ზვრებია.
სადაც ყვირილი ისმოდა
ირმების, იერემია...

სადაც ბინადრობს ქორბუდა,
თვალცრემლიანი ტყის სული.
მეც იმ გზებისკენ შევბრუნდი.
მეც ის სიმშვიდე ვისურვე.

ქარი, რომ ზღვებს ააღელვებს.
ქარი, რომ აფრებს ჩაძირავს,
ვუმღერებ, მეც „სალაღობოს“
მთებში აფრენილ არწივებს.

დამინთე „წმინდა კოცონი“.
კვლავ „ერგეაშვას“ მღერიან.
მე ჩემსას გეტყვი, სიზმრების
ირმებზე, იერემია –

ნუშის ყვავილის თოვაში
აკვნები, რომ ირწევიან.
ისევ ბავშვობა მეძახის.
ისევ, მელიტა ბებია.

და მიხტის თეთრი ირემი,
მაყვლის გაუვალ ბარდებში.
ეს არის ჩემი სიმღერა –
სისხლისყივილით ნამღერი.

ფოთლების რეკვიემი

ქარია, უტიფარი,
ნოემბრის ბაღებში და
ხეები თავს ირთობენ
ლიგეტის „რეკვიემით“.
ჭადარზე, სულ ბოლო, ფოთოლი აღესრულა.
ფუჭია ფოთლების ნიავთან შერკინება.

ჩვენც ასე, შეჩვეულნი
ხორბლისფერ პანაშვიდებს,

ვდგავართ და
ვიცდით და
დამჭკნარი წლები გვცვივა.
დღე დღეზე მოსასვლელი
თოვლი ვერ დაგვამშვიდებს.
ტვირთია –
დაგროვილი მიზნების ვერმიღწევა.
ეპოქას ვეომებით მრუმეს და ეკლებიანს.
არ ვიცი, ღმერთი თუ
სამყარო შეიშალა.
სახლები თავს ზემოთ,
უჩუმრად, ინგრევიან.
ბავშვები დგანან და
სცივათ და
შიმშილობენ.

რაც მესმის ომია,
სიკვდილის ქრონიკები.
რაც მტკივა მამაა.
დედაა.
მშობელია.
ის, რაც მწყინს
ლექსებად არასდროს მოგიყვები.
თუმცა ღა
ლექსების წყურვილს ვერ მოვერიე.
რომ მახრჩობს,
ვერთქმული, დარდების ხურჯინია.
უსამართლობას ხომ
ისედაც, ვერ მოვცილდით.
ჩვენი შემხედვარე ღმერთები მუნჯდებიან.
გვეწყება უვადო,
ნანატრი ეგზორციზმი.

უწყვეტი ქარია ნოემბრის ცივ ბაღებში.
ფოთლები ცვივიან
ლიგეტის „რეკვიემზე“
ვიხრჩობით.
ვკვდებით... და
თავიდან ვიბადებით.
მე კი, ეს
დამჭკნარი ფოთლები მაკვირვებენ.

რაპორტი

დავსუსტდი...
როგორც მზე ოქტომბრის და
ფოთლებზე წვიმები აბიჯებენ.
ამინდი სიცხისგან მომჯობინდა.
მე მომენატრები
(დამიჯერე)
სიცივე მოიხურეს აივნებმა.
იქნება ხვალ ან ზეგ გამითოვდეს,
თავიდან არასდროს დაიწყება,
რაც იყო,
ფირებად დამიტოვე
მზერაში, ფიქრებში, გონებაში,
სავსე უშენობით შემოდგომა.
გაქცევა! – (ტორონტო, მონრეალი)
გული მაინც შენკენ შემობრუნდა.
მზე ჩადის დაბინდულ ჰორიზონტზე.
ჰიპნოზი – შარკო თუ ბერნჰეიმი.
ყველა შთაგონება მოვიტოვე
წარსულში.
დინებას ვერ შეიცვლის
არაცნობიერის იმპლანტანტი,
კლავენ წარმოსახვის დადაისტურ
გრძნობას და ამდენხანს გიმალავდი –
ფრენა სამუდამოდ გადაიდო...

ნასესხებში საკითხავი

მოთოვა თბილისში
თეთრად და ნაკლებად.
დღეები დაუთოვა ნაკიანს.
ქათქათა ფიფქები ხელებში მიკვდება.
სადღაც შორს –
საკე და საკურა...

ქაღალდის წეროებს ვაკეთებ, სადაკო.
მამებზე არაფერს აღარ ვწერ.
რომ აღარ დავწვა და,
რომ აღარ დავმალო

ლექსები –
მამებზე სადარდო.

ნამცეცა ფიფქებმა
ამდენი ნაღველი,
ნეტავი, რა მხრებით მოზიდეს?!
დათოვლილ მავთულებს
ნიავი ამღერებს
თებერვლის სევდიან სამძიმრებს.

ხვალ მარტი მოვა და
იმედს თუ მომიტანს...
იებს და
ბავშვობის შეგრძნებებს,
იქნებ, მეც დავწერო,
ის ერთი სონეტი.
ის ერთი –
მუდამ რომ ვეძებდი.

მოთოვა თბილისში.
თეთრად
და აქა-იქ.
ჭაღარა მთაწმინდა ნისლში დუმს.
ზამთარი ამომშრალ მზერაში გაქვავდა.
ღამე კი, თოვლის თმებს იშლიდა.

სხვა ლექსი

შემოდგომა სიცხიან
ფოთლებს კრეფს და სივრციდან
მოსულ ქარის სისწრაფით
ჩემს სარკმელთან აწყობს.
ღმერთო, ზეცას მიწისგან,
დღის და ღამის მისტიკას,
რომ დაგჭირდეს ხელახლა
ნუღარასდროს გაყოფ.

ცნობიერის მიღმიერ
სიზმარეთის სიღრმიდან
უკან არ დაბრუნების
გარინდებას ვითხოვ.

კვლავ ზურგს უკან მიცდიან.
ზოგჯერ ქვასაც ისვრიან.
ჩემზე ისიც იციან,
რაც არ ვიცი თვითონ.

ახლა მხოლოდ ის ვიცი,
რომ შევწყვიტე სიცილი,
როგორც მზეთა ლიცლიცი
მოხუცებულ სულში.
ღამით სავსე მთვარიან
ცაზე მძაფრად ჩხავიან
ყვავები და დამფრთხალი
გული მიცემს მუჭში.

ღმერთის როცა ვიწამე
ვერ მიტევდა მიწა მე,
ბევრჯერ ვნახე თბილ ცაზე
მზე და მთვარე ერთად.
არსებობის სიმწარე
ჩვილი ლექსით ვიწამლე.
ვიდრე ჩავალ მიწამდე
ფრთების გაშლას ვბედავ.

მე სიცოცხლე მიყვარდა,
სიკვდილისკენ მივყავარ
შემოდგომას, სიყვითლე
სევდად ექცა ფიქრებს.
ვინ რა იცის ვინა ვარ.
ქარი ვარ თუ წვიმა ვარ.
სხვა სამყაროს ბინადარს,
სხვა დარდი მხრავს იქნებ...

„წეროებო მიტირეთ“

მეცამეტე დღეა,
სიზმრებს ვამზეურებ და ციდან
ქატო კი არა და
ფქვილი კი არა და
ჭირი ცრის.
ნამზეურებ სიზმრებს,
მკვდრების მზეებივით, დასცვივდათ

წაღმა ნაცხოვრები.
(ახლა ღვისმშობელი თმას იჭრის).

წუხელ პაპაჩემი,
მკვდარი პაპაჩემი მესიზმრა.
(ლექსებს მიკითხავდა,
ალბათ ახსოვდა, რომ მეც მიყვარს).
ასე, ლექსის კითხვით
შენისლული ტყისკენ მივყავდი.
გზა კი, არსად ჩანდა.
თვითონ მიხატავდა ბილიკებს.
ხნულებს ავლებდა და
ამბებს მიწის გულში ამყნობდა.
ხელებს მიკაწრავდა
ავსულებით სავსე ცივი ტყე
და ხმა არ ისმოდა
ჭიშკარჩარაზული საყდრიდან.

კვამლი ასდიოდა
ცისფერ სასახლეთა სარდაფებს.
„ღმერთი ატირდაო“,
„აღარ იცინისო“ –
ასე თქვეს.
და მეც წყლიან თვალებს
წამწამების ნემსებს ვაფარებ.
ვიდრე ამინდები
წმინდა ესტატესაც დასეტყვავს.

ჩემი სახლის კარზე
ვერცხლის ნალია და ნალის ქვეშ
მზესუმზირის ზეთით ჯვარი გამოვსახე –
„ოსანა“.
თუკი ეს სამყარო
ტკივილების სეტყვას დაგიშენს.
სითბოს ნუ მოაკლებ
სულში აყვავებულ შროშანებს.

როცა ქარით ტყდება თხელი ხერხემალი –
სიმყარე.
შენი არსებობის წუთებს მონდომებით ყლაპავენ.
ნუ გამიფრინდებით
თოვლის წეროებო, მიმღერეთ.
ფრთები მომაფარეთ,
თოვლის სიმშვიდეში დამმალეთ..

უ-ბრალო ლექსი

საწყენია –
დასაწერი დაიწერა.
(მერიმაც ჯვარი დაიწერა)
სათქმელი დაილია.
ჩემი ყველა საიდუმლო თითქოს გაეცი.

გულიც არ დამრჩა სატკენად და
წყენა უძიროა, სანიაღვრე.
დარდს ვთხოვ ხარაკირს.

აქ ისევ ჩუმად ვაღიარებ,
სიმართლეს,
რომელიც დაღი არის.
ხმაც ვერასოდეს ავიმაღლე,
არ ხსნის დანა პირს.

ახლა, ისე მინდა სადმე ვიყო,
სადმე შორს.
ძველ ქოხში.
გარეთ თოვდეს.
რაც მახსოვს,
ყველაფერი დავივიწყო.
რაც მახსოვს,
არაფერი არ მახსოვდეს.

ათოვდეს ეზოში თუთის ხეებს.
ღამეს დარაჯობდეს თუჯის ყვავი.
ლექსებს თოვლის ფიფქებს ვუკითხავდე,
როგორც გულის სწორებს უკითხავენ.

რაღამ გამაკვირვოს
მაქვს ნახული –
ყველა გზა,
ყველა მთა,
მთის მიღმებიც.
ამ სევდას არ დაუდგა აღსასრული,
ჩახედავ და ჩაგითრევს იმსიღრმეა.

ვიღაც ამბობდა, რომ გულისტკივილს
ფართოდ ვიღიმიო – მახსოვს ასე

მე კი როგორ მინდა ვივიწყებდე
ყველა მიტოვებულ სამოსახლოს.

ქარი ალვის ხეებს მიეტმასნოს.
მე კვლავ ლექსებს ვწერდე სამარხებზე.
როცა ჩავიხედავ მღვრიე ტბაში,
მინდა არც ეს სახე გამახსენდეს.

წვეთი

წვიმები უცხო მუსიკას წერენ.
ოქტომბერს დღეები დასცვივდა.
სულზე თუ რჩება, სიცოცხლის მერე,
კვალი ნაცხოვრები ამბიდან?!
ავად ვარ.
მახსოვს – სოფელი. ჩერო.
გული. „სპლინი“ თუ...
სისხლში შუშები.
სულ მინდა შენზე
და ჩემზე ვწერო,
როცა წვეთები სარკმელს უშენენ.

სიცოცხლის ბოლოს,
ყველა დგას კართან –
კართან ბავშვობის. მიდის საწყისთან.
მე შენი სული მიყვარდა, მაგრამ
შენზე მელოცა გადამავიწყდა.
ნაკიანობით ვგავარ თებერვალს.
მაკლია, რაღაც
ღმერთივით ჩემი.
ცხოვრება, ერთი სულის შებერვა,
შევძელი მეგრძნო
ტერფით და თხემით.

ხელისგულების ხაზი მოკლდება.
შემოდგომებმა დააჭკნო წლები.
დღეს, ისე მხიბლავს მშვიდი მოწყენა,
ზამთარს ვიწყებ და
გულაღმა ვწვები.
ხომ ვწერე თოვლზე.
ზამთრის ირმებზე.

ვწერე ყორნებზე.
სულ სხვებზე ვწერე.
მე არ დაწერილ ამბავს გიმღერებ
სიცოცხლის მერე.

შვილის ანდერძი

მამაჩემი თოვლის კაცია.
სექტემბრის ბოლოს
მის სხეულში ნაადრევად ჩადგა
სუსხიანი ზამთრის სევდა,
თეთრად დაეთოვლა თმა და წარბები.
მისი თეთრი კანი ფაიფურის გახდა.
როდესაც გულიდან მარცხნივ
პირველი ჭრილობა გაჩნდა,
ნუშის ნერგი ჩავრგე ნაიარევში.
ზურგით დავდექი და თვალი ავარიდე.
არ მინდოდა ჩემს სითბოს დაედნო.
მეორე ნაიარევი უფრო ფართე აღმოჩნდა.
მასზე გზა გავიყვანე ნერგამდე.
წყალს ვუსხამდი აისობისას.
ხის ფესვებმა არსებობის გაუსაძლისობა გაუიოლა.
მყარად დგომა აიძულა.
მხრებმა სიმტკიცე მისცა ხეს.
აპრილი რომ გაყვავილდება და
ნუში თეთრად გადაიპენტება
ჩემი შვილის საქანელას ვაბამ მის ტოტებზე.
ვტკბები ბედნიერი მამაჩემის,
აკისკისებული ნუშის ხის და
მოტიტინე ჩემი შვილის ცქერით.
ვრწმუმდები –
გადაივლიან ზამთრები.
დაიფერთხებიან დათოვლილი წამწამები.
შეხორცდებიან ჭრილობები.
უსასრულო ამბების ტალავერები გადაიჭიმება
მივიწყებულ ნამოსახლარზე.

ნაადრევად არ უნდა დნებოდნენ თოვლის კაცები.
ერთი სრული ცხოვრება უმცირესია
მოასწრო ყველა ისტორია,
იცხოვრო ყველა მოსასწრები ამბავი და
ჭერდაუხურავი არ დაგრჩეს აშენებული სახლი.

დარგულ ხეებს ვინ მოთვლის, მაგრამ
შემოდგომებს უნდა მოესწრო.
მათი უტკბილესი ნაყოფი
შენი ხელით თუ არ დაუკრიფე
მხრებზე შემოსმულ,
მოხითხითე შვილიშვილებს
რა ფასი აქვს ნაყვავილარ ნუშებად
საკუთარ თავზე გადატანილ უქათქათეს გაზაფხულებს.

ბრძოლა გადარჩენისთვის და
სიცოცხლე მათთვის,
ვისაც სჭირდება შენი სიცოცხლე –
ერთადერთი მარტივი ჭეშმარიტებაა
ურთულეს რეალობაში.

ზარხუფი

1.
ღამდება, იესე.
მზე ჩადის.
და სუნთქვა მიძნელდება.
იმ ლექსებს.
იმ ტექსტებს.
იმ ამბებს.
მივაგე სამძიმრები.
თუმცა მესიზმრება.
უჩემო აპრილები.
უღმერთო გარინდება.
ცისფერი ფანტელები.
ცხოვრება მავიწყდება.
ღიმილი მავიწყდება.
წამითაც არ მტოვებენ
სიკვდილის ფანტომები.

ღამეა, იესე.
იშლება ცის მინდვრებზე
ვარსკვლავთა საძოვრები.
წყნარ ტალღებს ისიზმრებენ.
თბილ წვიმებს ისიზმრებენ.
სიმშვიდეს ისიზმრებენ.
მე ქარიშხლებთან ვმარტოვდები.

2.
ყველაზე დაღლილი უმთვარო ღამეა
და ამოწურული მზეების სეზონი, იესე.
დამშრალი გონების ბარძიმში სიმშვიდე ამემღვრა,
ღრმა სიცარიელეს ჯვარცმული ღმერთები მივსებენ.

უთოვლო ზამთრების ქრონიკებს
ზარხუფში ვამწყვდევ და
წამწამებს ოქტომბრის შავთეთრი წვიმებით ვისველებ.
ვიდრე ღიმილები ბაგეს სამუდამოდ ასწყდება
ომებზე მიამბე,
და გამარჯვებებზე, იესე.

წმინდა ნინოს ცრემლმა სული ტკივილისგან განკურნა.
მერე თეთრი კვართი თავქვეშ დავიდე და ვილოცე.
როცა ხალხით სავსე ფერად სამყაროში მარტო ხარ,
მაშინ ჩალად გიღირს ერთი ამოსუნთქვა სიცოცხლე.

ურვა შეერია ბოლო შემოდგომის ეპიზოდს.
მხიბლავს ფოთოლცვენის უღვთოდ სევდიანი სეანსი.
ვნატრობ, რა იქნება, ერთი დაზამთრებაც მესიზმროს,
ერთი გათოვება,
ერთი თოვლის მოსვლა, იესე...

ქრისტინე ჩიხლაძე

საკურორტო რომანი

შვებულება ივლისის შუა რიცხვებში ავიღე, მაშინ, როცა ქუთაისი საჰარის უდაბნოს დაემსგავსა და ქუჩაში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შემხვედრმა მოთიმთიმე მირაჟებმა გონებაში შემოსახლება დამიწყეს.

რეგიონის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის მენეჯერი ვარ. ოთხციფრიანი ხელფასი, 100-პროცენტიანი დაზღვევა და შესანიშნავი ბინა მაქვს 29 წლის ასაკში. ყოველთვის ასე არ ყოფილა, მიღწეულით კმაყოფილებას თუ არ განვიცდი, არც უკმაყოფილება მიღრღნის გულს. ციფრებისა და სიცხისაგან დაღლილს, მყუდროდ დასვენება მინდოდა და მთის კურორტის სასტუმროში დავრეკე ნომრის დასაჯავშნად. იმ, ფრიად პრესტიჟულ სასტუმროში, მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ თავისუფლდებოდა ნომრები, არ მიყვარს ქაოსი, დაკარგული დღეები, ამიტომ ცოტა გუნებაც გამიფუჭდა, მაგრამ გ. რ.- მ, ჩემმა თანაშემწემ შემომთავაზა, ბათუმში, მისი გარდაცვლილი ბიძის ბინაში გამეტარებინა შვებულების დასაწყისის ხუთიოდე თავისუფალი დღე. მთის წინ ზღვა... საშვებულებო ოცნების კლასიკაა.

ჩემს რაციონალისტურ გონებას მხოლოდ ფორცმაჟორული და სარფიანი სიტუაციებისათვის ვაკავებ. მძაგს ფაცა-ფუცი და ქაოსი. 16 ივლისს გ. რ.-ს ბიძის ბინის კარი წყნარად შევაღე. იმ დღეს ბათუმში წვიმდა. და რადგან, ბათუმი არის ბევრი წვიმა, პლუს ზღვა, პლუს ცოტა სანატრელ-სალატარიო დარი, თავი წაგებულად არ მიგრძვნია. გრილოდა კი, დაკეტილი ბინა სახელდახელოდ დაელაგებინა ნათესავს (გ.რ.-სას ცხადია!). მე წიაღსვლების თავი არც მქონდა, მარტივი განრიგი: აბაზანა, კაფეში საუზმე და ძილი.

გ. რ.-მ მითხრა, რომ ბიძამისი არქეოლოგი, ისტორიკოსი და ასეთივე ათიოდე ყავლგასულ მეცნიერებათა ტიტულატურის მფლობელი იყო. ბინაში ხარახურა მოეძევებოდა, პატარა, კი არა, ერთი საშუალო დონისა და ზომის მუზეუმისათვის საკმარისი. მე რა... საწოლი ოთახი და სააბაზანო, მეტი არაფერი მჭირდებოდა და სასტუმროსა და სხვა ოთახების კარი ერთხელ რომ უნებურად შევაღე და ერთხელვე საგულდაგულოდ გამოვიხურე, მერე აღარც შევხებივარ.

იმ საღამოს, ვია პალაცაზე, აჭარული ხაჭაპური ვჭამე, ეს რიტუალი მოვილიე და ოთახში დავბრუნდი. ფანჯრის მინებზე შეუჩერებლივ მოთქრიალებდა წვიმა, ნიაგარას ჩანჩქერში რომ მდგარიყო ეს არქაული ბინა, მაშინაც არ იდენდა ამდენი წყალი. მე წვიმა მიყვარს, თვალები მივლულე და ფართო საწოლზე ახალი თეთრეულის სურნელში შეიხივით მოვიკალათე. კარგია შვებულება, ბათუმსაც რა უშავს, დილის 6 საათზე არ ავდგები, არც ვარჯიში, არც მობეზრებული სახეები და ციფრები, ბევრი, სხვისი ფულის თვლა, ცოტა შენიც... ამ ყველაფრისაგან დროებით გავთავისუფლდი.

დავიძინე ბედნიერმა, ლაღმა. ასე მშვიდად მრავალი თვე არ მიძინია, უსიზმროდ, გრილად. მაგრამ დილამდე ძილი არ მეწერა. უცებ გამეღვიძა. უცებ ვჭყიტე თვალები, იმიტომ, რომ სინათლე აინთო ოთახში, არადა ცარიელ ბინაში მეძინა!.. გამოღვიძება და გამოფხიზლება ერთი მაქვს, სწრაფი რეაქციებით გამოვირჩევი, რასაც სწრაფი დაწინაურება მოჰყვება, სხვათა შორის. ღილაკზე, ვიდრე ხელს აიღებდა, მანამდე გავშიფრე ის სულიერი, ვინც ეს საქმე ჩაიდინა. ახალგაზრდა ქალი იყო. ჩემს თავს რომ ბოლომდე არ ვიცნობდე, ვიტყოდი მელას რაც ელანდება, ის ესიზმრება-თქო, თუ როგორცაა, მაგრამ, მართლა რეალური ქალი იდგა, გოგონა რა. ექცენრტრიკულად ლურჯ-ყვითელი სარაფანითა და ბათუმისათვისაც კი ეგზოტიკური ჭყვინტიანი ლურჯი ქოშებით.

– გამარჯობა, – მხიარულად მომესალმა. რეაქცია, გითხარით, სწრაფი მაქვს, მაგრამ ახლა ერთი, წუთნახევარი საგონებელში ვიყავი, რა მეთქვა ამ თავხედისათვის, ამასობაში დამასწრო და მეორე სიტყვაც იმან თქვა, სიტყვა კი არა, სიტყვები, ასე 341-მდე სიტყვა:

– მაპატიე, მეტი გზა არ მქონდა, ქუჩაში დავრჩი ამ წვიმაში, ამ ოთახში არც მეგულებოდით, ეს პატარა საწოლია, მომიჯნავე, დიდ საწოლ ოთახში დაბინავდებოდით მეგონაო.

– ის ქალბატონი ბრძანდებით (ხაზი გავუსვი: ქალბატონი!) ვინც ოთახი დაალაგა? გ. რ.-ს შორეული ნათესავი, მიკვირს აჭარული, საყვარელი, თბილი, ბუბუნა კილო არ გაქვს!? – და არც უხერხულობის ნატამალს გრძნობ, – ბოლო ფრაზა მხოლოდ გავიფიქრე.

– დავალაგე? კი... დიახ... ხომ მოგეწონა დალაგების ჩემეული სტილი, კმაყოფილი ხარ?

– დალაგებით კი, გაღვიძებით – არა, – მყის მივუგე მოსწრებულად. მიყვარს მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

– მოგიბოდიშე უკვე, კიდევ ბოდიში, პატიებას გთხოვ (სად მაქვს თორემ მოგცემდი!), გაწვიმდა, შორს ვცხოვრობ, ახლა იმ გზას ვერ დავადგები, არ გეწყინოს, აქ დავრჩები ამაღამ.

ერთი 221 სიტყვა კიდევ დამაყარა სმენაზე ხოშკაკალასავთ.

– კი, ბატონო! რადგან თქვენთვის ზნეობრივი... ცრურწმენები და ეტიკეტი და ასეთი... მოკლედ, ძველმანი-წვრილმანით გონება არ გაქვთ გამოტენილი, დარჩით, აბა რა! ამ წვიმაში ძაღლს არ გააგდებენ გარეთ, ცხოველთა დაცვის საზოგადოების ზეწოლის გარეშეც არ გააგდებენ. მომიჯნავე ოთახიო, ოღონდ შუქის ჩაქრობა არ დაგავიწყდეთ.

უხერხულობას არ გრძნობდა, თუ გრძნობდა, მაშინ, ზეროს ქვემოთ, მინუს უსასრულობა...

– ძველმან-წვრილმანი... კარგად თქვით, ამ კარიდან გავალ, იმ ოთახში ავანთებ, აქ ჩავაქრობ მერე, – შუქსო, ელექტრონს. არა! არ შეწუხდე, მე ჩავაქრობ, შენ ანთება უფრო გეხერხება, გატყობ-მეთქი.

გავიდა. იქ აანთო და თუმცა, მე ჩემს ოთახში ჩავაქრე, კედელში ჩატანებული მინიანი დარაბებიდან, იმდენი და ისე ძალუმად იღვრებოდა შუქი, რომ პასიანსს გაშლიდი, ამას დაუმატე ხრიგინი, მგონი, სიზიფეს ლოდს აგორებდა, მერე ღიღინიც დაიწყო. მიწვევს ეს კრეტინკა, რამეს მაინც ჰგავდეს... როგორ არ ჰგავს. მაგრამ ასეთი ნაგლობა არაა კარგი.

– ხმადაბლა იღიღინეთ. არც ხმა გაქვთ, არც სმენა და ტექსტიც არ იცით ხეირიანად-მეთქი, – გავძახე. ვერ მოვზომე, ფარატინა კედლებში დატრიალდა ჩემი ხმა ისე, რომ წვიმასაც გაეჯიბრა 11 წამით.

– რატომ? – გამომძახა კონტრალტოსა და სოპრანოს შორის მოხელთებული ობერტონით.

აღარ მეძინებოდა. კარგ ხასიათზე დავდექი. ასეთი პიკანტური სიტუაცია, ხუთნიშნა რიცხვით რომ დაუკვეთო, მაინც არ გამოვიდეს, იქნება... წვიმა, ლამაზი, კარგი ხასიათის გოგონა, ავანტიურაა რა. რას ვკარგავ? კი გამკრა გულში, რამე შარი არ იყოს-თქო, მაგრამ ინტუიცია ამაზე შორს არ წასულა. ინტუიცია, კი კარგი მაქვს სხვათა და სხვათა შორის. ის ღიღინებდა, ორ წუთში გამოვიდა, სინათლე აღარ აუნთია, ბოდიშს ვიხდი, აბაზანით უნდა ვისარგებლო,

მართლა ძველმან-წვრილმანი რაც ვთქვი, ახლანდელ დროში ეს ვინმეს აინტერესებსო? – მე არა-მეთქი, პირობითობა ჩემთვის არ არსებული კატეგორიაა. ის კი არა, სივრცე, დრო, რასა, სარწმუნოება, არაფერი არ მაკავებს, ყოველგვარი პირობითობისგან თავისუფალი კაცი ვარ, შვებულების დროს მითუმეტეს-მეთქი. მართლა კარგ ხასიათზე დავდექი, ბოლოს ასე ხალისიანად, სკოლის დამთავრების ბანკეტზე ვიყავი. რადგან „დოლჩე და გაბანა“ მეცვა და ლურჯი „არმანის“ პერანგი, ჩემ მიერ გამომუშავებული ფულით ნაყიდი, იმ წელს 7 აბიტურიენტს ვამეცადინებდი მათემატიკაში. იმდენი ვიცეკვე „ნაიკის“ ფეხსაცმელები კინაღამ გავცვითე. ახლაც ის განწყობა მეწვია.

– რამდენი გრადუსი ტემპერატურაა ხვალ?

აბა, სახელს ხომ არ ვკითხავდი. – არ ვიციო, – არხეინად მითხრა, – ტემპერატურა არ მაწუხებს, არც ცვლილებებიო.

– მე ძაან მაწუხებს, – გულახდილად ვუთხარი. წვიმა მიყვარს, მაგრამ ეს წვიმა ისე დაუმთავრებლად მოდის, ნოეს სინდრომის ჩანასახი მეფოთილება კანქვეშ, თანდათან და თანმიმდევრულად-მეთქი. ვიცი ხანდახან ასე...

– ნოე კაი კაცი იყო, ჩვენი საერთო ნათესავიო.

– მე აბრაამი მირჩევნია, კეთილი და მშვიდი...

მაინც არ მიდიოდა და რა ფეხზე დგახარ, შე, ქალო! ჩამოჯექი აგერ-მეთქი, ჩავიწიე საწოლზე, რაც შეიძლება ჯენტლმენურად, ქვეტექსტების და ცუდი განზრახვის გარეშე რომ ვამბობდი, ამის დასტურად ავდექი და მაისური გადავიცვი პედანტურად. ჰოდა... მიხვდებით მხიარული და გულღია საუბარი გავაბით. მზის და ორთქლის სურნელი ასდიოდა, ჩემს საწოლზე ინახად დაჯდა. აბრაამი ბებერი ეგოცენტრიკი, მკვლელობისაკენ მიდრეკილი, ლოთი, ძუნწი იყოო, გოგო რაებს იგონებ, არ გრცხვენია-მეთქი, ან აგარის სიყვარული როგორ ჩაიკლა გულში, ან სარა, საერთოდ გერენტოფილიო, სულ ანტიგმირები მოსწონდა. ესავი, მაგალითად, ესავზე ჭედავდა, ლამაზი, გულჩვილი და მარტოსული კაცი იყო, რაღაცით მის თავს მაგონებო, არ გადაირიო გოგო, – ვეუბნები. – ჰო, მწვანე თვალები ჰქონდა შენსავითო, გიჟი, დამიყარა თავისი კულულები საწოლზე, აფრქვევდა მარგალიტიანი ნიჟარების სუნს. ცოტა ჩაიწიე და ეტიკეტის ის ნომრები მაინც დავიცვათ, ღამის საათებისათვის დაწესებული როა, ზოგადად-მეთქი, არაადეკვატურადაც ვბაასობდი... ზოგადად, შენ წესიერი ბიჭი ხარ, მეფე საულსაც მაგონებო, ანტიგმირებზე ჭედავდა. კიჩის კუნძული იყო? მე და ის ერთ საწოლზე. გარეთ წვიმა. წესიერი ბიჭი ხარ, ხელზე კოცნაც კი არ დაგიპირებიაო. – აბა რა, გემოვნება, სტილის გრძნობა და რაინდობა უპირველეს ყოვლისა. ესაა ჩემი დევიზი-მეთქი, – ვუპასუხე. მიუხედავად ქარაფშუტობის, სიმსუბუქისა და გაუგებრად აუხსნელი სითამამისა, ბანალურობის და უხამსობის კვალიც არ აჩნდა, ასე თამამი მარსელი გოგოები იქცევიან, ალბათ... მინდოდა რამე ახსნა იქვე მომეძებნა კროსვორდის პასუხივით, მიყვარს სიცხადე, რაციონალიზმისა და ახსნა-განმარტებების მომხრე ვარ. მაგრამ...

ჯანდაბას! შვებულების პირველ დღეს, თუ ღამეს, ყველაფერი მოსულა.

როცა წინ 23 დღე-ღამე გაქვს, ეს 23 მილიარდივითაა და ერთ მილიონს აჩუქებ, ასეთ ლამაზ და არაამქვეყნიურ არსებას, თუნდაც ეს ინვესტიცია სალაროში ერთი ცენტის შემომტანიც არ იყოს, აბა რას იზამ! ხანდახან, ერთიდან კი არა, ზეროდან უნდა დავიწყოთ. იმის შეგრძნებაც არ მტოვებდა, რომ ზეროსთვის ნებისმიერ დროს შემეძლო, ნებისმიერი ნატურალური რიცხვი მიმეწერა, მძიმის დასმის შემდეგ, მარჯვნივ კი არა, სულაც მარცხნივ და ყველაფერი არაა მოსწრებაზე. ეს სიტუაციისთვის. ეს არსება კი, არც ზერო იყო, არც რიცხვი, უფრო უცნობ რიცხვს ჰგავდა, ეს ღამე – განტოლებას... არა, ინტეგრალს დაემსგავსება-თქო ვიფიქრე... ლილია ერქვა, ავესტა მირჩევნია ბიბლიასო. – ვერ ვიტან ათეისტ ქალებს – მე მივუგე, შორს ჩემგან ათეიზმი, მხოლოდ თეიზმი და, ავესტაში უფრო ბევრი წერია ჩემზე, ვიდრე ბიბლიაშიო,

ვიცინეთ მიზეზით და უმიზეზოდ, ის სამამულო პოეზიის შედევრი წავუკითხე (მეტი არც ვიცი), სადაც ჩემი საყვარელი რიცხვი ათჯერ მაინც ისმის და დროში ტირის ტექსტი, მაგრად მოეწონა... მერე ვიმღერეთ კიდეც... ტექსტის უცებ შეთხზვაზე დავნაძლევდით... გამოგვივიდა... ერთ სტრიქონს რომელიმე ვიტყოდით, დაუფიქრებლად და მეორეს უნდა მიერითმა, ან, ისე მიესადაგებინა. მე ვურითმავდი, რაც შემეძლო, მარტივად, აბა, სირთულის თავი სად მქონდა. ისე ვურითმავდი, როგორც შემეძლო, ლილიას რითმა არ მოსწონდა, მარტო რიტმში სვამდა.

წვიმს, ხვალ აღარ იწვიმებს ალბათ – მე
წვიმა ნატვრისთვის გამოიგონე – ის
წვიმაში ჯავრის არ დამრჩა ღონე – მე
ღამე ფიქრის დრო და სიჩუმეა – ის
ისე წვიმს, როგორც არ უწვიმია,
ნიშნად წვიმიან ღამეს გიტოვებ,
ჩემი სიცოცხლე და სიმარტოვე
და შეხვედრების შესაძლებლობა...

თანდათან, სტრიქონებში ძალდაუტანებლად მოიპარებოდა იავნანას თემა, ტაქტი და რიტმი...

ყველაფერი დადუმდება, დამშვიდდება
ნუღარ შიშობ, გადაიღებს წვიმა
გარეთ ბევრი შიშია და დარდი
შინ კი, ოღონდ, შემოდი, შინ თბილა.
გარეთ ბნელა,

და ძილი მოგვივიდა – მორფეოსი. ნელი, მშვიდი, ჩაგვეძინა როგორც მოქცევის შემდეგ გადარჩენილ ორ წყალხმელეთას ტახტზე, ტროპიკულ ფერთა გამაში. ყოვლისმომცველი და დიდი ძილი მოგვივიდა... უსიზმრო. წვიმა შემოდიოდა მარტო, უსიზმრო ძილში და მასაც იავნანას ტაქტი და ბანგი ჰქონდა. ტახტზე ფერები არეულიყო ალბათ, ბოლოს რაც დავინახე მისი, ბოტიჩელის ვენერას წითური თმები იყო, ლურჯ გადასაფარებელზე. ერთი პირი ძილი წყალსაც რომ მოუვა, ალბათ წვიმასაც, რომ მოუვა, ის ძილი მოგვივიდა.

გავიღვიძე, გავიღვიძე რა, ისევ გამაღვიძეს, ამჯერად ტელეფონმა, მოცარტის ოპუსი 74, საშვებულებოდ დავაყენე. გ. რ. იყო, როგორ გაატარე პირველი ღამე, ოთახი ხომ დალაგებული დაგახვედრა მამიდაჩემმაო, რა მამიდაჩემმა, და მამიდაჩემმა ოლიჩკამო, რა ადრე, 12-ს უკლია 13 წუთიო, წვიმამ თუ გადიღოო, ვინ ლილიაო?

ამის მერე, ფანტასმაგორიული სტუმარი, რომ არ გამოჩნდა, აღარ გამკვირვებია, კვალიც არ დაეტოვებინა. გ. რ.-მ ვერაფრით გაიგო, გოგონა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. გასაღები, მარტო, მამიდა ოლიას ჰქონდა.

ვნახე, იმ დღეებში. გასაღები არავისთვის მიუცია, არც შვილი ჰყავდა, გოგო მით უმეტეს, არც უნატრია, მასა და მის ქმარს ყოველთვის ბიჭი უნდოდათ, არ გაუჩნდათ, ბევრი მკურნალობის შედეგადაც და ახია მათზე. სელექციური შვილოსნობა არ გამიგია მე.

იმ საღამოს იმედით ველოდი, მეორე, მესამე საღამოსაც, მერე უიმედოდ. მთელი შვებულებით დავრჩი ბათუმში. გამოიდარა. კვალი დავკარგეო, ვერ ვიტყოდი, რაც არ მქონდა, ვერც დავკარგავდი. ვეძებდი და კვალსაც ვერ მივაგენი. ალბათობისა და ფარდობითობის თეორიებით მილიარდში ერთზე მეტი შანსი მაინც უნდა ყოფილიყო, ჩვენი კვლავ შეყრისა და ეს უნდა მომხდარიყო ამ, 23 დღეში. 23 დღე და იმედი ჩაილია და გადავწყვიტე დავრჩენილიყავი, დავრჩენილიყავი სამუდამოდ ბათუმში. მივხვდი იმ ღამეზე უკეთესი არც არაფერი მქონია და ის უნდა მეპოვნა. ზუსტად იმ ღამეს, როცა მშობლიურ ქალაქში ერთი დღით გამგზავრება დავაპირე, რათა განცხადება დამეწერა სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე (ყოველთვის პასუხისმგებლიანი მოქალაქე ვიყავი, ორასამდე ტრენინგი გამივლია და ჩამიტარებია ამ თემაზე) შემეშინდა, ამაღამ რომ მოვიდეს? რა ვიცი, იქნებ ამაღამ მოისურვოს მოსვლა. დავრჩები...

არა.. ბოლთის ცემა დავიწყე... თან ავღიღინდი, იავნანას ის სიტყვები თავისით მოვიდნენ და მივხვდი, რაღაცნაირად ვიწამე – ვნახავდი, ეიფორია დამეუფლა, დავდიოდი, ვღიღინებდი,

მთელ ბინაში რაც ასანთები იყო, ავანთე. არ ვიცი რატომ შევეხეტე სასტუმრო ოთახში, სადაც ჩახორხლილიყო განსვენებული ბიძის ნადავლი. ბიძა არქოლოგიის და რაღაც გადაშენებული მეცნიერებების მაგისტრი, ეტყობა მომხვეჭელობის მანიით იყო შეპყრობილი. მტვერს ალბათ წელიწადში ერთხელ წმენდდა მამიდა. ელექტრონის შუქ-ჩრდილები ფანტასმაგორიულად ხატავდნენ ოთახს, რომელიც აბსტრაქტული ტილოების აბსურდულ ნაზავს ჰგავდა. ყველა ნივთი აბსტრაქტული იყო, დანიშნულების არ მქონე, უფრო სწორად ჩემთვის უცნობი დანიშნულებისა იყვნენ. დაკარგული ცივილიზაციის ექსპონანტები. მხოლოდ ერთი ექსპონანტი იყო ჩემთვის ნაცნობი ცივილიზაციიდან: ტილო, დიდი ფერწერული პორტრეტი, რენესანსულ სტილში, გაუგებარი დეტალებით. მას იტალიელი და ფლანდრიელი ფერმწერებით შეპყრობილი შეშლილი მხატვარი ხატავდა ალბათ. ყველაფერი ეს, რასაც ვამბობ, რა თქმა უნდა მოგვიანებით გავიაზრე, პორტრეტის შეხედვისთანავე ალბათ გავითიშე და როცა გონს მოვეგე, ფანჯრებს წვიმა უტყლაშუნებდა, პორტრეტიდან კი ჩემი ღამის სტუმარი... არ მიცქერდა... თვალს მარიდებდა. ის იყო, ტიტანების სულების მონაცვლებითი ჩასახლებით გაგიჟებული მეფუნჯე, შეშლილი ყალმოსანი ალბათ ხატვისას ეფერებოდა მის, ბოტიჩელის ვენერას თმებს ფოლი-ბარჟერის გოგონას თავზე. მწვანე-ყვითელი სარაფანი, ფეხზე ცისარტყელას ჭყვინტიანი ქოშები, მეტი არაფერი, არც არაფერი და წარწერა:

„Lilliti Tyrius.
Imitatio melior quam exemplar“![*]
აბუ იბნ რეხელი.1765 წ.

გამოვიქეცი... ის ღამე სადგურის მოსაცდელში გავატარე. წვიმდა, თორემ ფეხით დავადგებოდი გზას სახლისაკენ. ირგვლივ ადამიანები მიმოდიოდნენ, იდეალურები არ იყვნენ, მაგრამ ყოველი მათგანი ცოცხალი იყო და ეს ფაქტი მაიძულებდა მყვარებოდნენ ისინი, ჩემს ბედში მყოფნი ცხოვრების შეუძლებლობაში. ძელსკამზე დავწექი, თავქვეშ ჩემი ზურგჩანთა ამოვიდე, შვებულების მანძილზე ეს პირველი ღამე იყო, დაძინების იმედი რომ გამიჩინა, მერხი მინის კედელთან იდგა, მინაზე კი წვიმა ტყლაშუნობდა, ამაზე მეტი წყალი მაშინაც არ დაიღვრებოდა ნიაგარას ჩანჩქერში რომ მდგარიყო ეს დასაქცევი სადგურის შენობა.

გ. რ.-ს დაწინაურების არანაირი შანსი არა აქვს.

* „ლილითი ტირიდან... ასლი, რომელიც ორიგინალს აღემატება“.

მარი თაგაგარი

* * *

მესტუმრა ბინდი (ვარსკვლავების არის მთოვარი),
აბორგდა წელში გადახრილი ნამგალა მთვარე.
ამ დროს უჩუმრად მწუხარების მოდის მსტოვარი
და ვითვლი დღეებს, ცრემლებივით რომ გადავღვარე.
ახმაურებულ ჭრიჭინების ვუსმენ არიას
და სადღაც ჭოტი შემომძახის, გადარეული;
თმას რომ ეხება, მონაბერი, სუსტი ქარია,
მზარავს, მგონია, ხელის სუსხი, ის, შორეული...
ალიგიერის კომედიას ვფურცლავ უძილო,
მზერით ჩავივლი ჯოჯოხეთის ყველა საფეხურს;
ღამის წყვდიადში ვერ გავუძლებ, მშვიდად ვუცქირო,
ლუციფერის წინ წეწვა-გლეჯით გამართულ ფერხულს.
ვეძებ სიმშვიდეს... ბეატრიჩეს სულს ჩავისახლებ,
შევევედრები, ვიმათხოვრებ შექსპირის კალამს...
ჩემში რომ ახლა უშიშარი ქალღმერთი სახლობს,
თვით კასიუსი ვერ აკადრებს უდიერ სალამს.
მესტუმრა ბინდი და რა დიდხანს გაგრძელდა ღამე.
შემოვიარე მთა და ველი, მხარეც კლდიანი;
არ დამრჩენია ჭიუხები, პატარა მღვიმეც,
სანდო კი არა, ვერსად ვნახე ადამიანი!
...ბინდი მესტუმრა!..

* * *

გუდაში ჩაძვრა თეთრი ზამთარი,
თეთრ კვირტს მუცელი თითქოს არ უჩანს,
მაგრამ ალაგდა სუსხის ამქარი
და ერთ ღამეში გაჩნდა ალუჩა.

შინდი

საქართველოში გავრცელებულია წითელი შინდი და ძალიან იშვიათად გვხვდება ყვითელი ფერის, რომელსაც ოქროშინდას უწოდებენ. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მამია გურიელის ასულს, თინათინს ხილვა ჰქონდა, რომ ცოლად გაჰყვებოდა მთავარს და სადაც პირველად ყვითელ შინდს ნახავდა, იქ ტაძარი უნდა აეგო. მართლაც, თინათინი ცოლად გაჰყვა კახეთის მეფეს, ლევანს და კახეთისკენ მიმავალმა გზაზე, შუამთაში, ყვითელი შინდის ტყე ნახა... სწორედ აქ დააარსა მონასტერი.

კოცონი დაანთეს ტოტებზე შინდებმა
და მორცხვად იღებენ ცხელ კოცნას მზისაგან;
დავალ ფიქრიანად და შემეშინდება,
ამ ლოდინს რომ მაჩვევ, როგორი ზნისა ხარ?!

მე ისევ წყაროზე ვარწყულებ ჩემს რითმებს,
საგზლად მონატრებას ვატან და სულ შიათ;
გიჩემებ, გივიწყებ და ახლა ვერ ითმენს
ეს გული, მაგ თვალთა ამბოხის ფიქრშია.

მდინარის ჩქეფს ვატან, ბეჩავი, ხევდახევ,
ბარში რომ ამბავი გიამბონ წაწალის,
არ ვიცი, ბარათებს იღებ და ხევ და ხევ,
თუ გულში ჩაკრული სიყვარულს გასწავლის?!

ენკენში თიბვა-მკას მარჩიო ეგება,
სალოცავს გასტუმრებ, თავთუხის გვირგვინით
და ჩემი თვალები თუ შემოგეგება,
ქარაფზე მომწყდარი, დამფრთხალი ჩიტივით,

ნუღარ გაიხსენებ თივის ძნის სამალავს,
ახლა ლექსისა ვარ მხოლოდღა მხევალი,
ჩამჭიდე ხელი და ამ მთების გალავანს,
ერთად გავიყოლოთ ბედი და მდევარი.

კოცონით შინდები რომ გველოდებიან,
კოცნა მივაგებოთ, შაქარ-ბაგეტკბილი;
აქ ახლა ვაჟები არაკებს მღერიან,
მეც ფანდურს ჩამოვკრავ, სხვა კი გუდასტვირით

ამყვება, ვინ იცის, მოვიმღერ ბარისას,
ხმა რომ მოგაწვდინოს მთის სანდო ნიავმა,
ხან ვფიქრობ, თექისგან ჩამოვთელ ხალიჩას
და სიზმრად მოვიფრენ ალერსის ნიაღვრად.

ვოცნებობ, შემოგვხვდეს იქნებ ოქროშინდაც,
ჩვენც რწმენით ავაგოთ ღვთიური ტაძარი,
რომ ჩვენი ლეგენდა დარჩეს ცათაშინა
და ქვეყნად – სიკეთის პატარა ზღაპარი.

როგორ დაგშვენდება ჩოხა და ღილკილო,
მე კი ეს ჩიქილა, გაწვდილი კოჭამდე,
არყის ჩქავ ბნელს გასტეხს და ერთად ვიხილოთ,
ვარსკვლავს და სიბნელეს ცისკარი რომ ჭამდეს

და მერე ვეძებოთ ოქროშინდ ბრიალი...
არაგვის ბღავილსაც ნუ შეუშინდები,
მკა დათმე, რომ მერე არ იყოს გვიანი,
ქალივით კეკლუცად მწიფობენ შინდები.

* * *

ვამბობ, არ მიყვარს ზამთრის სიცივე,
მაგრამ კვლავ ვნატრობ მინდვრად თეთრ საბანს,
იანვარს ფიფქად რომ ჩამოცვივა,
ნაძვებთან ერთად ტილოს მოხატავს
და ზამთრის ბოლოს, მიწის საბანი,
თუ ძველებურად სითეთრეს ბედავს,
მიყვარს იქიდან თვალებფახულა,
ლურჯი ია რომ გამოიხედავს.

წარწერა

ქუჩაში ნარნარად დაქრიან,
სიო და ალუჩის კვირტები,
ამ ქუჩას სახელი არ ჰქვია,
მომსწრეა ის ჩვენი პირველი
კოცნის და შეხვედრის იმ სახლთან,
სადაც ჭერს სხივები ათბობდა
და ქუჩას სიმშვიდე სულ ახლდა,

სახლს კი იდუმალი მზადყოფნა
მიეღო უცნობი სტუმარი,
ძველთაძველ, ფერფლისფერ ლოჟაში,
ნივთები მტვრიანი, მდუმარე,
ამბორი შეფაკლულ ლოყაზე...

დღეს ამ სახლს კედელზე აქვს აბრა,
ფარდები ცეკვავენ ნელ ტანგოს,
იცვალა ფერიც და სულ დაბლა,
სიმწვანე მორჩილად ბალახობს.
ნიავი ალუჩის ტოტს არწევს,
ფარდაგზე მზე თვლემს და შინ არ ხარ,
კედელი ინახავს შენს ნაწერს:
„ცამდე და ცის იქით მიყვარხარ!“

დამიბრუნე

თუთით ფართოდ მოთხუპნული პირი
და მიწაზე გათხაპნილი თუთა.
ხის ტოტებზე დაწყვეტილი ღილი,
კენწეროზე შიშნარევი სუნთქვა...

მინდვრის ცვარი ნამავს კაბის ბოლოს
და ფრიალებს საბალახე ზვრებში.
თვალი ამ დროს წიგნის ფურცლებს გლოვობს
და ნახირი სიმწვანეში ხვნეშის.

ჭალის სურნელს მოყოლილი გრილი
სიო, როგორც ამ სამყაროს სუნთქვა.
ახლაც მინდა, გავიღვიძო დილით
და მამიკოს საიდუმლო ვუთხრა.

ფარდულში რომ მინავლდება ცეცხლი,
დედა პურებს ამოაკრავს თონეს;
მებრაწება ლოყაცა და ხელიც,
ხაბაზივით არ ვიშურებ ღონეს.

საბძელში რომ მზისფრად ღვივის თივა,
იმ თივაში ვემალები ჩემს დებს...
ახლა წვიმა თვალებიდან მცვივა,
დაბრუნებას რომ ვერასდროს შევძლებ

წლების, სადაც მიმღეროდა დედა,
მზრუნველ ხელებს ვუკოცნიდი დიდხანს.
მაგრამ თქმასაც ვერა და ვერ ვბედავ,
რომ ის წლებიც ამ სითბოთი მიყვარს.

აღარ მწიფობს იმდაგვარად თუთა,
აღარც კაბა მენამება ზვრებში,
ანცი გოგო კი დამყვება მუდამ,
ახლა ასაკს ითვლის ოღონდ ჩემში.
აღარ მხვდება მამაჩემიც, როცა
ალიონზე ფხიზელი მაქვს მზერა
და თონეში გადაბრაწულ ლოყას
ცრემლის ბურთი ჩამოსწყდება ნელა.

ახლა ვეღარ ვითხუპნები თუთით,
ვშარიშურობ აბრეშუმის ჭია.
ღმერთო ჩემო, რა იქნება წუთით,
დამიბრუნე... ბავშვობა რომ ჰქვია!..

ქვაბისხევის ფრესკა

ბორჯომის ხეობაში, ქვაბისხევის სოფლის მახლობლად დგას წმინდა მარიამის მიძინების სახელობის ქვაბისხევის უძველესი ეკლესია. აქ ფრესკებს შორისაა მდიდრულად ჩაცმული ქალისა და მამაკაცის გამოსახულება, რომელთაც ასომთავრულით აწერია: „შოთაი და იაი“. ლეგენდის მიხედვით, მამაკაცი – შოთა რუსთაველი, ხოლო ქალი – დედამისია.

შრიალებს ვერხვი და მოჩხრიალებს,
მთას მოწყვეტილი ქვაბისხეულა,
ვერ იამებენ ფოთლის იარებს
ტოტები, ქარში ჩამორხეული.

გალობენ ტაძრის ბებერი ქვები,
საუკუნეებს ფერი აქვთ ბაცი
და ქვაბისხევის სდუმს მონასტერი,
კლდეზე შემდგარი, როგორც ბრძენკაცი.

ფრესკაზე ხელებს აღაპყრობს შოთა,
სულს მითბობს მისი ყმაწვილი სახე
ისევე, როგორც იმ მოყმის შფოთვა,
ვეფხის ტყავში რომ მჭმუნვარე ვნახე.

ჭაბუკი კვლავაც ვიხილო, ვნატრობ,
გზასაც არ ჰქონდეს სტუმრისგან მოცლა;
ჯვრის მონასტერში, მხცოვანთან მარტო,
ისმოდეს მშვიდად ქართველის ლოცვა.

ბუმბერაზობა მისი მამუნჯებს,
ქვაბისხევს მადლი საუფლო მოსავს
და ლოცვით ვფურცლავ ერის საუნჯეს,
საგოგმანებელ „ვეფხისტყაოსანს“!

საღამო

მზე გაითხაპნა ზღვის ჰორიზონტზე,
მთვარემ საშველად წამოყო თავი.
ნაპირზე, ქვიშის ნესტიან ზოლზე,
დატანტალებდა საღამო შავი.

გამოჰყვა სითბო დაკეცილ ქოლგას,
ჯერ კიდევ დღისით მზისგან ნასროლი,
და ქოლგის პატრონს – შური და ოხვრა,
გამჭოლ მზერაში გამონასკვული.

ზღვამ ჩამორეცხა გათხაპნილი მზე,
ბინდს შეერია სხეული რუჯით;
ლამპიონს ეჯდა უბრად ნაპირზე
კაცი, რუხ სხეულს ხატავდა ფუნჯით.

(ლ)ექსპერიმენტები

პეიზაჟი
(მხოლოდ „ა“ ხმოვნით)

მთასა და ჭალას
დაადგა აფრად
ხასხასა ცამ
ღაჟღაჟა ფარდა...
თანაც ლაჟვარდმა
განაქარვა
ვარსკვლავთა ხანა
და აღარცა ჩანს

მასთან ახლა
შარა ნამგალა.
შარასთან მგზავრსაც
ნაფაზ-ნაფაზ
დააჩნდა დაღლა.
გზამ დაავანა,
აჰყვა სავალს
ნარნარად აღმა;
თან გარდასახვა
რაღაც წამად,
რაღაც საათად...
ცამ თავს დაადგა,
მთამ აღმართა
აფრა ლამაზად
და აზანზარდა
მთათა ფარად
კვლავაც ხმა ქართა,
დაბლა აშალა
ზღვამ ტალღა და
ქვა ათას ქარვად.
ახლაც და ხვალაც,
თვალთა ანდამატს
კვლავ გააბამს
ძაფად ზღვა და ცა!

* * *

(მხოლოდ „ე“ ხმოვნით)

ენძელებს ვეძებ ველზე,
ენკენს ფერებს ვგლეჯ ბევრს;
შენც შემეშველე, გენდე,
ყელზე ხელებს გხვევ სველს.
პეშვებს წვეთ-წვეთ ვძენ ცრემლებს,
მერე ენქერზე ვფენ;
გზებზე ვეფერე ბებერ
ხეებს, ენკენისთვეს...
ბევრჯერ შევხედე ფერმწერს,
შედევრს კედელზე წერს.
შევბედე: – მენდე, შენს ფერს,
ბნელს შევძენ მე მწველ ცეცხლს!..

ვეფერე ჩემს ზღვებს პეშვზე,
ფრესკებზე ვერ ვტევ ღმერთს...
ერთხელ მეც შევძლებ, ცერზე
შევდგე, შევწვდე ჩემს მზეს!

პილიგრიმი

(მხოლოდ „ი“ ხმოვნით)

მიქრის ნისლი, კვირის შვიდი
სხივი იცვლის რიგს.
ტყის პირს მიდის ჩრდილი მშვიდი,
წინ მიითვლის ბიჯს.

მისი ფიქრი ცის იქით ქრის,
შიგნით სისხლი ცრის.
თბილ ტირილით იწვის ცვილი,
იდილიით ცის.

ისმის ირგვლივ ძის ქილიკი,
ჩვილი ფიფქი თრთის.
პილიგრიმი წვრილ ბილიკით
ჭრის დიდ ისლის მწკრივს.

ხშირი ქვიშის შრიშინ-შიშით
ფიფქს სიკვდილი ცვლის,
ხის წიწვი კი მზის შიმშილით
ძირს თბილ ღიმილს შლის!

„შენ ხარ ვენახი“

სინორჩით ყვავის ვაზის ლერწი, ქარვის მტევანი,
თვით შენ ხარ ყლორტი ახლადრგული, მოსაფერები,
დედაო ღვთისავ, მაგ თვალების მადლი მამშვიდებს
და ყრმა იესოს მოხვეული თბილი ხელები...

გულში ჩაკრული შვილის სუნთქვა დედის შვებაა,
ნაწამებ შვილის სხეული კი უგვანო ტანჯვა;
მეც დედის ხვედრით გამომასხა ფრთები უფალმა
და სიყვარულის გენია კი მუცლიდან დამყვა.

არ მომიშალო, ღვთისმშობელო, ეს სიყვარული,
ნუ გამიწვიმებ და ნუ შეკრავ ღრუბელს ცის თაღზე,
მადლი მოიღე, ჩემს სამშობლოს შენი წყალობა
ბედნიერებად გვირგვინივით დაადგი თავზე.

ვიცი, გაგწვდება, ღვთისმშობელო, ნიკოფსიიდან
დარუბანდამდე გადმოშალე მადლად ეგ კალთა,
ედემს ამსგავსე წილნაყარი ეს შენი მიწა
და ამოძირკვე ერთიანად მტარვალი მახრა.

ქალებს აჩუქე მოტიტინე ანგელოზები
და ყველა კაცის მხარს დაადგი უღელი მტკიცე;
ხერხეულიძის დედას კვლავაც ჩაუდგი სული
და მოამზადე საქართველო კვლავ სადავითედ.

ამომიკემსე იარები, რომ არ მეტკინოს,
ერთი გოჯიც კი არ დამირჩეს მთელის გარეშე;
ისე მამღერე „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერ“,
ვერ გამიბედოს ახლოს მოსვლა აქ მოთარეშემ.

„შენ ხარ ვენახი“, სალოცავი ქართველთა მოდგმის,
შენ ხარ კარიბჭე უფლის ტაძრის სულთა სამშვენად
და თუ ოდესმე შეჭირვებულს მომადგა ცრემლი,
მოგიხმობ, როგორც შვილი იხმობს დედას საშველად.

ავედრე ჩემი საქართველო ძეს შენსას, დედავ,
აამზიანე და გაშალე იმერ-ამიერ,
ტკბილ „იავნანა“ რომ მღეროდეს ქართველი დედა,
კიდით კიდემდე რომ ისმოდეს „მრავალჟამიერ“!



ირაკლი გაბრიჩიძე

საათი

თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ორბელიანის ქუჩაზე, კოლმეურნეობის მოედნის ქვემოთ. მახსოვს კოლმეურნეობის მოედანი, სადაც ყვავილების ბაზრობა იყო და სადაც ნანას რვამარტს იები ვუყიდე. ნანა ჩემი პირველი სიყვარული იყო – ულამაზესი სომეხი გოგო, თეთრი, ნაზი და მწვანეთვალება. ჩემს სკოლაში, რომელიც ალექსანდროვის ბაღის წინ და ამერიკის საელჩოს გვერდით მდებარეობდა, ბევრი სომეხი, ოსი და თათარი სწავლობდა. სკოლა რუსულენოვანი იყო და ალბათ ამით აიხსნება მოწაფეების ასეთი მრავალეროვნული შემადგენლობა. მე და ლევანი მხოლოდ ორი ქართველი ვიყავით ჩვენს კლასში. ლევანი, ჩემი საუკეთესო მეგობარი, ჩემი განუყრელი ამიგო. ჩვენ ერთად დავდიოდით მყრალ სახინკლეში და ხინკალს და კვასს მივირთმევდით. სახინკლეში მაღალი, მრგვალი მაგიდები იდგა და ამ მაგიდების ზედაპირს ძლივს ვწვდებოდით. სახინკლე აყროლებული კაცებით იყო სავსე ხოლმე, დიდი კაცებით, რომლებიც ჩვენ მტრულად გვიყურებდენ და თავიანთი მზერით თითქოს გვეკითხებოდნენ – „თქვენ აქ რა გინდათ, ნაბიჭვრებო?“ მაგრამ ჩვენ მაინც დავდიოდით, პატიოსნად ვდგებოდით რიგში და ვუკვეთავდით ოც ხინკალს და კვასს. ხინკალს დიდი კაცებივით პილპილს ვაყრიდით და გვეგონა, რომ კაცები ვიყავით და არა ათი წლის ბავშვები. სახინკლედან დანაყრებულნი გამოვდიოდით, გადავხვევდით ერთმანეთს ხელს, დავდიოდით რუსთაველის გამზირზე, სადაც მთავრობის სასახლის წინ მორიგი მიტინგი ტარდებოდა. ცხრა აპრილსაც მანდ ვიყავით, მაგრამ ამით არც ვამაყობ და არც ვტრაბახობ. ცხრა აპრილს, დამოუკიდებლობის დღეს და ასეთ რაღაცეებს ჩემთვის არასოდეს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც რუსთაველი მომწონდა, არც ტაბიძე, არც ჯავახიშვილი, არც ბარათაშვილი და არც გამსახურდია. ბავშვობიდან საფრანგეთი და ფრანგული: სტენდალი, ფლობერი, მონტენი, მოპასანი. მერე გერმანელები: ნიცშე, შოპენჰაუერი, კანტი და ა. შ. მაგრამ ეს თქვენ რაში გაინტერესებთ?! მოკლედ, ასე ვატარებდით მე და ლევანი ჩვენს ბავშვობას. სწავლით კარგად ვსწავლობდით და კარგი ბიჭები ვიყავით, ზრდილობიანები და რაც მთავარია – სამართლიანები. ჰო, ასე იყო, სუსტებს ვიცავდით და ძლიერებთან ვამხანაგობდით. გვიყვარდა ერთმანეთი და ყველაფერს გავაკეთებდით ერთმანეთისთვის. ეს კი ლევანმა დამიმტკიცა, როდესაც ნანაზე შთაბეჭდილების მოსახდენად თავი გამალახვინა ჩვენი სკოლის წინ. მიყვარდა ნანა, მიყვარდა ლევანი, მიყვარდა ჩვენი ქალაქი და მიყვარდა ცხოვრება.

სახლში მამაჩემთან, დედაჩემთან, ძმასთან და ბებო ვერასთან ერთად ვცხოვრობდი. მამაჩემი კაზრეთის „ხრუსტალის“ ქარხნის დირექტორი იყო, დედაჩემი კი ცნობილი გინეკოლოგი. ძმა ჩოგბურთელი მყავდა, საბჭოთა კავშირის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი. მამას ძალიან იშვიათად ვნახულობდი, ვინაიდან ის კაზრეთში ცხოვრობდა. ვერც ძმას ვნახულობდი და ვერც დედას. ძმა

შეჯიბრებებზე დადიოდა და დედა სულ მუშაობდა, ან იტალიაში და პარიზში საყიდლებზე მიემგზავრებოდა-ხოლმე. მოკლედ, არავის ვაღელვებდი ბებო ვერას გარდა. ბებო ვერა ძალიან მოხუცებული ქალი იყო, რომელიც იმის მიუხედავად რომ მეხუთე სართულზე ვცხოვრობდით, ფეხით ჩადიოდა და ყიდულობდა თავისთვის პრიმას, მერე ამოდიოდა და წყნარად, თავისთვის ეწეოდა. ბებო ვერას, მას მერე, რაც მეუღლე მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა, თმა სულ გაუთეთრდა და აღარაფერი აინტერესებდა. უყვარდა თავისი ქმარი და ვერ გადაიტანა მისი სიკვდილი. ვერ დაივიწყა, არ დაივიწყა, ბატონ გალაკტიონის „მესაფლავის“ გმირისგან განსხვავებით. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ღალატობენ სიყვარულს, ინარჩუნებენ ღირსებას და სიკვდილამდე გარდაცვლილ საყვარელ ადამიანზე მოგონებებით ცხოვრობენ. ბებო ვერამ ყველაფერზე უარი თქვა და ერთგული დარჩა. არც მეორედ გათხოვილა და არც სასიყვარულო რომანები ჰქონია სხვა მამაკაცებთან. თავისი მეუღლისგან მხოლოდ ერთი ნივთი შემორჩა. ეს იყო ძველი, ეგრეთ წოდებული „კომანდირსკი“ საათი, შავი ტყავის სამაჯურით და პრიალა, უზადო ციფერბლატით. ბებო ვერა საღამოობით ჩაიკეტებოდა ხოლმე სამზარეულოში, დაიდებდა წინ საათს, მოუკიდებდა თავის პრიმას და იწყებდა ფიქრს თავის მეუღლეზე... იხსენებდა წარსულ დროს და თვალები ყოველთვის ცრემლებით ევსებოდა. დედაჩემი და მამაჩემი კარგად არ ექცეოდნენ და მეც ძალიან ვაწვალებდი. ფინანსურად არ უჭირდა – ჩვენ ვაჭმევდით და ვასმევდით, მაგრამ მორალურად განადგურებული იყო. ეს თვალებში ეტყობოდა – ჩამქრალი იყო სხივი და მხოლოდ მაშინ გაანათებდა ხოლმე, როდესაც თავისი მეუღლის საათს დაჰყურებდა.

რა თქმა უნდა, მე ვიცოდი ამ საათის არსებობის შესახებ და სულ ვცდილობდი როგორმე ჩამეგდო ხელში. ხან ვეხვეწებოდი, ხან მკაცრად ვითხოვდი. ერთხელ მოპარვაც ვცადე, მაგრამ ბებო ვერა ვერ ელეოდა მას თუნდაც რამდენიმე საათით. მოკლედ, ცხოვრება მიმდინარეობდა ჩვეულებრივად: ლევანი, სახინკლეები, ნანა, სიყვარული, მიტინგები და ა. შ.

ერთ მშვენიერ დილას ბებო ვერა მოვიდა ჩემთან და თვითონ მითხრა: – ბებო, თუ გინდა, დღეს საათს გათხოვებ ერთი დღით. ახლა მოგცემ და საღამოს, სახლში რომ მოხვალ, უკან დამიბრუნე.

– კარგი, ბებო! – სიხარულისგან თავი ვერ შევიკავე და აღფრთოვანებულმა დავამატე: – შენ საუკეთესო ბებო ხარ მსოფლიოში!

მართლა გამიხარდა და სანამ გადმომცემდა, უკვე წარმოდგენილი მქონდა თუ როგორ გავიკეთებდი ხელზე და როგორ ვიტრაბახებდი ლევანისა და სხვა მეგობრების წინაშე. ეს არ იყო უბრალო ამბავი. ამ საათის ტარებით მე ჩემი კლასელების თვალში გავიზრდებოდი. შეიძლება ნანასაც კიდევ უფრო მოვწონებოდი. ეს საათი იყო ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ჩემი იმიჯის ასამაღლებლად და მე ეს კარგად მესმოდა.

მოკლედ, გამოვართვი საათი და ეგრევე აბაზანაში გავვარდი. პირი დავიბანე, თმას არასდროს არ ვივარცხნიდი, მაგრამ ამ დილით დავისველე და დავივარცხნე. ჩავიცვი თეთრი მაისური და საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ჩემი ძმის ჯინსები. ჩავიხედე სარკეში და ძალიან ფრთხილად გავიკეთე საათი ხელზე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ნიცშეს ზეკაცი გავხდი, რომელსაც ყველაფერი შეეძლო. დედაჩემს დავემშვიდობე მაღალფარდოვანი სიტყვებით, რომლებიც საათის გაკეთებამდე არც კი მეგონა თუ ვიცოდი და გავწიე სკოლისკენ.

სკოლაში ყველა აღფრთოვანებული იყო ჩემი საათით. შევამჩნიე, რომ მასწავლებლებიც კი დასჩერებოდნენ. ნანამაც შემამჩნია და მითხრა, მაგარი საათიაო, რაზეც მე ღიმილით ვუპასუხე: – მადლობა. გაკვეთილები ჩემთვის უაზროდ მიმდინარეობდა. ისედაც არ მაინტერესებდა რასაც გვასწავლიდნენ, იმიტომ რომ არ მიყვარდა ეს ვითომ ცხოვრებისთვის მომზადების პროცესი რაღაც ფორმულის და სტანდარტების მიხედვით. ცხოვრება ძალიან რთული და კომპლექსურია იმისათვის, რომ წინასწარ მოემზადო მისთვის. კი, მათემატიკა და სხვა საგნები, წესით, ლოგიკისა და აზრო-

ვნების უნარების განვითარებისთვის იყო კარგი, მაგრამ ამის განვითარება სხვანაირადაც შეიძლებოდა. მითუმეტეს, ჩემი სკოლის პერიოდში გვასწავლიდნენ კომუნისტების მიერ შეთხზულ ცრუ ისტორიას და გვაკითხებდნენ მხოლოდ იმ მწერლებს, რომლებმაც გაიარეს კომუნისტური პარტიის ერთგულების ტესტი. არა, ეს ჩემთვის არ იყო და მით უმეტეს ახლა, როდესაც ბებო ვერას მეუღლის საათი მეკეთა. შესვენებებზე, როგორც ყოველთვის, დიდი აურზაური იყო ხოლმე, რომელშიც, ჩვეულებისამებრ, მეც ვმონაწილეობდი, მაგარამ დღეს არა. დღეს მე ამ ყველაფერზე მაღლა ვიდექი, გვერდიდან და ზემოდან თვალს ვადევნებდი ბავშვების თამაშს, სირბილს და ჩხუბს. ვიდექი კედელზე ზურგით მიყუდებული, ყველასგან მოშორებით და ვფიქრობდი. გაკვეთილის დაწყების ზარის ხმამ გამომაფხიზლა და შევედი ბოლო გაკვეთილზე. გაკვეთილი არ იყო საინტერესო. დასასრულს მე მივუახლოვდი ნანას. არ დამჭირვებია გამბედაობის ელექსირის დალევა, უბრალოდ დავაცქერდი ჯერ ჩემს საათს, მერე ნანას და პირდაპირ ვუთხარი: – ნან, მოდი, დღეს კაფეში დაგპატიჟებ, სკოლის მერე, რას იტყვი?

ნანა არ იყო მორიდებული გოგო. თან საათს რომ დახედა, ალბათ გაახსენდა რომ მამაჩემი „ხრუსტალის“ ქარხნის დირექტორი იყო და დამთანხმდა. მოვიკიდე მისი და ჩემი ზურგჩანთები და წავიყვანე ნანიკო საკონდიტრო კაფეში, რომელიც ჩემი და ლევანის სახინკლედან არც თუ ისე შორს მდებარეობდა, ტრამვაის ხაზის გასწვრივ. კაფეში შევუკვეთე ნაპოლეონის ორი ნაჭერი, ლიმონათი და იმისთვის, რომ გამემყარებინა ნანასთვის შემდგარი კაცის წარმოდგენა ჩემზე, ფრანგული ყავაც გამოვართვი გამყიდველს და ეს ყველაფერი მივიტანე პატარა მაგიდასთან, სადაც ნანა იჯდა. ნანამ დახედა ნაპოლეონს, ლიმონათს, ყავას და ეგრევე მოკიდა ყავას ხელი და დაიდო წინ. რას ვიზამდი, ვიცოდი, რომ ქალს პაემანზე ქვეყნის პრეზიდენტზე მეტი ძალაუფლება აქვს. მთელი პაემანის განმავლობაში ნანა უყურებდა ჩემს საათს. მას არ ვაინტერესებდი მე, მას აინტერესებდა მხოლოდ სტატუსი საზოგადოებაში და როგორც სომხებს სჩვევიათ, ბავშვობიდანვე ზრუნავდა ამაზე. მე კი ვუყურებდი მას მწვანე თვალებში და არ მჯეროდა რომ ასეთი სილამაზე ჩემთან ერთად კაფეში იჯდა. ნუ... ჩემთან არა, ჩემს საათთან, მაგრამ მაინც...

ვილაპარაკეთ ათას რამეზე, მათ შორის ფრანგულ ენაზეც და მითხრა, რომ ფრანგული კარგად უნდა ვისწავლო, იმიტომ რომ საფრანგეთში ვაპირებ ცხოვრებასო (მართლაც ასე მოხდა – ნანა დღეს პარიზში ცხოვრობს). მე ვუქნევდი თავს და ყველაფერზე ვეთანხმებოდი. პაემანის დასასრულს ავდექი მაგიდიდან, საათს დავხედე და ვთქვი: – უი რა დრო გასულა! – და გავუცინე ნანას. ნანამაც მითხრა, რომ მართალი ვიყავი და დედამისი ინერვიულებდა. დავტოვეთ კაფე და გავედით ქუჩაში. ნანა სახლამდე მივაცილე. სანამ თავისი ეზოს ჭიშკარისუკან გაქრებოდა, მოვასწარი მისი კოცნა, დავემშვიდობე და გავუდექი ჩემს გზას. ნანაზე შთაბეჭდილება მოვახდინე, ახლა კი ჩემი მეგობრების ჯერი იყო.

ლევანს გავუარე სახლში და სახინკლეში დავპატიჟე. თან ვუთხარი, რომ მანუჩარიც წამოეყვანა. მანუჩარი ლევანის ძმაკაცი იყო, გამხდარი ბიჭი, რომელიც სათვალეს ატარებდა, სკოლაში კარგად სწავლობდა და ამიტომაც საკმაოდ პოპულარული იყო. ლევანმა გადასძახა მანუჩარს, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა და ჩვენ გავეშურეთ ჩვენს ფავორიტ სახინკლეში, კოლმეურნეობის მოედანზე. ვატყობდი, მანუჩარი ჩემს საათს თვალს არ აშორებდა და ხანდახან მის თვალებში შურისა და სიბოროტის ნაპერწკალიც გაიელვებდა ხოლმე, მაგრამ მე ეს არ მაშინებდა და არც მაბრაზებდა; პირიქით, მსიამოვნებდა.

სახინკლე, როგორც ყოველთვის, გადატენილი იყო ხალხით, მაგრამ ბედმა გაგვიღიმა და ერთი მაგიდა თავისუფალი დაგვხვდა. მანუჩარმა და ლევანმა დაიკავეს მაგიდა. მე ჩავდექი ხინკლის რიგში. დიდხანს ველოდი, ვინაიდან ძალიან დიდი ქაოსი სუფევდა. ვინ ვის მერე იყო ვერ მიხვდე-

ბოდი და მხოლოდ არნახული სიმამაცის და ფიზიკური მოხერხების შედეგად იყო შესაძლებელი შეკვეთის განთავსება. როგორც იქნა შევუკვეთე ოცი ხინკალი. რამდენიმე წუთის შემდეგ ხინკალი მზად იყო და მივიტანე მაგიდასთან. მე, ლევანი და მანუჩარი, იმის მერე რაც მოვაყარეთ ხინკალს ბლომად პილპილი, შევუდექით ჭამას. თამადა მე ვიყავი და კვასით ვსვამდით მეგობრობის, სიყვარულის, სამშობლოს და მშობლების სადღეგრძელოებს. მთელი ამ დროის განმავლობაში ვატყობდი, რომ მანუჩარი თვალს არ აცილებდა ჩემს საათს. მოკლედ, მას მერე რაც ბოლო ხინკალი შეიჭამა და კვასის ბოლო ყლუპი დაილია, ჩვენ დავტოვეთ სახინკლე. ფული, რა თქმა უნდა, მე გადავიხადე. ლევანსაც და განსაკუთრებით მანუჩარს, ძალიან უჭირდათ. გარეთ, ყვავილების ბაზრობის მოპირდაპირედ მდებარე პურის მაღაზიასთან გადავწყვიტეთ წავსულიყავით დინამოს კორტების უკან მდებარე ბაღში. თუ არ ვცდები, დღეს მას დედაენის ბაღი ჰქვია. ამ ბაღში ჩვენ ხშირად დავდიოდით და ვუყურებდით თუ როგორ ეალერსებოდნენ ერთმანეთს შეყვარებული წყვილები. ბაღი ცარიელი დაგხვდა. მანუჩარმა ამოიღო სიგარეტის კოლოფი და ჩვენ სათითაოდ მოვუკიდეთ სიგარეტებს. სიგარეტისაგან თავბრუ დამესხა, მაგრამ არ შევიმჩნიე. მერე ჩავედით მტკვრის პირას და ერთ მიტოვებულ ნავზე ავედით. ბოლოს და ბოლოს, როდესაც უკვე მოგვბეზრდა ერთმანეთთან ყოფნა, უცბად და სრულიად მოულოდნელად მანუჩარმა შემომხედა პირდაპირ თვალებში დამითხრა: – თუ ეგეთი მაგარია ეგ საათი, ხელზე რომ გიკეთია, აბა, მიდი, ქვა ჩაარტყი და ვნახოთ რა მოუვა!

გამიკვირდა, მაგრამ უკან ვერ დავიხევდი. უნდა დამემტკიცებინა ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩემი საათი მართლა ძალიან მაგარი იყო. ავიღე დიდი ქვა და მთელი ძალით დავარტყი საათს. საათის ციფერბლატი დაიფშვნა. უეცრად ვიგრძენი შიში. დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ რას ვეტყოდი ბებო ვერას, როგორ ავუხსნიდი ამას. ვერაფერი ვერ მოვიფიქრე. ლევანმა სევდიანად შემომხედა და მითხრა: – მგონი სახლებში დაბრუნების დროა.

სახლში რომ დავბრუნდი, მაშინვე სამზარეულოში შევედი, სადაც, საბედნიეროდ, ბებო ვერა არ დამხვდა. საათი მაგიდაზე დავდე და წავედი ჩემს ოთახში. ჩვენი სახლი ორ ნაწილად იყოფოდა – სამზარეულო და დანარჩენი ოთახები – საძინებელი, „ზალა“ და ა. შ. სამზარეულოს და დანარჩენ ოთახებს აივანი ყოფდა. მთელი დღე ვიჯექი ჩემს ოთახში და ველოდებოდი როდის შემოვიდოდა საჩხუბრად ბებო ვერა, მაგრამ ის არ შემოდიოდა. სამზარეულოდან ხმა არ ისმოდა. ვიფიქრე რომ, ალბათ მაპატია და აღარ აპირებდა ჩემს დასჯას და გაკიცხვას. ბოლოს და ბოლოს მოვედი ხასიათზე და ჩემი ძმის ჩამოტანილ ვიდეოში ეროტიული ფილმის კასეტა შევაცურე. დედაჩემი მორიგე იყო სამშობიაროში და ღამე მიწევდა მარტო დარჩენა. რაღაც დონეზე ვინერვიულე ბებო ვერას საათი რომ გავუტეხე, მაგრამ მერე გადამიარა. „რა მოხდა მერე, საათი იყო, ნივთი და მეტი არაფერი“ – ასე ვიმშვიდებდი თავს. ყველაზე მეტად ის მიკვირდა, რომ ბებო ვერა არ მოდიოდა ჩემთან და არ მეკითხებოდა, ეს რა ქენიო. ეს არა მხოლოდ მიკვირდა, არამედ მაწუხებდა კიდევაც. ძლივს ჩამეძინა. მეორე დილას რომ ავდექი, აღარც მახსოვდა საათი. ჩავიცი ტანსაცმელი, გავედი აივანზე და ჩავიხედე სარკეში, რომელიც კარადის კარზე იყო მიმაგრებული. მომეწონა ჩემი თავი. სამზარეულოს კარები რომ შევაღე, დავინახე როგორ დაესვა წერტილი ჩემს სილაღეს და ბავშვობას. ბებო ვერა იჯდა მწვანე დივანზე, მაგიდასთან. წინ საათი და სიგარეტის კოლოფი ედო. პირი ღია და გაშეშებული ჰქონდა, იღიმოდა და ამავდროულად ცრემლი მოსდიოდა თვალებიდან. ვიგრძენი, რომ რაღაც არ იყო ისე და რომ რაღაც საშინელი მოხდა. გავვარდი სამზარეულოდან და გავიქეცი ქუჩაში. დიდხანს მივრბოდი, ძალიან დიდხანს. ახლა ორმოცდაორი წლის ვარ და კიდევ მივრბივარ იმ სამზარეულოს ოთახიდან, შორს... როგორც მერე დედამ მითხრა, ბებო ვერას გული გაუსკდა. არის რაღაცეები, რასაც ადამიანები ვერ უმკლავდებიან და მე ასეთი რაღაცა გავხდი, როდესაც ქვით დავამსხვრიე, გავტეხე, საათი კი არა, გული, ადამიანის გული!

ამ ამბის შემდეგ, ცხოვრებაში არასოდეს არაფერი გამიტეხავს. საერთოდ არაფერი.

ინგა ფეფაძე

ნენეს ოდის ამბები

ხარითვალა

გორის წვერზე მზე რომ აიწევდა, უკვე საათი შვიდის წუთებს აჩვენებდა.

თითქოს მორცხვად აკრიფავდა მზე თავის სხივებს შვილებივით და სადღაც სავახშმოდ მიიჩქაროდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა მამაჩემი სამსახურიდან ბრუნდებოდა შინ.

სახლის უკანა მხრიდან კარგად მოსჩანდა ცენტრალური გზის კორტოხი, რომელიც ბუმბერაზი მთების ფონზე ამომაღლებულიყო, მთელი სოფელი ამ ადგილს ცხვირს ეძახდა. ის, სოფლის შუაგულში მართლაც ცხვირივით იყო ამოსული. თავზე ადგა თეთრი ჯიშის ლეღვის ხე, რომელიც სიმწიფემდე ვერ აღწევდა, სამადლოდ იყო დარგული და ყველა გამვლელს შეეძლო ჩამოეკრიფა.

ტყის მარწყვი, მაყვლის ბარდები და ზღმარტლის ხე განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ცხვირზე :)))

პირუტყვსაც იქ ვრეკავდით ხოლმე.

მახსოვს, ერთი უწყინარი ძროხა გვყავდა, ვისგანაც ვიყიდეთ გვითხრა რომ სახელი ერქვა „მელო“. ძალიან სუფთა, მოვლილი, ფართო თვალებით, ბებიაჩემმა სახელი გადაარქვა და ხარითვალას ეძახოდა...

ახალ გაზაფხულზე რაღაც სენი შეეყარა, საჭმელს აღარ ჭამდა, დაუძლურდა და ვეღარც მეგზურობას უწევდა თავის პატარა ხბოს. მოვიყვანეთ ვეტექიმი, როცა გასინჯა თქვა რომ სასწრაფოდ უნდა დავკლათ ეს ორ დღესაც ვეღარ იცოცხლებსო :((

ბებიაჩემმა შეჰკივლა – „ჩემ ხარითვალას დანას რაფერ გამუუსვამ ყიაშიო“. ასევე სასტიკი უარი განაცხდა და ბოსტნის ბოლოს, თავისი ხელით დამარხა მამაჩემმა. ბევრი მიწა მივაყარეთ, თითქოს დიდი გორა დაგდაო ისე. მეორე გაზაფხულზე ის გორასავით მიწა, გასწორებული იყო, ბევრი ფურისულა და ყოჩივარდები ამოსულიყო.

როცა ხვნა-თესვის დრო დადგებოდა ყოველ ჯერზე იხსენებდა ხარითვალას ბებიაჩემი – „მეწველი და უწყინარი იყო, ფეხს არ ამოგკრავდა, ენა არ ქონდა მარტო, თორემ მიგახდენდა რა უნდოდა“... და ბოლოს დაამატებდა – „ანავ, ძროხა გარედან არის ჭრელი, ხედავ და, მიხვდები რა ფერზე დგას, ადამიანი კი შინიდან არის ჭრელი, რა დროს გიმტყუნებს კაცმა არ იცისო“.

* * *

ცხელი აგვისტოს ბოლოს, ფეხმძიმე ქალი მეოთხე შვილს ელოდებოდა, სოფელში პაპანაქება ზაფხული დგას. გაფიცხებულ ჭალებს სიცხის ალმური ასდის, მდინარეც ზლაზვნით მიედინება, ყანაში ნაადრევად დაიწყო გამოხმობა სიმინდმაც.

„ანავ, ჯერ ყანის მოჭრამდე ქვეყანა დროა, ყიშლებში სანამ საქონელს ჩამეიყვანებენ, მანამდე ზვინის დადგმასაც მოვასწრებთ, ოღონდ მშვიდობა იყოს და საქმეს რა მაჩივლებს განა, საალაფე და ნალია როის დამრჩა ცარიელი“.

„ყველაფერი თავის დროზე იქნება, ნენი, შენს რძალს ისე აქვს მუცელი დაწეული ორ კვირაში მეილოგინებს“ – დაამშვიდა სოფლის ებემ.

„შენ პირ შაქარი, ანავ“.

არ იმჩნევს, მაგრამ მაინც თავისებურად წუხს, სახლის უფროსი, „ოდის ნენეი“, გვერდზე გაქცეულ საუბარსაც ასწრებს: „ისე, გვალვის მერე წვიმებმა თუ ჩაალპო გამხმარი ბალახი, რაღაი, იმფერი ზიანქარი ამინდები წეეწყობა ზოგჯერ, მთლად ძირში დააწვენს ქოჩრიან სიმინდებს, ბრე“.

სისხამ დილით პატარა სოფელში ტყვიასავით გავარდა ხმა – „ოჯახში მეოთხე გოგო შვილი გაუჩნდათ“.

გოგოა, გოგოო. საღსალამათი, წაბლისფერი თმებით, მწვანე თვალებით და თეთრი შუბლით... ცისარტყელა გოგო გაჩნდა ბევრი ფერით...

„ბიჭი გვინდოდა, ბიჭი, გვარის გამგრძელებელი, სახლში ბუხრის და გარეთ მიწის დამცველი, ჰამა, იმფერი ცოცხალია გასაზრდელი, დღითი დღე იზრდება და მშვენდება, ვერცხლისწყალივითაა, ვერ გააჩერებ“.

ეზოში ჭიშკრის ზანზალაკის ხმაზე, საუბრის თემა შეიცვალა. ესთეტიურად ცვლიდა სიტყვებს, ფრაზებს მოხუცი...

„ანავ, ჩამოხველ სკოლიდან?“ თითქოს დამნაშავე და მზრუნველი ხმით იკითხა. „ტანზე გამეიცვალე და ფეჩზეა ცხელი საჭმელი...“

„ეს რომ არ გვყავდეს რა გვეშველება, ჩვენი მორბედი, თავ შესაქციელაი, გვართობს“.

შუადღის სტუმარი გააცილა და სალამი დააბარა ქაშუეთში (ზედა ჯაბნიძეები) მიმავალ თავისიანებთან.

„ამეღამ ჯუმა ღამეა, რამაზანი იწყება, მარხვის წინა სამი დღე ვიმარხულო უნდა, მადლი ყოფილაო“.

იასლუღს (მარხვის დროს განკუთვნილი საჭმელი) დედაჩემი უმზადებდა ხოლმე, გამოყოფილი დრო იყო ამისთვის, მახსოვს, ღამის 4 საათიდან შეგეძლო დილის ექვს საათამდე გეჭამა.

გემრიელი სუნი და ფეჩში შეშის ტკაცატკუცი მაფხიზლებდა ამ დროს, მარხვას დედაჩემი ვერ იცავდა. არც პატარებს გვაძალებდნენ მთელი დღით შიმშილს, უბრალოდ, იასლუღის ჭამა მათთან ერთად მიყვარდა ძალიან.

სინორი, ასუთა, კარტოფილში ჩაზელილი ყველი, დოწობილა და ტკბილი ბორეგი. ეს იყო მარხვის დროს აუცილებელი კერძები.

მთელი დღე წყალის დალევის უფლებაც კი არ გქონდა.

იფთარამდე (მარხვის ვახშამი) თავის ოდაში სალოცავ ფოსტს (ცხვრის ტყავი) იატაკზე გაშლიდა, ორივე ხელის მტევნებს ერთად შეაერთებდა და ლოცვას დაიწყებდა. ჩემთვის გაუგებარ ენაზე, ამ ლოცვის სიტყვებს მიყოლებით იმეორებდა...

გარეთ უკაცრიელი ზამთარი იდგა, დეკემბრის სუსხი და ქარი წეწდა ირგვლივ ყველაფერს.

მშობლიურ ოჯახში, ახალი წლის ფუსფუსი დეკემბრის დადგომისთანავე იწყებოდა, რომლის მზადებაში საყოველთაო ინერციით ვერთვებოდით ყველა – დედა, მამა, ბებია, დები...

ყველას თავისი სათადარიგო საქმე გვქონდა გადანაწილებული.

ბებიაჩემს მეკვლეზე დარდი ევალებოდა მხოლოდ ☺

დაიწყებდა ქოთქოთს – „ცუდი ფეხისამ არ გვიფერხოს და არ დევსოთო“...

მახსოვს, წინასწარ ვიღაცეებს ითანხმებდა ხოლმე.

„ანავ, შენ გიცდით, იცოდე არ დაგვაღალატო ამ წელსაცო“...

მეკვლესთვის გადანახულ დაშაქრულ კანფეტებს, ფერად-ფერად ქაღალდებში გახვეულს, ჯიბეში ხელით მომუჭავდა და გვერდზე ღიმილს გააპარებდა.

ერთხელაც მამაჩემს მოუნდა რომ ღვინო თავისი ხელით გამოეყვანა. ახალ წელს ჩემი დაწურული ღვინით უნდა შევხდეო. თავისი ჩვეული ენთუზიაზმითა და ენერგიით შეუდგა საქმეს. მოიმარაგა ყურძენი, ღვინის დასაწური ჭურჭელი და ჩაასახა თავდაცულ კასრებში. მიუხედავად ბევრი გარჯისა და მცდელობისა, იმ წელიწადს ღვინო ვიყიდეთ. ყველას სიმჟავე შეპარებოდა.

ჰოდა, მას მერე სულ ეხუმრებოდნენ მეზობლები, ამის გამო ნუ იჯავრებ ნოდარი! შენ პიანინოს და სცენას მიხედე, ღვინოს ჩვენ გაჩუქებთ ყოველ ახალ წელსო.

მამაჩემს არ უყვარდა რომ ნაძვის ხეს ჭრიდნენ და ყოველ წელიწადს ჩვენ ძველი ნაძვის ხით ვხდებოდით...

ჭერამდე აწვდილი, პლასტმასის ხელოვნური ნაძვის ხე გვქონდა, ყველა ტიპიური მინის სათამაშოთი – ფორთოხლის, მსხლის, ლიმონის და ათასგვარი ფორმის.

წლიდან წლამდე მეგონა სხვანაირს აღმოვაჩენდი, მუყაოს ყუთში გადანახულს, თითქოს ფერს იცვლიდნენ ან ბევრდებოდნენ, ვერასდროს ვიმახსოვრებდი ბრჭყვიალა სათამაშოების რაოდენობას (ეგეც ბავშვური ფანტაზია ☺).

მათი ასხმა ტოტებზე ეს კიდე ცალკე ცერემონია იყო ☺ ☺

როგორც ყველა, ასევე ჩვენც ფერადი ფურცლებით ვჭრიდით და ვქმნიდით დეკორაციებს, ვალამაზებდით საახალწლო კუთხეს.❄ ☺

დედაჩემი საახალწლო მენიუს ადგენდა. თუხთუხებდა ქვაბში ფელამუში, დასწავლილი ტრადიციით იხარშებოდა სიმინდი, რომელიც ხვავის და ბარაქის მომტანი იყო. იდგა სასწაული სუნი ნამცხვრების ☺ განჯინაში შენახული განსაკუთრებული ჭურჭლით ვაწყობდით სუფრას.

ყველაფერი ძალიან სადა, ძალიან მოკრძალებული იყო, ჯადოსნურ ადგილს ემსგავსებოდა ჩემი მშობლიური სახლის ლამაზი კედლები... კედლები, რომელიც დღეს სხვა დარდს და ტკივილს უძღებს...

რამდენი ტკბილი სევდაა თითოეულ წინადადებაში, ღმერთო...

ვტირი...

რა არის წუთისოფელი?!!!

ხანდახან ვიტყვი, ერთი სიმღერა, ერთი ლექსი, ერთი ჩანახატი, ერთი ღიმილი და მთლიანობაში ერთი დიდი სიკეთეა ამქვყეყნად მოსვლა, რომელსაც ლამაზად შეფუთული ტკბილეულის გემო აქვს, ოღონდ ბავშვობის...

ოოხ, ცრემლები... ცრემლებიიიიი...

* * *

ჩემს სახლ ზემოდან პატარა გორაკია, სოფლის ყველა ორღობეს უთვალთვალებს. ძალიან ლამაზი სანახავია მომაღლო ადგილიდან სახლები, ბოსტნები, ცალკე ჩადგმული ნალიები. იმ გორაკიდან ეფინება ურცხვად მოთამაშე მზის სხივები.

ვისაც მშობლიური მიწის, ბალახის, მდინარის სუნი უგემია, მან იცის ამ სიტკბოს ნეტარება.

რას ნახავს თვალები ჩემს მშობლიურ ზეცაზე უკეთესს? გავყურებ ჩემი მთების სიდიადეს, ცის სიწმინდეს და სულ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ღმერთის სიახლოვეს, ღმერთის ხელს ახლოდან ვგრძნობ...

აქ ყველაფერს თავისი სახელი და ფერები აქვს.

აქ ბუნებრივად იხატება ყველა დეტალის მშვენიერება.

თქვენ არ იცით, რა ლამაზი სანახავი იყო ღრუბლების პაემანი წეღან, რომელსაც ამ დილით გავუსწორე თვალი...

როგორ გადმოვიდა ერთი დიდი ღრუბელი რძესავით, ერთი გორიდან, მეორე კიდევ, მეორე გორიდან და სადღაც შუაში შეხვდნენ ისინი ერთმანეთს.

ვაკვირდებოდი და სასწაულად დამეხმარა ჩემი ფანტაზიის უნარიც, დარწმუნებით ვთქვი, რომ ისინი აუცილებლად ერთმანეთისკენ მიიჩქაროდნენ, მათაც ადამიანების მსგავსად ლტოლვა და ვნება მიქონდათ, ერთმანეთთან, უტყვი, გრძნობით...

მე ასე მინდოდა და ასე დავინახე, დიახ...

ცაზე მათი შეხვედრის შერწყმას, რიდით მოჰყვებოდა შემოდგომის მინავლებული, კრძალვით ამონათებული მზე.

ცის გალა ფერები დასტურად გასდევდა უკან, ნამდვილი ზეიმი გაიმართა ამ დილით მშობლიური მთების თავზე.

ეს შესამჩნევი სილამაზე, სიკაშკაშე კიდევ უფრო მისტიურს ხდიდა ჩემს ყოფნას, შესწრებას, ჩემს გაჩერებას მათთან ერთად...

რამოდენიმე წამი თუ წუთი ისინი გადახვეული იყვნენ ერთმანთში, ბოლოს დაემშვიდობნენ ერთმანეთს და კიდევ უფრო საოცრად გადანათდა და გადასინათლდა ზეცა.

ნუ, ეს კინოები ჩემი ცხოვრების... მშობლიურში ხშირად რომ ხდება ხოლმე და კადრებივით გადის თვალწინ...

* * *

ზოგჯერ შესავალი ავსებს სათქმელს, ზოგჯერ სათქმელი შესავლის გარეშეც ძალიან ბევრს ამბობს დარდით, სევდით გამოვლილ დღეებზე...

მშობლიურ სახლში, ერთ დროს ბევრი ვცხოვრობდით...

ბებიაჩემი ყოველთვის ოჯახის საპატიო, უფროს წევრად ითვლებოდა. ძალიან უხაროდა საქმე რომ კეთდებოდა და ორმაგად ახარებდა თუ მისგან ნაკითხი ჭკუით აკეთებდა ვინმე ამ საქმეს...

ახალ გაზაფხულზე ყოველთვის მახსენდება მისი შფოთი და ფორიაქი :)) აფორიაქდებოდა – „ნაადრევად კიტრის და პომიდვრის ნერგი უნდა გამოვიყვანოო, არიქა, არ დაგვიანდეს, ხომ ხედავთ ყველამ ნერგის შესანახი სათბური გადახურა და ჩვენს თოხებს საალაფეში ჟანგი მოეკიდაო“.

ყოველთვის ასე იცოდა გაზვიადება, თუ რამის მიღწევა სულსწრაფით უნდოდა... მოკლედ, ერთი ქოთქოთი და ალიაქოთი გაჰქონდა...

შემონახულ ყვავილის თესლებს გამოარჩევდა ხოლმე, ეზოში საყვავილე გაზონს მიწით გამოტკებნილს, თოხით ამოჭრიდა და ასე რგავდა მარცვალ-მარცვალ ფერად ყვავილებს...

ერთი თუნუქის დოქი ქონდა, გამობერილი მუცლით, გამოავსებდა წყალს და უკვე წამოზრდილ ყვავილებს ძირებში დაუვლიდა...

მთელი ზაფხული პეპლები და ფუტკრები თავს დასტრიალებდნენ ჩემი ნენეს ხელით გამოყვანილ ყვავილებს...

საოცარი სურნელი ტრიალებდა ჩემს მშობლიურ ეზოში, ერთ დროს... :(((

შემოდგომის მიწურულს, როცა ყვავილი თესლად მწიფდებოდა. ისევ თავისივე ხელით დოლბანდში გამოხვევდა და ახალი გაზაფხულისთვის იწყებოდა ზრუნვა... 97 გაზაფხული და ყვავილობა მოასწრო ამ ქვეყნად ჩემი ოდის ნენემ...

ხოლო ზამთრის გადასატან დღეებზე ზაფხულში დაიწყებდა ფოფინს. ლეღვის მურაბას განსაკუთრებული არომატით ხარშავდა, ვაშლის ჩირს გამოახმობდა, თეთრ ხაპებს დედოფლებივით გამოპრანჭავდა, თეთრ ფანელის ნაჭრებში, ყინვისგან იცავდა ასე :)))

დასძენდა: „ანავ, დიდი ზამთარი რომ მოგვეპარება კარზე, რას შევექცევითო“.

მართლაც კარზე მომდგარ დიდ ზამთარსა და გრძელ ღამეებს ათასგვარი თავშესაქცევით მივაგორებდით გაზაფხულამდე...

ფიცხი ქალი იყო ესმა ივანაძე, ჩემი ნენეი... საშუალო სიმაღლის, თეთრი ფერის. რაც მეხსიერებიდან შემომრჩა, იმ აღნაგობის და იმ შეხედულების იყო გარდაცვალებამდე...

სიბერემდე თავმოვლილი, 97 წლის ასაკში გარდაიცვალა და სიცოცხლის ბოლომდე თავის თავს ემსახურებოდა... როგორი ჯანმრთელი ყოფილა, ორივე თვალი უჭრიდა და მაგარი ყურიანიც იყო... :)

ისწავლა მხოლოდ სამი კლასი, როგორც თვითონ იტყოდა, თავისმა მამამ აღარ ისურვა რომ სკოლაში ევლო. მომსწრეა მსოფლიო ომების, გამოიარა შიმშილობაც.

„სად იყო, ანავ, პურის ფქვილი, სიმინდი რომ დაგველეოდა, კობერს ვაფრქვევდით, წიფლის ქერქს გადავურევდით, ვაცხობდით და იმას ვჭამდითო...“

ამას ისეთი მწუხრით და სევდით მოყვებოდა ხოლმე...

ერთხელ სკოლიდან იმიტომაც გამოუშვეს, ჩანთაში მჭადის ნაჭერი ქონდა და გემრიელად შექცეოდა თურმე...

სამი კლასის განათლება ქონდა მხოლოდ, მოუწია ყველა დროში ცხოვრება, მაგრამ 21-ე საუკუნის სიახლეებს არ დაუკომპლექსებია...

აბსოლუტურად ყველაფერში ყოჩაღი იყო...

არც ვექილი გახლდათ, არც პედაგოგი, არც მეცნიერი და არც პიანისტი... მაგრამ საოცრად უკრავდა ჩონგურზე...

ცხოვრებაშიც ერთი გმირი ჰყავდა, ბაბუაჩემი... (სიკვდილამდე უვლიდა და ინახავდა ათასგვარ ნივთებს, ჩემი ქმრის ნაყიდია, ბაქოდან ჩამოტანილი, ეს კიდევ მთავრობის ხალხმა აჩუქესო... და ა.შ.)

მახსოვს, მის გრძელ თეთრ თითებზე, ძალიან უბრალო, ყვითელი ფერის რგოლი, ქორწინების ბეჭდის მსგავსი, რომელსაც ერთგულების ნიშნად ატარებდა სიკვდილამდე...

ერთხელ მომინდა მოეხსნა და მოეცა, სულ მკლავდა ინტერესი, რატომ არასდროს იხსნიდა ამ უბრალო ბეჭედს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეგეთი გულჩვილი ქალიც არ იყო, სანამ ცოცხალი ვარ ასე უნდა ვატაროო...

ბევრი მოფერება და „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე“ არც ეგ გამიგია მაგისგან არასდროს... მაგრამ დაცვას და მფარველობას არასდროს მზარდებოდა (უფროსები როცა მტუქსავდნენ).

არც მისგან წაკითხული ზღაპრები მახსოვს, თუმცა ძველ ამბებს როცა გაიხსენებდა „თავის ოდაში“ და თუ გულდასმით უსმენდი, ეს ძალიან ბედნიერს ხდიდა...

კი, თავისებური ქალი იყო, და ამას იმით ხსნიდა რომ ივანაძის ქალები (მოდგმა) ამით გამოირჩეოდნენ, კაპრიზულობით და სიკოხტავით...

„ქმარი ადრე გარდამეცვალა, დიაბეტით, მაგრამ ამაყი ვარ, რაიონს ჩემი ორი მთასავით შვილები ამაგრებენო“ – ფოლკლორული, შემოქმედებითი ხაზით იტყოდა.

კოხტად ჩაცმა იცოდა, მუდამ შავი ფერის წაღები, მაქმანით მორთული თავსაბურავი და ხელში შავი ფერის ტყავის ჩანთა, სადაც სულ ედო კაპლი და ნაირნაირი კანფეტები... განსაკუთრებულად უყვარდა მისი „ოდა“...

სულ ამოვსებული ჰქონდა კარადა ათასგვარი სილამაზეებით, სიჭრელით...

ოჰ, ეს ოდა კიდევ, ნამდვილი ჯადოსნური ყუთი მეგონა ბავშვობაში...

მუდამ ჩაკეტილი, გასაღები კი, კისერზე, ან კაბის ჯიბეში. როცა გარდაიცვალა, თავისი ოთახიც მიჰყვა თითქოს... როგორც თვითონ, ისე გაცივდა მისი ოდაც...

აღარაფერი ჯადოსნური აღარ შემორჩენილიყო, სიცარიელედ იქცა რატომღაც ირგვლივ ყველაფერი...

ველარც მისი ფოტო-ალბომი ვიპოვე, რომელსაც ადრე ერთად ვათვალიერებდით, ყველა ფოტოს გარეკანი დათარიღებულიყო... ერთი ფოტო მომწონდა განსაკუთრებით, ბეშუმში გადაღებული, სადღაც დიდ ქვაზე ზის, ფეხები შემოკეცილი, ხელები მუხლებზე დალაგებული და კმაყოფილების სახით შეჰყურებდა ფოტოგრაფს...

ეს ყველაფერი დრომ შთანთქა...

... :(((

ვზივარ ახლა მშობლიური სახლის უკანა მხარეს, აივანზე და ნაირნაირ ფიქრებს ვუძალიანდები... არაფერი დაავიწყდება ადამიანის გონს. ილექება და ფილტრავ, ანაცვლებ დარდს და სიხარულს, ლამაზ ფერებით... ყველაფერი გახსოვს და ყველაფერი გახსენდება...

ისიც გახსენდება, როგორ დანანებით გეტყოდა ხოლმე, გაგულისებული: „აღარ ვიქნები და მაშინ გამიხსენებთ, ანულავ!!!“

არცერთი ფრაზა თუ დარიგება არ მავიწყდება: „ანავ, ხალხს, მარტო შენი თეთრი შუბლის გამო არ მეეწონები, ბუკი (სახე) თუ არ გიცინის, აფრად ვარგიხარ, უნდა გაასინათლო, სიხალვათე უნდა შეიტანო საცხა წახვალ, ანავ...“

ვუფიქრდები და როგორი მართალია... სადაც არ უნდა იყო ადამიანი, მართლაც, ყველგან შენი წილი თავისუფლება, სილაღე და სიყვარული უნდა მიიტანო თურმე!

* * *

ფოტოზე ერთი შეხედვით უკაცრიელი, ცივი და მიუსაფარი გეჩვენება თითქოს, მაგრამ ყველაზე თბილი და ახლობელია ამავდროულად. ვუყურებ ფოტოს და წარმოდგენილი სინამდვილე მათბობს, ასეთ ცივ ამინდში... იმ მოგონებებით გამთბარ სახლს, რომელსაც გაზაფხულამდე მიკეტილი აქვს კარი. ვუყურებ ფოტოს და მახსენდება, როგორი სანატარელი ზამთარი დგებოდა ბავშვობისას. ღამით დაწყებულ თოვას სიხარულის კიჟინა რომ მოჰყვებოდა ხოლმე: – „ხვალ უნდა ვისრიალოთ, გესმის?! ნიჩბები უნდა მოვიქნიოთ!“ და მართლაც, დილამდე მუხლსაფარი თოვლის მოლოდინი ამართლებდა... როგორც კი გათენდებოდა, თეთრ თოვლში მოჟღურტულე ბეღურებს ვემსგავსებოდით მე და ჩემი თანატოლები... ქონით გაპოხილი ციგის ბოლოები, მოლიპული სასრიალო დაღმართი, სიცივისგან აღაჟღაჟებული ლოყები, იდგა დიდი ჟრიამული და ამბავი. იმ დროს, ზამთარი ერთი კარის შემოხურვა იყო გაზაფხულამდე... ოთხი მეტრო თოვლი მოდიოდა მაღალმთიან აჭარაში (ჩემს დროს ასე იყო). მგონი პატარებზე მეტად ეს უფროსებსაც ახარებდათ... ზამთრისას მოიცლიდნენ ხოლმე ერთმანეთისთვის. ქალები ქსოვდნენ, ქარგავდნენ, ნემსში ძაფს უყრიდნენ და ასე შეექცეოდნენ. კაცები კი ერთმანეთში გადაძახილებით ახმოვანებდნენ სოფელს, ხევს. საღამომდე ნარდს აგორობდნენ, სანიძლაოდ დადებულ ამინდს ვარაუდობდნენ... იხარშებოდა ქვაბში ლობიო, იწვებოდა ფეჩში თეთრი ხაპები. აი, ნამდვილი ჯადოსნური სუნი ტრიალებდა ჰაერში... სულ სხვა სიცოცხლის სავსე დღეები მიდიოდნენ და მოდიოდნენ ზამთრობისას... ყველაზე დაცულ ადგილას ვიყავი იმ დროს და ზამთრის ყინვაზე ნაკლებად ვწუხდი. სხვანაირი, ბავშვური ბედნიერების სუნი ასდიოდა ჩემი მშობლიური სახლის კედლებს, გავარვარებული ფეჩის სითბო ახლაც მათბობს ამ სნობურ ქალაქში. მართლაც „ზამთარი ერთი კარის შემოხურვა იყო გაზაფხულამდე...“

თამარ ქოქაძე

ჩემებური წვიმა

სიყვარული ჩამოწვიმა ციდან,
ყველას გვინდა რაღაც წილი შეგვხვდეს,
წვიმა, როგორც მძივი, ზეცას ცვივა,
გავახსენდით სიყვარულის ღმერთებს.

გავალ, დავკრეფ გამჭვირვალე მძივებს.
ჩავიწვეთებ გულში თითო-თითოს,
გადავიცვამ ტანზე წვიმის წვეთებს,
წვიმის სულის გაგიჟებას ვიგრძნობ.

ვუწილადებ ამ სიყვარულს სხვებსაც,
ბარემ, ერთი მთლიანობა ვიყოთ.
სანამ ასე გაწვიმდება, კიდევ,
ეს წვეთები ერთად ვიმყოფინოთ.

* * *

ფეხშიშველი მივალ ქარში,
ქარი მირევს გზებს.
როგორ მინდა დავიწყება,
როგორ, მაგრამ ვერ...

ქარი ცერებზე ტრიალებს,
წელზე ხელებს მხვევს.
რამდენ ნათქვამ სიტყვას ვნანობ,
უთქმელს უფრო ბევრს.

დაუბერავს ქარი კაბას,
ჩამომიშლის თმებს.

მივალ, წარსულს უკან ვტოვებ,
ვიმეტებ, თან ვერ.

ვიფანტები ნდობით ქარში,
ის კი მძარცვავს წლებს.
რით ვუშველო მოგონებებს,
როცა ძლიერ მტკენს.

* * *

იყო ერთჯერადი განცდა,
მერე იყო უფრო ბოდვა.
ფერებს თითქოს ხმები აკლდა,
ხმაურს ნისლის ფერი ჰქონდა.

ვასწორებდი სიზმრის კადრებს,
ილუზიებს ვწერდი ახლად.
ვცვლიდი ყველა რეალობას,
რასაც სარკე ირეკლავდა.

დავდიოდი სიზმარ-სიზმარ,
ირგვლივ, რაც კი ჯადოსნური,
ბურუსიდან მერე ცხადში,
ფეხაკრეფით გადმომქონდა.

* * *

ხედავ? ისევ გაწვიმდა.
წამოიღო ფიქრები.
ჩემს ფიქრებში მოსვლამდე,
რატომ არ მეკითხები?!

უსმენ? ისევ ცა ტირის.
შენსას ტირის თუ ჩემსას?!
თმებში თითო ჭაღარა
დარდმა იცის თუ წლებმა?!

გაგებუტე ფიქრებში,
რა გსურს, არ გეკითხები.
მორიგ შერიგებამდე
ზურგშექცევით ვიქნები.

კვლავ, გუშინდელ სიზმრებში,
ირხევიან ფარდები.
და გუშინდელ წვიმებში,
წუწაობენ ლანდები.

რამდენი დრო გასულა...
ისევ წვიმას აპირებს,
ისევ გავებუტები,
ფიქრებში, დანაპირებს.

* * *

დეკემბრის თოვლი ფურცლავს,
ჩემი ქალაქის უბნებს.
თავისი თეთრი ფუნჯით,
შემომიხატავს ქუჩებს.

ხელში მომანდო თოვლის
პაწია ფიფქი, ანცი.
გამოაღვიძა ჩემში
მიძინებული ბავშვი.

თოვლში გადავხტი გუნდად,
ფიფქი მიკოცნის თმებს.
თოვლს მეგობრობა უნდა,
მითბობს გათოშილ ხელს.

დაბარდნავს მოგონებები,
გადაპენტილი დღის.
ზღაპრებად, რომ მოვუყვები
ჩემს, ჯერ არ შობილ შვილს.

* * *

როგორ გავხარ შემოდგომავ, დედას,
ველად შენი ხორბლისფერი თმებით,
მოიქსოვე ნეკერჩხალის კაბა,
ქარის ხმაზე იავნანვდები.
ქარი ხეებს შეუვარცხნის ტოტებს,
მიწას ზრუნვით დააკერებს ფოთლებს,
როგორც ბავშვი, საყვედურით გავსებ,
როგორც დიდი, გემადლიერები.

ᲗᲔᲠᲫᲘ

ᲗᲔᲠᲫᲘ

(? - დაახლოებით 1250)

თერძის ზუსტი სახელი და გვარი დაბადების თარიღი უცნობია. ფიქრობენ რომ დაიბადა ავსტრიაში. თერძს ეკუთვნის ეპოსი „კარლ დიდი“. თერძი თავის იგავებში ამორალურობაზე და გარყვნილებაზე წერდა.

ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲛᲘ

კურდღელს, რომელსაც ლომის წინააღმდეგ
ბრძოლა სურს –
მე ვერ ვუწოდებ გმირს,
ის შეშლილია.

ვინც ისეთ ძალის წინააღმდეგ იბრძვის,
ვისაც ვერასდროს დაამარცხებს,
და უცილობლად მოკლული იქნება,
ამტკიცებს რომ ეშმაკით შეპყრობილია.

ვინც პატიოსნად არ ცხოვრობს,
ის ღმერთის წინააღმდეგ იბრძვის
და შემდეგ მისი სული გადარჩენა უფრო შეუძლებელია,
ვიდრე ლომთან მებრძოლი კურდღლის.

ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ

მე მოვისმინე ნამდვილად მომხდარი:
კურდღელი, რომელიც ბაწრით დაბმული არის,
შეიძლება ისევ ველური გახდეს,
როდესაც ბაწარს მოხსნიან.
ჩვენთანაც ასეა: ადამიანი,
რომელიც პატიოსნად ცხოვრობდა და
ამ პატიოსნებას დაკარგავს,
უფრო მეტად ველური ხდება, ვიდრე ბალახში მორბენალი კურდღელი.

ქაჩალი და კოღო

კოღომ ძალიან მწარედ უჩხვლიტა ქაჩალს თავზე,
როდესაც თავი მოშიშვლებული შენიშნა.
კაცმა მოუქნია ხელი, მაგრამ ის ამ დროს უკვე გაფრენილი იყო.
ცოტა ხანში კოღო ისევ მიფრინდა,
კაცმა მოიქნია ხელი,
მაგრამ კვლავ ნაკბენი და ხელმოცარული დარჩა.
ასე გააგრძელდა,
მანამ სანამ კაცმა დაიჭირა და მოკლა.

კოღოს მე ვადარებ ღატაკ ხალხს,
რომელიც ძლევამოსილს მუდამ თხოვს რაღაცას
და არ ზრუნავს, რაც ჭირდება თავად იშოვნოს,
ასე ის შემაწუხებელი ხდება და ბოლოსდაბოლოს
მდიდარი წყვეტს ღატაკთან ურთიერთობას,
შემდეგ ღატაკი ნელ-ნელა უფრო და უფრო პატივმოყვარე ხდება და
ტანჯვით იქამდე მიიყვანს ბატონს, რომ ერთხელაც ნაბრძანები იქნება
ღატაკის სახრჩობელაზე დაკიდება,
ანუ მას ისეთივე აღსასრული ექნება, როგორც კოღოს.

ჩიტი და მიმინო

დილაადრიან მწვანე ტოტზე
ერთი ჩიტი გალობდა.
ის სიმღერაში ისე გართული იყო,
რომ სულ დაავიწყდა ირგვლივ ყველაფერი.
ჩიტი ასე იჯდა და მღეროდა,
მანამ სანამ მიმინო არ დააცხრა
და ბრჭყალებში არ მოიგდო.
ჩიტს ხმა ჩაუწყდა და სააბოლოდ როდესაც
მოკვდა, სააბოლოდ დადუმდა.
ასე განცხრომით ცხოვრობენ მიწიერი ადამიანები,
რომელთაც ღმერთი დავიწყებული ჰყავთ
და იმას აკეთებენ, რაც გაუხარდებათ,
მანამ სანამ ყველანაირი შველა უკვე გვიანი იქნება,
სიკვდილი მოაწევს და მოახრჩობს.
ადამიანების განცხრომით ცხოვრებას უფრო ცუდი ბოლო აქვს, ვიდრე
ჩიტს, რომელიც თავისთვის მღეროდა.
ჩიტი რომელიც გალობდა და საკუთარი თავი დაკარგა,

ის ამ დროს თავის ჭმუნვას იქარვებდა,
მაგრამ მიწიერს, რომელიც განცხრომაში ცხოვრობდა,
სიკვდილის დროს ადამიანთათვის წარმოუდგენელი
და მრავალმხრივი სადარდებელი უჩნდება.

კატა

ყველა კატის თვისება არის,
რომ დაინახავს უამრავ უყურადღებოდ დაგდებულ საჭმელს,
იმისკენ ისწრაფვის, რისი ჭამაც არ შეუძლია.
ასე ყველაფერს აბინძურებს, ყველასთვის არასასიამოვნო,
ზიზღისმომგვრელი ხდება.
ასე იქცევა ყველა გარყვნილი მამაკაცი,
რომელსაც ბევრი ქალის გამიჯნურება არ შეუძლია,
როგორც მის გულს სურს.
უამრავიდან მაინცდამაინც იმას ირჩევს,
ვისაც ის საერთოდ არ აინტერესებს.
მიუხედავად ამისა ვერ ანებებს თავს და
თავისზე გარყვნილებთან ატარებს დროს,
ის რომ ასე იქცევა, ეს არ არის უგუნურება,
რადგან იცის რომ ასე
მის სიკერპეს შეასუსტებს და თავის
სურვილზე დაიმორჩილებს.
ასე ცდილობს კაცი ქალის გულის მოგებას და
ის ისე იქცევა, როგორც კატა და კატის მსგავს ქებას იმსახურებს.

კარლ ვილჰელმ რამლერი

(1725-1798)

გერმანელი პოეტი, ფილოსოფოსი და იგავ-არაკების ავტორი

მებაღე და ფუტკარი

პატარა მშრომელი ფუტკარი აქეთ-იქით დაფრინავდა
და ყველა ყვავილიდან
წვენს წოვდა.
– ფუტკარო! – თქვა მებაღემ,
როდესაც მუშაობის პროცესში ის დაინახა,
– ზოგიერთი ყვავილი შხამს შეიცავს,

შენ კიდევ ყველა ყვავილიდან წვენს წოვ.
– ესეა მებაღეევ,
შემდეგ კი შხამს უკან ვტოვებ. უპასუხა ფუტკარმა.

ცხოველთა მეფე

ცხოველთა მეფე მოკვდა,
არჩევნები მოაწყვეს, უამრავი იბრძოდა ტახტისთვის,
საბოლოოდ დარჩა ორი კანდიდატი –
ლომი და ირემი. ხმები თანაბრად გაიყო:
ერთმა თქვა ეს ჯობია, უფრო ხალისიანია,
მეორემ თქვა ის ჯობია, უფრო ძლიერია და დაიცავს სამეფოს.
ორანგუტანგი ჩაერთო საუბარში: სპილოს დავამატებდი,
სიძლიერით ლომის და ხალისით ირმის მსგავსია.
ბედნიერია ის მხარე,
რომლის მმართველიც ყველასგან პატივცემულია და სიმშვიდის მოყვარულია,
მაგრამ როდესაც მტერი შემოიჭრება,
გამბედავად გაუძღვება ჯარს გამარჯვებისთვის.

მგელი და ღორი

მგელმა ერთ დღეს უთხრა ღორს:
– როგორ შემიძლია ვიყო ცხოველი,
რომელიც მუდამ ტალახით და წუნწუხით ტკბება?
და მე როგორ შემიძლია ვიყო მუდამ ავი,
რომელიც მუდამ კრავის სისხლით ტკბება?

სტიქსი ღრიალებს, პოლიდორუსი ღვინოს სვამს
და ორივე სასოწარკვეთილნი ყვირიან:
როგორ შეიძლება ასეთი სასირცხვილო ვიყო?

მაიმუნი წყალში

მაიმუნი რომელიც წყალში იხრჩობოდა,
ჩახრინწული ხმით შეევედრა ნეპტუნს:
„ღმერთო! იხსენ საწყალი არსება
ვინც მუდამ შენი მსახური იქნება და
უბიწობას დაიცავს.
აღარ იქნება მსუნაგი და უხეში.

არ იქნება ცოდვა ასე ახალგაზრდამ რომ განუტევოს სული?“
ასე კვნესოდა ის შეშინებული.
უცბად ერთმა ტალღამ მაიმუნი სანაპიროსკენ ისროლა,
მაიმუნი ერთ ბუჩქს ჩაეჭიდა,
რომელიც ქვების გროვიდან ძირს ჩამოწეული იყო და თქვა;
„ღმერთო! აღარ შეწუხდე,
იმ არსებას თავის გადარჩენა თავადაც შეუძლია“.
როგორც გვაცნობეს, ბევრი საავადმყოფოში მოხვედრილი
ღვთისმოშიში ასე იქცევა.

ქათამი

ბატონ სკრიბლერს ქათამმა კვერცხი დაადო,
ისე როგორც გამრჯე ქათამს შეეფერება.
ის მთელი დღე ცდილობდა ისე ეკაკანა,
თითქოს სახლში ცეცხლი ყოფილიყო.
ერთი მოხუცი ინდაური, რომელიც ამ კაკანმა შეაწუხა,
გაჯავრებული მივიდა ქათამთან და უთხრა:
„– ქალბატონო მეზობელო, კაკანი არ არის უცილობელი,
მაგით შენ კვერცხს ვერ გაადიდებ,
უბრალოდ დაადე და მაგით დაკმაყოფილდი!“
„– ჰმ! თქვა ქათამმა, შე ბეცო ცხოველო
შენ არ იცი რა კარგია, ეხლა მოდას რომ მიყვები:
ჯერ კვერცხს ვდებ და მერე ამის შემდეგ პატრონს ვაცნობ“.

ქრისტიან აუგუსტ ფიშერი

(1771-1829)

გერმანელი მწერალი და ისტორიკოსი. ცნობილია პოლიტიკური იგავებით.

ორი საყვარელი

შუახნის კაცს ორი საყვარელი ჰყავდა, ერთი ასაკოვანი, მეორე ახალგაზრდა.
ორივე ერთმანეთზე ეჭვიანობდა და ორივეს სურდა თავის სიყვარულისთვის უფრო ძვირფასი ყოფილიყო; ორივე ასაკით უკმაყოფილო იყო,
მოხუცმა, რომელზეც კაცი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა,
მას შავი თმის ღერები მოაცილა, ახალგაზრდამ, რომელზეც თავის სიყვარული

უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა, მას ჭაღარა მოაცილა
და სააბოლოდ კაცი თმების გარეშე დარჩა.
ასე არის ორი დაპირისპირებული პოლიტიკური სისტემა,
რაც სააბოლოდ ხალხზე ცუდად აისახება.

კოღო და სინათლე

კოღო დაფრინავდა სინათლის ირგვლივ და ბოლოსდაბოლოს დაიწვა.
– წყეული იყოს მოღალატე! უფალი სასჯელს მოუვლენს მას!
აყვირდა ის მომაკვდავი.
– მაგრამ რატომ შეფრინდი შიგ? მიუგო ფილოსოფოსმა.
წყევლა არ არის ხსნა, წყევლა უსამართლობა თქვენო უმაღლესობავ!

ლომი და ნახატი

მხატვარმა დახატა ლომი, რომელიც ადამიანი მუშტით კლავს. ლომმა
ჩაიარა იქვე, დაინახა ეს ნახატი და თანაგრძნობის გამოსახატავად
თქვა: ნეტავ ჩვენც შეგვძლებოდა ხატვა!
ოფიციალური ინფორმაციები მოგებულ ომებზე არის მხოლოდ ექო
ერთი რეჟიმის. იგივე ითქმის გამარჯვების ამაღელვებელ სტატიებზე
სამეფო კარის პრესის.

ხელოვანი და ლამპა

ხელოვანმა, რომელიც ღამე ძალიან ბევრს მუშაობდა, ერთ დღეს
ლამპაში ზეთი გამოცვალა და თქვა: ხედავ! შენთვის როგორ ვზრუნავ!
სწორედ ამიტომ ეს სიბნელე უფრო მეტად უნდა გაანათო! ლამპა
საპასუხოდ ჩაქრა.
თავადებო, როცა ხალხს სიკეთეს უკეთებთ, ეს არ ნიშნავს რომ
კეთილშობილი ხართ, ეს უბრალოდ თქვენი უპირატესობაა!

ქურდები და ცხენი

ორმა ქურდმა ცხენს ჩაავლო ხელი. ორივეს სურდა რომ
დაპატრონებოდა. დაიწყეს ჩხუბი. ხელი დაარტყეს ერთმანეთს,
მაშინ როდესაც თავი გასისხლიანებული ჰქონდათ, მიიპარა მესამე,
შეჯდა ცხენზე და წავიდა.
თურქეთ-ავსტრიის ომის დროს მოხდა ეს.

ფრიდრიხ ადოლფ კრუმმახერი

(1767-1845)

ფრიდრიხ ადოლფ კრუმმახერი გერმანელი ევანგელისტი თეოლოგი იყო. კრუმმახერმა 1809 წელს სამი ტომი „აპოლოგები და პარამითები“ შექმნა. აპოლოგები იგავებს ნიშნავს. პარამითები კი ძველ მითოლოგიაზე დაფუძნებულ ეთიკურ და რელიგიურ ტექსტებს.

გუგული და მტრედი

გუგული ჩიოდა:
ჩემი ხმის გამო დამცინიან, აბუჩად მიგდებენ,
მაგრამ შეხედეთ მტრედს! იგივე ხმას გამოსცემს
და მთელ ქვეყნიერებაზე ყველას უყვარს.
ჩემს მიმართ უსამართლობა ხდება!

– უდაბურ ტყეში მტრედი
თავის მგზნებარე სიმღერას
გულიდან ამოსულ ჭეშმარიტ სიყვარულზე ღუღუნებს.
შენ კიდევ გული სიყვარულით არ გაქვს სავსე,
თავკერძად ჩხავიხარ
და გინდა ყველას შენი სახელი ეკეროს პირზე.
თქვენ ორ შორის იპოვნე განსხვავება და მიხვდები მიზეზს, – მიუგო არწივმა.

ბებერი და ახალგაზრდა მუხა

საზიზღარო ბრბო! ამწვანებულხართ და ყვავილი გაგიშლიათ!
ახალგაზრდა მუხამ გაჯავრებით დაუყვირა მაყვლის ბუჩქებს,
რომლებიც მის ძირში ყვაოდნენ.
ბებერმა მუხამ მიუგო:
– იმ სიმაღლის უნდა იყო, რომ შენ ძირში ვერაფერს ვერ ხედავდე.

მაიმუნი და ინდოელი

ქნარზე დამკვრელმა მაიმუნების გუნდმა ვაშლის ხე იპოვნეს,
რომელიც ღატაკი ინდოელის კარ-მიდამოში იდგა.
მადა მოეძალათ,
ერთი ორანგუტანგი ხეზე აძვრა
და ახლო მდგომს მაიმუნს მოპარული ვაშლები მიაწოდა,
იმან სხვა მაიმუნს და ასე მივიდა ყველაზე უსაფრთხო ადგილას
ბებერ მაიმუნთან, რომელმაც ერთ ადგილას დააალაგა ვაშლები.

როდესაც მაიმუნებმა ხეზე თითქმის არცერთი ვაშლი არ დატოვეს,
მაშინ გაიგო ინდოელმა ვაშლის მოპარვის ამბავი.
იგი უმალ მიიჭრა ყაჩაღთან, რომელიც ხის კენწეროში იყო
და თხოვა დაეტოვებინა ცოტა მაინც,
მაგრამ ყაჩაღმა ხმა არ გასცა და დამცინავად ჭამის დროს
პირი უფრო მეტად გაატკლაცუნა.

„– აჰ, არ მისმენ შენ ავსულო?!
კარგი, სასჯელს მოვავლენ შენზე
და ამით დაგსჯი!“

„– შეშლილი ხარ, თქვა მოხუცმა მაიმუნმა.
შეშლილო, ჭკუა სულ დაკარგე?
ვერ ხედავ, რამდენიმე ვართ და ხელი-ხელ გადავცემთ ვაშლებს?“

ზევსი და ცხვარი

როცა დაასრულა ზევსმა დედამიწაზე არსებების შექმნა,
თავის თათზე იწვა ლომი და ეძინა,
სპილო მუქარის ნიშნად მაღლა სწევდა ხორთუმს,
ტახი ილესავდა კბილს;
კურო ბოროტი თვალებით რქებს იქნევდა,
ზღარბის ტანი უამრავი ეკლით დაფარული იყო.

მხოლოდ ახალდაბადებული კრავი მივიდა უფალთან
– რა გაწუხებს? თქვა ზევსმა. ეტყობა რაღაც საჩივარი გაქვს, ილაპარაკე!
– ჩვენ რა დაგვიცავს? – თქვა აღგზნებით კრავმა, –
არანაირი იარაღი არ მაქვს თავდასაცავად, არც თავდაცვა ვიცი.

– შენ თვალებში უცოდველობას ვხედავ,
იოლად იხვევა თეთრი მატყლი
ათას ხვეულად შენს ტანზე.
ეს უცოდველი იმდენად მომხიბლავი ხარ, რომ
დიდსულოვანი გული აუცილებლად წაგიყვანს თან.

– აი ხედავ, ისინი მოდიან, თქვა უფალმა –
და კრავს ორ ადამიანისკენ მიუთითა.
მათ მოჰკიდეს ხელი და ნაზად ქოხისკენ წაიყვანეს,
მოუმზადეს სადგომი და უთხრეს:
ალბათ ზევსმა ჩაგვიფიქრა შენ
უმანკოს მფარველად.

აი ასე გახდა ადამიანი ცხვრის პატრონი და დამცველი
ადამიანის უმანკოების მცველი კი არის ღმერთი.

ბატები, იხვები და გედი

თორმეტი ბატი და იხვი ცურავდნენ ტბორში გვერდი-გვერდ,
მათთან ახლოს თეთრ მბრწყინავ წყალში გედი ცურავდა.

უცბად ერთმა იხვმა გედი ამაყად მიიჩნია და მოინდომა
მისი ახლო დანახვა.
– ძალიან ლამაზად გამოიყურება!
ისეთი ამაყი და ჯიუტი სახე აქვს, როგორც ხოხობს და ფარშევანგს. – თქვა მან.

– ოჰ, ჩაისისინა ერთმა ბატმა, გაუშვი!
კიდევ გაგიმეორებ,
მისი მხოლოდ ერთი ნახევრის დანახვა შეიძლება,
რაც არ ჩანს, ეს მისი ფეხებია.

– მართალი ხარ, მართალი ხარ! – უცბად გაახსენდა იხვს, –
მისი ფეხი მხოლოდ სასოწარკვეთას იწვევს.
– ეი, – ერთხმად დაიძახეს ბატებმა, –
ეს ხომ ისედაც ცხადი უნდა ყოფილიყო შენთვის!

ვინც სხვის ღირსებას ცუდად შეეხება
და თამამად ყველაზე თავხედურ საყვედურს ბედავს,
არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ სხვები ამის გამო გაკიცხავენ,
ყველა ერთხმად დაეთანხმება.

გერმანულიდან თარგმნა **გიორგი ვარამაშვილმა**

თამაზ გვენეტაძე

ქართული თემატიკა არტურ ზუტნერის შემოქმედებაში

ავსტრიელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი (1850-1902 წწ.) მეუღლესთან – მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბერტა ფონ ზუტნერთან (1843-1914 წწ.) ერთად ცხრა წლის განმავლობაში (1876-1885 წწ.) ცხოვრობდა საქართველოში. ის აქ ჩამოყალიბდა მწერლად. მაშინდელი ქართული ყოფიერება იმდენად ღრმად აღიბეჭდა მასში, რომ ამ შთაბეჭდილებათა წარმოსახვა მისი შემოქმედების უმთავრეს თემად იქცა.

საქართველოს თემატიკაზეა შექმნილი რომანები და მოთხრობები: „კავკასიის შვილები“, პირველი ტომი (1890) („ჩემი მეგობარი გუჯა“, „მეზობლები“, „ბატონი გრეგორი“, „საბრალო ვარდი“, „ქეთევანი“, „მარგალიტი“), „კავკასიის შვილები“, მეორე ტომი (1891) („ბიზონი და ტური“, „მეგრული ქორწილი“, „ჰაჯი-აღა და მისი ნარგილე“, „ურთას მთის ძირას“, „ლიზას ბედნიერება“, „სულელი“), „დარეჯანი“, „ბატონო“, „აზნაური“ (1886), „იბერიელნი“, „აჭარლები“ (1888), „შამილი“ (1890), „ჩერქეზები“ (1898) და სხვ. გერმანულ და ავსტრიულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი საგაზეთო სტატიები რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ (ფსევდონიმით M. A. Lerei).

მე-19 საუკუნის უდიდესი ლირიკოსი დეტლეფ ლილიენკრონი (1844-1909) ბერტა ფონ ზუტნერს წერდა: „მოწყალეო ბარონის ქალო, ჩვენი პატარა გუნდი და თქვენ და თქვენი მეუღლე ვიბრძვით ლიტერატურის დაჭაობების... წინააღმდეგ. ჩვენ ვერ მოვიმკით დაფნის გვირგვინებს, სამაგიეროდ გზა გავუკვალეთ ჩვენს მემკვიდრეებს... უმორჩილესად გთხოვთ, გულითადი მოკითხვა გადასცეთ თქვენს მეუღლეს! მისი რომანი „დარეჯანი“ დიდებულია“ (1889 წლის 27 აპრილი. იხ: ბერტა ფონ ზუტნერი, მოგონებები, 245).

არტურ ზუტნერს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში. 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე ზუტნერებმა სოფელ ცაისში იონა მეუნარგიასთან ერთად საბოლოო რედაქცია გაუკეთეს „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგიასეულ ფრანგულ თარგმანს. ამავე დროს ისინი პოემას თარგმნიდნენ გერმანულ ენაზედაც. ჩვენთვის ჯერაც უცნობია ზუტნერების მიერ ნათარგმნი გერმანული ტექსტი. არ არის დადგენილი, მათ დაამთავრეს თუ არა დაწყებული საქმე, თუ რა ბედი ეწია გერმანულ ენაზე შესრულებულ თარგმანს. სავარაუდოდ, მთარგმნელებმა იგი სამშობლოში წაიღეს. სამწუხაროდ, ასევე დაკარგულად ითვლება ფრანგული

თარგმანიც. ცნობილია, რომ ზუტნერებმა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად გამომცემელი ვერ იპოვეს და ეს უნიკალური ნაშრომი სადღაც არქივში თვლემს. წინამდებარე ნარკვევის მეორე ნაწილში უფრო დეტალურად გაგაცნობთ ამ ისტორიას.

მშობლებთან შერიგების შემდეგ, 1885 წელს, ზუტნერები დაბრუნდნენ ავსტრიაში, არტური განაგებდა მშობლების მამულებს და მაღაროებს ჰარმანსდორფში, ვენიდან 30 კილომეტრის მოშორებით, სადაც შემდეგი ნაწარმოებები შექმნა:

Die europäische Civilisationsarbeit. In: Neue Deutsche Rundschau, Jg. 11 (1900)

Nichts Ernsthaftes. Kleine Geschichten. G. Piersons Verlag, Dresden 1895

Anderl. G. Piersons Verlag, Dresden 1889 (2 Bde.)

Der böse Geist. J. Bensheimer Verlag, Mannheim 1893 (2 Bde.)

Um jeden Preis! G. Piersons Verlag, Dresden 1895

Eine moderne Ehe. Dresden 1895

Sein Verhängnis. Hillger, Berlin 1897

Gebrandmarkt. Hillger, Eisenach 1898

Scharfeneck. Hillger, Berlin 1900

Dory‘s Roman. Hillger, Berlin 1903

Im Zeichen des Trusts. Hillger, Berlin 1915

არტურ ზუტნერმა, როგორც პაციფისტმა, 1891 წელს დააარსა ავსტრიის ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა გაერთიანება და 1892-1896 წლებში გამოცემდა ყოველკვირეულ გაზეთს „Das Freie Blatt“. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა და ამ მიზეზით მისი კარიერა თითქმის დასრულდა[1].

გამომცემლები უარს ამბობდნენ მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებაზე, აღარ იბეჭდებოდა მისი სტატიები, უარი უთხრეს რედაქტორის თანამდებობაზე, მარცხი განიცადა არჩევნებზე, როგორც ლიბერალური პარტიის წევრმა. წარუმატებლობის ამ ჯაჭვმა მისი ჯანმრთელობა ისე შეარყია, რომ მას გაუმწვავდა მალარია და, ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, 1902 წელს გარდაიცვალა. უნდა ვიცოდეთ, რომ მას ეს დაავადება საქართველოში შეეყარა – მისი პროტოტიპი, რომანის „იბერიელნი“ ერთ-ერთი გმირი, ბარონი ვალტერი, ისეთი სიზუსტით გადმოგვცემს დაავადების სიმპტომებს, რომ ცხადი ხდება – ასე მხოლოდ მას შეუძლია წერა, ვინც ეს ავადმყოფობა გადაიტანა: „ვალტერს რაღაც უცნაურად ატკივდა თავი. ასეთი რამ არასოდეს დამართია. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავში ტვინის ნაცვლად ტყვია ჩაესხათ. ოთახში შესულს უცებ მთელს სხეულში ძლიერმა ციებ-ცხელებამ გაუარა. ალბად გავცივდიო, – იფიქრა და სწრაფად მიაშურა საწოლს... მაგრამ საწოლში ციებამ უფრო უმატა და მალე ძლიერი ცახცახიც დააწყებინა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დაუნდობლად ურტყამდა ვიღაც თავში ჩაქუჩს. შემდეგ ტემპერატურამ ისე აუწია, რომ... ღრმა აგონიაში ჩავარდნილს... რაღაც გიჟური, მომქანცველი მოჩვენებები დაეწყო – ნამდვილი ჰალუცინაციები!“[2]

ფაქტია, რომ არტურ გ. ზუტნერის შემოქმედება დღემდე ჯეროვნად არ არის შეფასებული. ის ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა ბერტა ფონ ზუტნერის ჩრდილიდან... მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამის მთავარი მიზეზი მისი ნაადრევი გარდაცვალებაა – იგი 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. აი, რას წერს

---

[1] ამას დაემატა არტურის სატრფიალო ისტორია მარი-ლუიზე ფონ ზუტნერთან, რომელმაც 1898 წელს წიგნში „ასე იქმნა ნათელი“ ეს ურთიერთობა საქვეყნოდ გაამხილა, წიგნი კი მიუძღვნა მის „ძვირფას ბიცოლას და მასწავლებელს, ბერტა ფონ ზუტნერს“ (Marie von Suttner, „Wie es Licht geworden!“, Verlag Pierson 1898). ბერტამ დიდსულოვნად მიუტევა მეუღლეს, თუმცა არტურის კარიერა მაინც დასასრულს უახლოვდებოდა.

[2] ზუტნერი ა., „იბერიელნი“ (თამაზ გვენეტაძის თარგმანი), ქუთაისი 2020, გვ. 256.

გაზეთი „Die Friedens-Warte“ 1902 წლის 17 დეკემბერს: „ახლობლებისათვის უკვე დიდი ხანია საიდუმლო აღარ იყო, რომ ბარონ ფონ ზუტნერს განუკურნებელი სენი – მალარია სჭირდა, რომლითაც ის წლების წინ აზიაში მოგზაურობისას დაავადდა... ოთხმოციან წლებში მან ფართოდ გაითქვა სახელი კავკასიური ნოველებით... სიცოცხლის ბოლო წლებში არტურ გ. ფონ ზუტნერი თანამედროვეობის პრობლემატიკით იყო დაკავებული“.

არტურ ზუტნერის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან დიდხანს მხოლოდ 1884 წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებული ნარკვევი იყო ქართულად თარგმნილი. ეს არის წერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებიც ქართულმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს; გაზეთმა „დროება“ გამოაქვეყნა არტურ ზუტნერის 6-ნაწილიანი ნარკვევების ციკლი, შემდეგ კი „ივერიამ“ 40-გვერდიანი სტატია, რომლებსაც გააჩნიათ დიდი სამეცნიერო ღირებულება. ეს იყო უცხოელი ავტორის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი რუსთაველის შესახებ (გაზ. „დროება“, 1884, 30 ნოემბერი, 1, 4, 5, 8, 9 დეკემბერი; ივერია 1884, №№ 11 და 12).

2006 წელს გამოქვეყნდა ქართულ ენაზე თარგმნილი მისი რომანი „აჭარლები“[3], რომელშიც რუსეთ-თურქეთის ომისდროინდელი აჭარის ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და ეთნოგრაფიული ყოფაა ასახული. ავტორი ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული მაღალზნეობრივი, კეთილშობილი აჭარლების მიმართ და დაწვრილებით აღწერს მათ ტრადიციებს.

რომანში ცოცხლდება XIX საუკუნის 60-70-იანი წლების აჭარა, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას გაუსაძლისი გადასახადები დააკისრეს. სწორედ ამ ადამიანთა ცხოვრების, სიყვარულისა და ბრძოლის, გამარჯვებისა და დამარცხების ისტორიას აღწერს ზუტნერი თავის რომანში. მწერალი მოუხიბლავს აჭარელთა შინაგანად კეთილშობილ, ამაყ, მართალ, ვაჟკაცურ და გმირულ ბუნებას, ამიტომაც ასეთი სიყვარულით ძერწავს იგი მშვენიერი თამარისა და სიმართლისმოყვარე ჯამბეკის, შურისძიების გრძნობით ანთებული ელიზბასა და მეგობრებისათვის თავდადებული ახმედისა თუ დარიას სახეებს. ესენი არიან „სულით და ხორცით აჭარელი, ფართო გაგებით კი ქართველი“ პატრიოტები, რომლებიც „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავიანთ ძველქართულ წარმომავლობას“, რომლებიც „მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ, რათა მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებები მჩაგვრელებისაგან დაეცვათ“, თავდადებით ებრძოლათ უღირსი დამპყრობლის წინააღმდეგ, რომელიც მათ საუკუნეთა განმავლობაში „სისხლიან ცრემლებს ადენდა“, შეურაცხყოფდა მათ ეროვნულ სულს, ტრადიციებს, ფეხქვეშ თელავდა მათ ღირსებას[4].

ჯამბეკი, ელიზბა და სხვა აჭარელი პატრიოტები სწორედ „ქვეყნის სიყვარულმა, მისი უმდიდრესი ისტორიისადმი მოწიწებამ“ დააპირისპირა დამპყრობლებთან, თუმცა, სამწუხაროდ, აქა-იქ გამოერეოდნენ ხოლმე მოღალატეები, რომელთა მამოძრავებელი ძალა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა იყო.

რომანი „იბერიელნი“

2006 წლის შემდეგ არტურ ზუტნერის სახელი ქართულ პუბლიცისტიკაში მივიწყებას მიეცა. 2019 წლის სექტემბერში ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში, ხანგრძლივი ძიების შემდეგ, მივაგენი არტურ ზურნერის უცნობ ხელნაწერს რომანისა „იბერიელნი“. ხელნაწერი 120 წლის განმავლობაში დიდი მზრუნველობით ინახებოდა ისე, რომ ადამიანის ხელი არ შეხებია. არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მისი პირველი მკითხველი გავმხდარიყავი. ხელნაწერს ჯერ საფუძვლიანი რესტავრაცია

[3] ზუტნერი ა., „აჭარლები“ (რუსუდან ღვინეფაძის თარგმანი), თბილისი, 2006.
[4] „აჭარლები“, გვ.108.

ჩაუტარდა და მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში მივიღე ნაწარმოების ელექტრონული ვერსია. მისი წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მეტად განმიმტკიცდა ის აზრი, არტურ ზუტნერის შემოქმედება, მათ შორის ხსენებული რომანიც, უსათუოდ უნდა ითარგმნოს ქართულად. ჩემს ამ თვალსაზრისს უმთავრეს საფუძვლად ედო ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მწერლის შემოქმედებაში ჩვენი სამშობლო ერთმნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი, როგორც ევროპული ფასეულობების მქონე ქვეყანა.

რომანი გადაგიყვანთ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში და მაშინდელი ყოფა-ცხოვრების ორომტრიალში ჩაგრთავთ. იგი სავარაუდოდ 1881-1883 წლებში დაიწერა, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. რომანი დაწერილია უმშვენიერესი კალიგრაფიით ე. წ. კურენტის ხელწერით, გაკრული, გაქცეული ხელით (ლათ. currere – გაქცევა). სავარაუდოა, რომანი სხვა პიროვნებამ გადაწერა, ვინიდან ის მკვეთრად განსხვავდება ა. ზუტნერის ხელწერისაგან.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ რომანი გარკვეულწილად ისტორიულია – მისი უმთავრესი მიზანია მაშინდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის წარმოსახვა. მასში აღწერილია რეალური ისტორიული პიროვნებები და ფაქტები, უცხოელის თვალით დანახული გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული რეალიები. ეს არის, ისევე როგორც მისი რომანების უმეტესობა, რეალობის მხატვრული ინტერპრეტაცია. მკითხველი ადვილად გაავლებს პარალელს მე-19 საუკუნის ეროვნული მოძრაობის გმირებსა და ჩვენი უახლესი ისტორიის გმირებს შორის. მათში იპოვით მეოცნებე დისიდენტს, „გამჭრიახ“ პოლიტიკოსს, აგენტების მთელ არმიას და პრაგმატულ მოსახლეობას – რომანის ქართველ პერსონაჟთა გარკვეული ნაწილის ეროვნული ცნობიერება კოლონიური პოლიტიკის შედეგად იმდენად დეგრადირებულია, რომ ისინი იმპერიის ნაწილად მოიაზრებენ საკუთარ თავს.

ნაწარმოები იწყება იმის აღნიშვნით, რომ თბილისში, არსენალის დასახლებაში მდებარე რუსული სამხედრო ბაზიდან ზარბაზნების ზალპით აღნიშნავენ რუსეთთან შეერთების დღეს. მისი „ქუხილის ხმა ყრუდ გადმოუფრენს ხოლმე ქალაქს და შემდეგ გუგუნით იკარგება მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთებში“.

რომანის მთავარი გმირი, იოანე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ლიდერის იდეალიზებული სახეა. სიმბოლურია, რომ მან ევროპაში მიიღო განათლება და თავისუფლების მოყვარე ერების სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მას გვერდით უდგას ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებული ავსტრიელი მეგობარი, პროფესიით ექიმი, ბარონი ვალტერ ფონ როდენფელზი – რომლის სახითაც ავტორი სავარაუდოდ საკუთარ თავს მოიაზრებს.

იოანესაგან განსხვავებით რუსიფიკაციის ფაქტსაა შერიგებული და ბედს დამორჩილებული იბერიელთა დინასტიის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე ვახტანგი. ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმი სუფევს. აქ „კედლებსაც კი ყურები აქვს გამობმული! მოღალატეებს... კარგად უხდიან ფულს და... დიდ პატივშიც ჰყავთ“.

რომანის მაგისტრალური ღერძია ორი ეროვნული თვალთახედვის შეპირისპირება, ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისის ჭიდილის.

იოანე: „...ოქროთი მოკირწყლული შარაგზა დაგიგეს წასასვლელად. ეს ხომ ცნობილი, საუკეთესო საშუალებაა, რათა ხალასი სისხლი წაახდინო, ისიამოვნო, დატკბე ცხოვრებით, უკანასკნელ წვეთამდე დაცალო სიამოვნების თასი, შემდეგ კი, როდესაც სულით და ხორცით მოტყდები, ჩვენთვის საშიში აღარ იქნები!“

ვახტანგი: „იქ, სადაც შენ სწავლობდი, გერმანიაში, ადამიანებს შესწევთ უნარი, აღფრთოვანდნენ ერთი საერთო იდეისათვის და ერთად წამოდგნენ საბრძოლველად, როდესაც დროშას დაეწერება სიტყვა „სამშობლო“. მაგრამ ჩვენთან ახლა რა ხდება? აბა, შეეცადე, ჩვენები გააერთიანო

და გადააწყვეტინო, მიატოვონ სახლი, ბავშვები, თანამდებობა და შენ დაგიდგნენ გვერდით! ნახე ერთი, ახლა ყველას თანამდებობა აქვს, გვარის დამსახურებიდან გამომდინარე, იმ ადგილის შესაბამისი, რაც მათ საზოგადოებაში უკავიათ! ისინი ნებაყოფლობით ჩადგნენ უცხოელთა სამსახურში და ამისთვის გასამრჯელოს იღებენ...“

ქართველ დიდგვაროვანთა არაერთსულოვან პოზიციას კარგად იყენებენ უცხოელი აგენტები, რომლებიც დიდი გარეგნული ეფექტების მიუხედავად, გამუდმებით რუსული კონტრდაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. თურქეთის აგენტი, იტალიელი მორეტი, იბერიელთა სამეფო ტახტის მემკვიდრეს, ვახტანგს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმას ამგვარად განუმარტავს: „საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანია პირადად თქვენთან ხელშეკრულების გაფორმება და თქვენი დაყოლიება ჩვენთან თანამშრომლობაზე!.. საქმე ეხება თქვენი სამეფო გვირგვინის დაბრუნებას. თქვენი ისტორიული მოვალეობაა, წინაპრების დაკარგული სამეფო ტახტი დაიბრუნოთ, თქვენს ქვეყანას აღუდგინოთ დამოუკიდებლობა და ის გამოიყვანოთ გავერანებული და გაღატაკებული პროვინციის მდგომარეობიდან... ჩვენ ფარულად ევროპა გვიმაგრებს ზურგს...

რასაკვირველია, თურქეთის დახმარებით რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მაშინაც კი მხოლოდ მოსაზრების დონეზე არსებობდა და სინამდვილეში მორეტისა და მისი თანამოაზრეების პროვოკატულ გეგმებს ემსახურებოდა. ვახტანგის პირველი რეაქცია: „მე რუსეთის ქვეშევრდომი გახლავართ და იმ მთავრობას, რომელიც მე მიცავს, ერთგულება შევფიცე. მე სიტყვის კაცი ვარ!“

სწორედ ამ მიზნით უკავშირდება ის თავდადებულ ქართველ პატრიოტებს. მორეტის ცბიერ დაპირებებს გულწრფელად მინდობილნი იოანე და ვახტანგი გულუბრყვილოდ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ თურქეთისა და ევროპის სახელმწიფოთა აქტიური დახმარებით ჩვენი ქვეყანა მართლაც შეძლებდა სანუკვარი დამოუკიდებლობის აღდგენას.

არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს ანიჭებს ის გარემოება, რომ მორეტი და მისი თანამოაზრე ევროპელი და თურქი ავანტიურისტები თავიანთი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებენ ჩვენი რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ უმცირესობებს. ისინი განსაკუთრებული ძალისხმევით ცდილობდნენ რელიგიური შუღლის გაღვივებასა და მოსახლეობის გაყოფას ორ დაპირისპირებულ ბანაკად: ქრისტიანებად და ისლამისტებად. „ისლამის მიმდევარი ხალხი: ქურთები, ლეზგები, ავარები, ჩეჩნები და მათი მსგავსი ჯამაათი ერთმორწმუნე თურქეთს უჭერდა მხარს. საკმარისი იყო ვინმე გაწაფული ემისრის მიერ გაჩენილი პატარა ნაპერწკალიც კი, რომ ეს ტომები ერთ დიდ ძალად გაერთიანებულიყვნენ“. „თბილისში ლეზგების სისასტიკის შესახებ ისეთ ამბებს ავრცელებდნენ, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდა. ბარის ხალხი ტყვეებად წაუსხამთ, შემდეგ ნავთი გადაუსხამთ და დაუწვიათო, სხვებისთვის ცხვირი და ყურები მოუჭრიათო. ერთი სიტყვით, არაადამიანურად ეპყრობიან ტყვეებსო“.

კომუნიკაციის უქონლობის გამო იოანე ვერ ახერხებს ამ ინფორმაციების გადამოწმებას და საბოლოოდ საინფორმაციო ვაკუუმის მსხვერპლი ხდება – თურქეთის აგენტურა მისი სახელით ავრცელდებს პროკლამაციას, რომელიც მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებს. ამით იოანეს უკან დასახევი გზა აღარ აქვს და ის იძულებულია უთანასწორო ბრძოლაში ჩაებას.

საინტერესოა ხალხის პოზიცია: „თავისუფლების იდეას სიტყვით ყველა იზიარებდა და სამშობლოსადმი სიყვარულს გულზე მჯიღის ცემით იფიცებდა, მაგრამ ყველაფერი ამით მთავრდებოდა. ეს ყველაფერი მათ მომავლის საქმედ მიაჩნდათ – იქნებ ოდესმე ისე მოხდეს, რომ შემწვარი მტრედები პირდაპირ ციდან ჩაგვიფრინდეს პირშიო!“

სამწუხაროდ, ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი გმირი, ამ წარმოდგენის მსხვერპლი ხდება. რომანის XIV თავში, ყველაფერში ხელმოცარული იოანე, თანამებრძოლების მცირერიცხოვანი რაზმის თანხლებით ტყე-ღრეს აფარებს თავს და საბოლოოდ თავისივე რაზმელების მიერ გამიზნულად ნასროლი ტყვიებით ამთავრებს სიცოცხლეს:

„...იოანე წაბორძიკდა და მუხლებზე დავარდა... სისხლის ნაკადულებით იღებებოდა მისი ჩოხა. ის კი ამღვრეული თვალებით ლაჟვარდოვან ზეცას მისჩერებოდა... თანამებძოლების ტყვიებით დაცხრილულმა იოანემ აუტანელი ტკივილი იგრძნო. გატანჯულ სახეზე მწარე ცრემლები ჩამოუგორდა“.

იბერიელთა სამეფო ტახტის მემკვიდრე ვახტანგი გვიან ხვდება, რომ თურქეთის დახმარებით სამეფო ტახტის დაბრუნება მხოლოდ ილუზიაა. ის ხომ მთელი თავისი აქტიური ცხოვრება თურქეთის, როგორც ჩვენი ქვეყნის დაუნდობელი მტრის, წინააღმდეგ იბრძოდა, ახლა კი სწორედ ამ ქვეყნის მეშვეობით ცდილობს საქართველოს ძლიერების აღდგენას და სამეფო გვირგვინის დაბრუნებას! პიროვნული ამბიციების გამო მან გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა: „გამოუტყდა ვახტანგი თავს, რომ მეფობაზე ფიქრი მხოლოდ მისი პატივმოყვარეობით იყო გამოწვეული, რაც ზოგჯერ მოსვენებას არ აძლევდა. ეს იყო ეგოიზმი, მიზეზი ბევრი ავისა ამ ქვეყანაზე!“

რომანის ავტორი სიუჟეტს განუკურნებელი სენით დაავადებული ვახტანგის გარდაცვალების სცენით ამძაფრებს – მან სამეფო კვერთხი მომავალს უნდა გადააბაროს: „ჩვენი დრო გასრულდა, მეგობარო! გამოფუღურებულ მუხას ვერ გააცოცხლებ, მშვიდად სიკვდილი უნდა აცალო, რათა მან ახალ, უცხო ყლორტებს დაუთმოს ადგილი, რომლებიც დაბერებულ ფესვებს შორის მიისწრაფიან მისი ადგილის დასაკავებლად!“

ეს ის დროა, როცა საქართველოში მყოფი ზუტნერები აქ მყარად დამკვიდრებას აპირებენ, ამისათვის კი ქვეყნის ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ამ ფაქტორმა არტურის ხსენებულ პუბლიკაციებზეც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა, რამაც მოვლენათა მისეულ, პრორუსული პოზიციებიდან, გაშუქებაშიც ჰპოვა გამოვლინება. ავსტრიული გაზეთის რედაქციამ ხსენებულ ომთან დაკავშირებული მისი წერილების გამოქვეყნებაზე ამის გამო უარი განაცხადა. თავდაპირველად ავსტრიული გაზეთი „Neue Freie Presse“ მის წერილებს მადლიერებით აღსავსე ბეჭდავდა, მაგრამ შემდეგ მისი კორესპონდენციები თანდათანობით მეტისმეტად პრორუსული გახდა, თანაც გაზეთი თურქებისკენ გადაიხარა და ამიტომ უარი უთხრა თანამშრომლობაზე. ეს ზუტნერების ოჯახისათვის დიდი ფინანსური დაკარგი იყო.

ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ (1882) ისინი დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, ამიტომ არტურ ზუტნერს ეპოქის ისტორიული რეალობა რუსეთისადმი ტენდენციურად მიკერძოებული თვალთახედვით აქვს წარმოსახული[5]. ის ხოტბას ასხამს რუსეთის მეფის ნაცვლებს – ვორონცოვს, მურავიოვს, ბარიატინსკის და მიხეილ რომანოვს, რომელთა წყალობით „უმნიშვნელო, აზიური ქალაქი თბილისი დიდ მეტროპოლად გადაქცევის გზას დაადგა, სადაც უნდა აყვავებულიყო ვაჭრობა, ინდუსტრია, ხელოვნება, მეცნიერება და საყოველთაო გართობა... ვორონცოვის ძეგლი დღესაც ამშვენებს თბილისის მთავარი ხიდის წინა მოედანს. ყველა გამვლელმა ქუდი უნდა მოიხადოს ამ კაცის წინაშე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა, ასევე მთელი ქონება, ერთ მიზანს შესწირა – პირნათლად შეესრულებინა მისთვის მინდობილი დავალება!“[6]

ვალტერის მხატვრული სახე საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მწერლის მიერ წარმოსახული ეს პიროვნება სიმბოლურად განასახიერებს ქართველთა ისტორიულ სიახლოვეს გერმანულე-

[5] იხ. თარგმანის ბოლოსიტყვაობა, რომელიც ეკუთვნის პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილს.

[6] „იბერიელნი“, გვ. 220-222.

ნოვან სამყაროსთან. კერძოდ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართველთა სამეფო ტახტის უკანასკნელი წარმომადგენლის – ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ვალტერი ცოლად ირთავს თამარს. ამ ფაქტს მწერალი, სავარაუდოდ, სიმბოლურ დატვირთვასაც სძენს და მისი მეშვეობით იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მართალია, ეროვნული მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა. ავსტრიელ კაცზე ქართველი ასულის დაქორწინებით კი შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მწერალი თავისუფლების იდეის უკვდავებასაც უსვამს ხაზს სიმბოლურად და ოპტიმისტურად იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ხსენებული სიყვარულის პერსპექტივა მომავალში ჩვენი ქვეყნის თავისუფლების საწინდარიც იქნება!

მოგზაურობა სენაკიდან ზუგდიდში (გვ. 56-82)

„სტუმართმოყვარეობის მოვალეობა წმინდათა წმინდაა... ასეა აქაური წესი და კანონი და, დამიჯერეთ, ამ თვალსაზრისით ქართველებმა ევროპელებს გაკვეთილები უნდა ჩაგვიტარონ“[7].

თავადაზნაურთა წინამძღოლის – მარშლის სუფრაზე გაწყობილი საჭმელ-სასმელი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, საუბრობდნენ ფრანგულად, მიირთმევდნენ შამპანურს, ვახშმის დასასრულს კი შავი ყავა და ძვირფასი სიგარები ჩამოატარეს. სტუმარს მეორე დღეს ზუგდიდის ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთ სოფელში, ნესტორის დაკრძალვაზე წასვლა შესთავაზეს, ისიც მაშინვე დათანხმდა აქაური წეს-ჩვეულებების გაცნობის მიზნით. მეგობრები დროებით გამოემშვიდობნენ და სასტუმროსაკენ გასწიეს.

„სასტუმრო, სახელად რომ „ჰოტელი“ დაერქმიათ, დაფეხვილი ფიცრული ბარაკი აღმოჩნდა. საღღა იყო კომფორტი, რომელსაც, როგორც წესი, ამ სახელის მატარებელ შენობებში ნახავთ! მოგზაურებმა ბოლო დარჩენილი ოთახი დაიკავეს. ოთახში საწოლების ნაცვლად ორი ტახტი იდგა... ბასრ კიდეებიანი და ქვასავით მაგარი, უბრალო ფარდაგგადაფარებული. თეთრეული კი არსად ჩანდა...

დილით რომ გამოეღვიძა, ყოველი კუნთი ტკიოდა, თითქოს ვინმეს მიებეგვოს.

ვალტერი სასწრაფოდ წამოდგა ქვასავით მაგარი ტახტიდან. პირის დაბანაც შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან როდესაც წყალი მოითხოვა, მოსამსახურემ ერთი საათის ლოდინის შემდეგ როგორც იქნა თეფშით შემოუტანა ერთი ჭიქა წყალი...“[8]

აღსანიშნავია, რომ ამ ისტორიას ბერტას მემუარებშიც ვხვდებით.

მეგრული დაკრძალვა

დარბაზში ჯერ ქვითინი გაისმა. შემდეგ იატაკზე დაჩოქილ ქალებს ყელიდან დაუსრულებელი, კივილის მაგვარი, ყურისწამღები გოდება აღმოხდათ. ისინი ორატორის სიტყვებს იმეორებდნენ, მისი ყოველი წინადადების დასრულებას თან ახლდა ახალი ვაება და ვიშვიში. ზოგიერთმა მოტირალმა შეკრული თმები ჩამოუშვა და მისი წეწვა დაიწყო, თან მთელი ძალით მუშტს გულზე იბრახუნებდნენ, კივილი სულ უფრო და უფრო ყურის წამღები ხდებოდა – თან ფრჩხილებით სახეს იხოკავდნენ. ამას კი ვალტერმა ველარ გაუძლო და გარეთ გავიდა. „არა, ეს ხომ საშინელებაა! სისასტიკეა! – ეს ფანატიზმია და ველურობა, ეს კი ნამდვილად არ მომწონს!“

[7] „იბერიელნი“, გვ. 58.
[8] „იბერიელნი“, გვ. 6.

მეგრული მარულა

ავტორი პარალელს ავლებს ევროპულ დოღთან და ასკვნის, რომ გამარჯვებას აქაც ბედაურის სისწრაფე განაპირობებს, მაგრამ ეს სისწრაფე აქ უფრო მხედრის პირად მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ გადალახავს ის დაახლოებით ოცი ვერსის მანძილზე ჩამალულ მოულოდნენ დაბრკოლებებს. მარულა თურმე საკმაოდ არათანაბარ პირობებში, უსამართლოდ მიმდინარეობს.

ავტორი აღნიშნავს, რომ მეგრელები მხედრებად არიან დაბადებული, და მათ თანამედროვე კენტავრებს ადარებს. „ისინი ბავშვობიდან ეჩვევიან ცხენს და უახლოეს მეგობრად აღიქვამენ... ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ცხენის ქურდობა ამ მხარეში ძალიან გავრცელებულია და პრესტიჟის საქმედაც კი ითვლება“.

„ჩვენს წვეულებებზე ტრადიციულად ვირჩევთ პიროვნებას, რომელმაც სუფრის არცერთი წევრი უნდა დატოვოს უდღეგრძელებელი და ყოველი მათგანის ჯანმრთელობისათვის სასმისი უნდა დაცალოს... მან ასევე უნდა ადღეგძელოს მათი მშობლები, დედმამიშვილები და შვილები. ამიტომ შეგიძლია ახლა წარმოიდგინო დასალევი ბოთლების და არა ჭიქების ის რაოდენობა, რომელიც ამ თავგანწირულმა ადამიანმა უნდა შესვას ნებაყოფლობით!“

ვალტერმა ჯერ სადღეგრძელოების თვლა დაიწყო, მაგრამ მალე სათვალავი აერია და დაასკვნა: „ეს წარმოუდგენელია – ეს ადამიანის შესაძლებლობას აღემატება!“

მოხუცი ტოლუმბაში კი სიტყვაკაზმულად განაგრძობდა მისთვის მინდობილ დავალებას. მან პატიოსნად შესვა სუფრის ყველა წევრის სადღეგრძელო, მათი დაბადების წლის ცხოველის ნიშნისა და ზოდიაქოების ჩათვლით, შესვა ისე, რომ ერთხელაც არ წაბარბაცებულა.

* * *

2021 წელს გამოიცა არტურ ზუტნერის ნაწარმოებების კრებული „ჩემი მეგობარი გუჯა და ხუთი მოთხრობა“ („მეგრული ქორწილი“, „საბრალო ვარდი“, „მარგალიტი“, „ჰაჯი-აღა და მისი ნარგილე“, „სულელი“)[9], რომელშიც ძირითადად მეცხრამეტე საუკუნის სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი. ავტორი აღფრთოვანებულია სამეგრელოს ბუნებით:

„აქ ისეთი სიმწვანე შემეფეთა, ფერის ინტენსივობის ყველა ნიუანსით, ალბათ, რომ დამეხატა, აუცილებლად გადაჭარბებად ჩამითვლიდნენ... – აქ ყველგან სიცოცხლე ჩქეფს, აქედან სიკვდილი განდევნეს! დიახ, აქ პატარა სამოთხეა! ...აქ ზამთარში შეიძლება ნამდვილი გაზაფხული მოვიდეს!“

ამავე წელს ჟურნალში „განთიადი“ (№№9-12) გამოქვეყნდა არტურ ზუტნერის ვრცელი რომანის „ქეთევანი“ ქართული თარგმანი[10], რომელიც ასევე სამეგრელოს თემატიკას ეძღვნება: „ძვირფასო მკითხველო, მე შენ ამ წიგნით წარგიტაცებ ათასი ნაკადულის სამშობლოში, წყალუხვ, ბუნების ყოველგვარი სიმდიდრით დალოცვილ სამეგრელოში. აქ, ბობოქარ ენგურზე, რამოდენიმე ათწლეულის წინაც კი, მეგრელები მდინარეში ჩაკიდებული ცხვრის ტყავებით ოქროს აგროვებდნენ, რომელიც თან მოაქვს მდინარეს...“

[9] ზუტნერი ა., „ჩემი მეგობარი გუჯა და ხუთი მოთხრობა“ (თამაზ გვენეტაძის თარგმანი), თბილისი, 2021.
[10] მთარგმნელები თამაზ გვენეტაძე და მაია ჭოლაძე.

მითი და რეალობა არტურ ზუტნერის მოთხრობაში „ჩემი მეგობარი გუჯა“

არტურ ზუტნერი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელ ქართველ შემოქმედებით ელიტასთან. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული სცენის თვალსაჩინო ფიგურასთან, იონა მეუნარგიასთან (1852-1919), რომელიც იყო მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. სწორედ ის გახლავს სარეცენზიო მოთხრობაში გუჯას პროტოტიპი.

წიგნის მხატვრულად გაფორმება ეთხოვა უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის, ხოლო მისთვის პოემის პროზაული თარგმანი, ილია ჭავჭავაძის წინადადებით, დაევალა იონა მეუნარგიას, რომელიც მთელი ენთუზიაზმით შეუდგა ამ საშვილთაშვილო საქმეს.

1884 წლის აგვისტოში „დროება“ იუწყებოდა, რომ ფრანგული თარგმანის მეოთხედი უკვე მზადაა და რომ ის მალე დაიბეჭდება ერნსტ რენანის (ფრანგი მწერალი და მეცნიერი) წინასიტყვაობით. მეუნარგიამ რეკორდული სისწრაფით დაასრულა თარგმანი და 1886 წელს პირველივე ხელნაწერი პეტერბურგში ჩაუტანა მიხაი ზიჩის სურათების შესაქმნელად. „ფრანციულად ეს ხელნაწერი გაზაფხულზე იქნება დაბეჭდილი პარიზში“ – იუწყებოდა „დროება“.

უნდა ვივარაუდოდ, რომ ასე ნაჩქარევად შესრულებული თარგმანი სრულყოფილი არ იქნებოდა. მეუნარგიას ეს კარგად ესმოდა, ამიტომ მან ტექსტის სრულყოფის მიზნით მშობლიურ სოფელ ცაისში მიიწვია ჟურნალისტი ჟულ მურიე და ზუტნერების ოჯახი. მეუნარგია პეტერბურგში მყოფ ნ. ნიკოლაძეს ცაიშიდან წერდა: „ამას წინათ მე ზუტნერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევუდექი თარგმნას, უფრო უმეტეს დაკვირვებით და სინიდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენთ ფრანციცულად და მერე იქვე ნემეცურად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირაა დღე და ღამე ვმუშაობთ და როგორც იყო ერთს მეოთხედს მოუღეთ ბოლო... ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს მევე გავასწორებ“.

ეს მუშაობა 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე გაგრძელებულა სოფელ ცაისში. მონაცემები ამის შესახებ მოთხრობაშიც გვხვდება. ზუტნერი არც აქ ღალატობს მისი შემოქმედების ერთ-ერთ, ჩვენთვის მეტად ღირებულ თავისებურებას – რეალობაზე დაფუძნებულ მხატვრულ ინტერპრეტაციას. მისი მოთხრობები ეფუძნება რეალურ ფაქტებს, დროსა და სივრცეს და ამით განსაკუთრებული დამაჯერებლობას ანიჭებს მის შემოქმედებას.

ფაქტია, რომ სარეცენზიო მოთხრობაში სახეზეა დროისა (1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე) და სივრცის (სოფ. ცაიში) აბსოლუტური თანხვედრა. მოთხრობაში საუბარია თანამშრომლობის ორ თვეზე: ვინაიდან ავტორს ზამთარში სოფლად გამგზავრება არ მოსწონს, გუჯა შემდეგი სიტყვებით ცდილობს მის დარწმუნებას: „რა არის შენთვის ორი თვე, თანაც ერთ-ერთი მათგანი თებერვალია, მხოლოდ ოცდარვა დღით, ეს დროც მალე გავა“[11].

მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ იწყება ხელნაწერის კორექტურა: „ნამდვილად არ წარმომედგინა, რომ გუჯა ასეთი შრომისმოყვარე გამოდგებოდა. ის დინჯად, ღრმად ჩაფიქრებული იჯდა მის ხელნაწერთან, ყურადღებით იზიარებდა ჩემს შენიშვნებსა და შესწორებებს, შემდეგ ცვლიდა, შლიდა ან ასწორებდა ნაშრომს... მისი შეჩერება არაფერს შეეძლო – არაფერს!“[12]

მოთხრობის თანახმად, დღის პირველი ნახევარი თარგმანს ეთმობოდა. ბერტას ცნობით, კი „აქ დილით და ნაშუადღევს ორ-ორი საათით ვთარგმნიდით „ვეფხისტყაოსანს“. დანარჩენ დროს სეირ-

[11] იქვე.
[12] იქვე.

ნობაში, კითხვასა და სამშობლოში დაბრუნების სიხარულით (ესეც საქმიანობაა) ვერთობოდით. ჩვენ უკანასკნელად ვტკბებოდით ხელშეუხებელი ბუნებით, კავკასიური მარტოობის პრიმიტივიზმით, სანამ ევროპის ცივილიზაციის მორევში გადავეშვებოდით". ურთას მთის ძირას ამდენად, ავტორს საკმაოდ ჰქონდა თავისუფალი დრო, ისიც უცხოელის თვალით აკვირდებოდა ქართულ ყოფა-ცხოვრებას. მას განსაკუთრებით აოცებს ძიძობის ტრადიცია.

ავტორი არ ერიდება კრიტიკული აზრის გამოთქმას. მაგალითად, მისთვის გაუგებარია ჩვენთან გავრცელებული ურთიერთობის ფორმა – გაწეული დახმარების გამო მადლობის ნიშნად ყურადღების გამოჩენა: „ეს ხალხი მართალია ერთმანეთს უსასყიდლოდ უდგას მხარში, მაგრამ მათაც გარკვეული კომპენსაციის მოლოდინი გააჩნიათ... ჯერ რამოდენიმე დღით ეხმარებიან გადაუდებელი სამუშაოების შესრულებაში, სამაგიეროდ კარგად მოლხენას არ იკლებენ... ასეთი წეს-ჩვეულება, ბიბლიური, პატრიარქალური დროიდან მოყოლებული, ალბად მხოლოდ აქაა შემორჩენილი".

სამაგიეროდ შეუდარებელია მის მიერ ცაიშის და შემოგარენის აღწერა:

„ირგვლივ სიცოცხლე იღვიძებს, ძილგატეხილი მცენარეული საფარი იზმორება და ტანში იმართება, იმედოვნებს, რომ ზამთრის ანგელოზმა ისე ჩათვლიმა, რომ ვერ ხედავს, თუ როგორ აპირებენ აქ მისთვის მთელი ორი თვის წართმევას!"

მოთხრობიდან ცნობილი ხდება, რომ ავტორმა ეს სურვილი შეუსრულა. სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ა.ზუტნერის სტატია, „უცხოელის აზრი „ვეფხვის-ტყაოსანზე" (პოემის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე), რომელიც უშუალო კავშირშია სოფელ ცაისში გატარებულ დღეებთან:

ფაქტია, რომ არტურ ზუტნერმა პოემა მეუნარგიას თარგმანის საშუალებით გაიცნო და სტატიაც მის საფუძველზე დაწერა, რომელიც 1884 წლის ბოლოს ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნდა.

ეს არის უცხოელის მიერ „ვეფხისტყაოსანზე" გამოთქმული პირველი პუბლიკაცია. მასში ავტორი მიესალმება თარგმნას „ევროპულ ენაზე... რაც უეჭველად დიდ სამსახურს გაუწევს მსოფლიოს მეცნიერებას. რუსთველი შეიძლება თავისუფლად მოვათავსოთ იმ ათი თუ თორმეტი პოეტის გვერდით, ვისი სახელი და დიდებაც საუკუნეებთან ერთად იზრდება". მეუნარგიას „კალმით შეიქმნა პოემის პირველი სრული პწკარედის თარგმანი".

არტურ ზუტნერი საკუთარ თავს უწოდებს პირველ ევროპელს, რომელმაც თავიდან ბოლომდე წაიკითხა პოემა ფრანგულად. ის ვრცლად, ჟურნალ „ივერიას" 1884 წლის დეკემბრის მე-11/12 ნომერში (ზუტნერი უკვე ცაისშია, თ. გ.) (გვ. 68-103), განიხილავს პოემის სიუჟეტს, მის მსოფლმხედველობას და მის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში: „როგორ! ჩვენგან მოშორებულ ქვეყანაში, დროსა, აწ დიდი ხნით გამქრალს, არსებობდა ბრწყინვალე სამეფო კარი და უმდიდრესი ენა, არსებობდა აკადემია... ჰგზავნიდნენ ათინაში განათლების დასამთავრებლად, და მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელმაც, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ერთი სპარსული თქმულებიდან შექმნა 1500 ტაეპიანი პოემა... და ჩვენ კი ეხლა პირველად გვესმის იმის არსებობა!"

არტურ ზუტნერი ავლებს ერთ მეტად საინტერესო პარალელს ევროპასთან: მეთორმეტე საუკუნეში „ევროპა ვერ დაიკვეხებდა პოეტებით. საფრანგეთში ამ დროს ჩასციებოდნენ „შანსონ დეჟესტს", სიმღერას როლანისას, სხვა ქვეყნებში – ნიბელუნგებს, ინგლისურ-საქსონურს „ბევულფს", ესპანურ რომანსს „ბაღი კამპედორი", რუსულს – „სიტყვა შესახებ იგორის ლაშქრისა". მაგრამ ყველა ეს ლექსნი და სიმღერანი წარმოადგენდნენ საერთო ნაწარმოებს ტრუბადურებისას... ამ დროის დამოუკიდებელ პოეტთაგან შეგვიძლიან დავასახელოთ მხოლოდ ორი პოეტი, რომელთა ქებამ ჩვენს დრომდე მოაღწია. ესენი არიან ლირიკოსი ვალტერ-ფონ-დერ ვოგელვეიდე და ეპიკური პოეტი ვოლფრამ ..... რუსთაველი ღირსია დაიჭიროს ალაგი მსოფლიო დიდების პანთეონში!"

არტურ ზუტნერის თანახმად, მეუნარგიას არა მარტო დაუმთავრებია თარგმნა, არამედ მისი წინასიტყვაობაც დაწერა, რომელშიც თურმე მთარგმნელის ამოცანებსა და მიზნებზე გაუმახვილებია ყურადღება.

* * *

დავეყრდნოთ ისტორიულ ფაქტებს – მეუნარგიას ფრანგულ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა საზოგადოებამ!

1884 წელს „დროების" რედაქციამ, რედაქტორის ივანე მაჩაბლის ინიციატივით შეხვედრა გაუმართა საფრანგეთის ელჩს, სადაც ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა: „რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქეთ ჩვენს მოღვაწეთა შორის".[13]

თვით მეუნარგია ავტობიოგრაფიაში წერდა: „ბევრად ადრე, ვიდრე დ. ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა, „ვეფხისტყაოსანი" ვთარგმნე ფრანგულ ენაზე, ფრანგის ჟიულ მურიეს და ბარონესა ბერტა ფონ სუტნერის შემწეობით".

ფრანგული თარგმანით გამოწვეული საყოველთაო ქართული აღტკინება გრძელდება – პოეტი ვახტანგ ორბელიანი 1885 წელს მეუნარგიას უძღვნის ლექსს „ნანგრევთა შუა ლამპარი", რომელშიც ხოტბას ასხამს მთარგმნელს, თუ პოემა „აქამდინა ქართველის გულს მხოლოდ ათბობდა, და, აწ, მადლი შენ, გსურს გააცნო იგი ევროპას".

ხოტბა-დიდება აპოგეას აღწევს არტურ ლაისტის პირად წერილში მეუნარგიასადმი: „კავკაზში" წავიკითხე, რომ თქვენი თარგმანი „ვეფხისტყაოსანი" უკვე დაბეჭდილა, და წარსულ კვირას ამის შესახებ მოკლე ცნობა გავუგზავნე „მაგაცინს". მაგრამ არ კმარა ამ საუცხოო პოემის მარტო თბილისში გამოცემა, უნდა ეცადოთ ევროპაში გაავრცელოთ".

ამდენად, ფრანგული თარგმანის არსებობა უდავოა[14]. ძალზედ გაუგებარია, თუ რატომ არ მოხერხდა მისი გამოცემა.

არსებობდა თარგმანის სამი ხელნაწერი. პირველი მეუნარგიამ პეტერბურგში მიხაი ზიჩის გადასცა, რომელსაც თარგმანზე დაყრდნობით 12 ილუსტრაცია უნდა დაეხატა. მან 34 ესკიზი დაამზადა.

1888 წელს საქართველოში ჩამოდის რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე მეუღლითურთ. მეუნარგია ერთ ხელნაწერს დიდსულოვნად ჩუქნის მათ, სავარაუდოდ, იმ იმედით, რომ მის გამოცემაში დაეხმარებოდნენ...

შედეგი?

ამის შემდეგ გაურკვეველი მიზეზით, თანაც საკმაოდ დიდი ხნით ფრანგულ თარგმანზე საუბარი საერთოდ წყდება...

ამით შეშფოთებული ფრანგი პუბლიცისტი ჟულ მურიე, რომელიც ასევე მონაწილეობას იღებდა ფრანგულად თარგმნაში, 1912 წლის 12 ივლისს იონა მეუნარგიას ბრიუსელიდან ატყობინებს, რომ მზადაა გაიღოს ფრანგული გამოცემისათვის საჭირო ხარჯები და ფრანგული თარგმანის მანუსკრიპტის გამოგზავნას თხოვს. ბერტას ბიბლიოგრაფი ბ. ჰამანის ინფორმაციით, „მანუსკრიპტი დაკარგული აღმოჩნდა, შემორჩენილი იყო მხოლოდ ბერტას ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტი" (ცაიშის მუზეუმის მასალებიდან)[15].

---

[13] დროება, 1884, №260.

[14] სოლ. ცაიშვილი, ერთი გამოუცემელი თარგმანის შესახებ, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946 წელი, №24.

[15] B. Hamann, Ein Leben für den Frieden, Hamburg, 1996, გვ. 88.

ჟულ მურიე იყო ჟურნალისტი, მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ ფრანგულ გაზეთს „Caucase Illustr`e“, სადაც გამოაქვეყნა წერილი „ჯერ არ დაბეჭდილი ხელნაწერი ფრანცუზულს ენაზე“. წერილში უამრავი ფაქტობრივი შეცდომაა, რის გამოც მან საკმაოდ სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა.

1915 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოდის იმ დროისთვის სახელგანთქმული რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი და თბილისში საჯარო ლექციით გამოდის. მასში ის რუსთაველს დანტეს, პეტრარკას და სხვა კლასიკოსების გვერდით იხსენიებს. ამით აღფრთოვანებული იონა მეუნარგია, ისევე როგორც „მეგრელი გუჯა“, დღევანდელი თვალთახედვით ფრიად უცნაურ გადაწყვეტილებას იღებს – ის ქუთაისში სასტუმრო „ფრანციაში“ ბალმონტს გადასცემს ფრანგული თარგმანის ბოლო ხელნაწერს, რომელიც სტუმარს სჭირდებოდა, მისივე თქმით, „პოემის რუსულ ენაზე თარგმნისათვის“ – რუსთაველის პოემის უცხოელთათვის გაცნობის სურვილით ანთებულმა მეუნარგიამ უშურველად გაიმეტა უკანასკნელი ხელნაწერი, რომელსაც, ჩვენთვის უცნობი მიზეზით ამდენ ხანს ინახავდა[16].

მეუნარგიას სწორედ ასეთი უშურველი, მიამიტი, ზოგჯერ სპონტანური სახე აღწერა ა. ზუტნერმა სარეცენზიო მოთხრობაში.

ბალმონტი 1915 წლის გაზაფხულზე აპირებდა თბილისში დაბრუნებას, მაგრამ სამწუხაროდ აღარც ის ჩამოსულა და არც ხელნაწერი დაუბრუნებია. სავარაუდოა, რომ ხელნაწერი პარიზში, ბალმონტის არქივში არსებობდეს. სოლომონ ცაიშვილის აზრით უფრო რეალურია, რომ ი. მეუნარგისეული ფრანგული თარგმანი, რომელიც რუსეთის იმპერტორს აჩუქა, პეტერბურგში, ერმიტაჟის საცავში ინახებოდეს[17].

კიდევ უფრო მეტი ბურუსითაა მოცული გერმანული თარგმანის ბედი. როგორც მეუნარგია გვამცნობს, პოემას თარგმნიდნენ გერმანულ ენაზედაც, ცხადია თეთრი ლექსით.

გერმანული თარგმანის მცდელობა იმდენად ცნობილი გამხდარა, რომ არტურ ლაისტი იონა მეუნარგიას ერთ ბარათში თხოვდა: „დაარწმუნეთ ზუტნერი, რომ პოემა ჰექზამეტრით თარგმნოს, სხვანაირად დაიკარგება მისი სიმშვენიერე“.

სამწუხაროდ, გერმანული თარგმანი დაკარგულად ითვლება და ვერც მისი გამოცემა მოხერხდა. უცნობია, დაამთავრეს თუ არა ზუტნერებმა დაწყებული საქმე. ამ თვალსაზრისით მოთხრობაში ვპოულობთ ერთ ფრიად განსაცვიფრებელ პასაჟს:

„ამ დროს გუჯამ ხელნაწერი აიღო და ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ხელით ჰაერში წრე მოხაზა, უეცრად გაოცებით რაღაც შესძახა და პოეტური შთაგონებით აღსავსე ჟესტიკულაციით წარმოთქვა: Was Du giebst, das bleibt Dir erhalten, was Du behältst, das ist für ewig verloren... ხომ დიდებულია! ეს რუსთაველის სახელგანთქმული ეპოსიდანაა!“[18]

გავიხსენოთ – მოთხრობაში აღწერილი მოქმედება 1884 წლის დასასრულს და 1885 წლის დასაწყისში ხდება. მოთხრობა გამოქვეყნებულია „კავკასიის შვილების“ პირველ ტომში, რომელიც გამოიცა დრეზდენში 1890 წელს!

არტურ ლაისტმა პირველი გერმანული თარგმანი 1889 წელს დაასრულა და ასევე 1890 წელს გამოქვეყნდა. მაგრამ მასთან ეს ჩვენთვის კარგად ცნობილი სტროფი ასე ჟღერს:

Dein bleibt, was andern du machst zum Geschenke,
Verloren ist, was Du für dich bewahrst.

---

[16] დ. მენაბდე, იონა მეუნარგია – „ვეფხისტყაოსნის გამომცემელი და მთარგმნელი, რუსთველოლოგია, ტ. 2, 2003, გვ. 323.

[17] სოლ. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსანის“ ერთი გამოუცემელი თარგმანის შესახებ, ახ. კომ.,1955, №117.

[18] იქვე.

მაშასადამე, მოთხრობაში ციტირებული თარგმანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ზუტნერების ოჯახს! ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ, მეუნარგიას დახმარებით, პირველად თარგმნეს გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, მთელი ხუთი წლით ადრე, ვიდრე არტურ ლაისტი შეუდგებოდა თარგმნას.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ზუტნერებმა დაასრულეს გერმანული თარგმანი.

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცულია 1885 წლის 23 მარტს მეუნარგიასადმი ბათუმიდან მოწერილი ბარათი, რომელშიც ბერტა ფრანგული თარგმანის 3 სტროფს უგზავნის. ეს ფაქტი, ბ. ჰამანის აზრით, იმას მიანიშნებს, რომ ძირითადი მთარგმნელი ბერტა იყო. იქვეა არტურის გამოსამშვიდობებელი ბარათი, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია არტურის პოლიტიკური მრწამსის ასახსნელად – მას ხშირად რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალობას აბრალებენ: „ჩემო იონას, შენთან ყოფნას არაფერი ჯობს, მაგრამ ჩემს სამშობლოს მტერი უახლოვდება (იგულისხმება რუსეთი, თ. გ.). **უწიგნურება... მთავრდება... მეცნიერებით... ხელოვნება... კი... კავკასიაში!** ჩვენი აქ დარჩენა საშიშია, და ეს შეიძლება შენთვისაც საზიანო აღმოჩნდეს. ღმერთმა ქნას ჩვენი შეხვედრა!“

ბ. ჰამანი ასევე აღწერს, რომ სამშობლოში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უსახსრობა იყო. ზუტნერები გაჭირვებაში აღმოჩნდნენ და საქართველოში გატარებულ ბოლო თვეებში მეუნარგიას დახმარებით არსებობდნენ...

ბერტა იგონებს: „ჩვენი გადასახლების დრო დასასრულს მიუახლოვდა. მშობლები მიხვდნენ, თუ რა ბედნიერი ვიყავით ერთმანეთით და... ჰარმანსდორფში მოგვიწიეს... მართალია ვერც რუსეთის კარზე ვიპოვეთ სამსახური და ვერც ქონება დავაგროვეთ, მაგრამ ჩვენ საკუთარი ადგილი დავიმკვიდრეთ ლიტერატურაში... ამასთან ვგრძნობდით, რომ ჩვენი შემოქმედებითი წყარო საკმაოდ მოდიდებული იყო“.

უცნობია, ზუტნერების მიერ ნათარგმნი გერმანული ტექსტის ბედი. სავარაუდოდ ზუტნერებმა ის ავსტრიაში წაიღეს. აუცილებელია მისი მოძიება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უცხოური თარგმანია, შესრულებული არტურ ლაისტის თარგმანის გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე!

ზუტნერების არქივი ძირითადად ჟენევაშია, გაერთიანებული ერების ბიბლიოთეკაში, ცალკეული დოკუმენტები ინახება მისურის ისტორიული ასოციაციის არქივში, სანკტ ლუისში და გერმანიაში, კობლენცის ფედერალურ არქივში.

ვიმედოვნებ, რომ მათი პოვნაც შესაძლებელი გახდება!

ალექსანდრე ჩხაიძე

ბათუმის ეპოპეა

XX საუკუნის ბათუმის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფურცელია 1921 წლის მარტში გამართული ბრძოლები. ამ ბრძოლებმა გადაწყვიტა ვის დარჩენოდა ჩვენი რეგიონი, საქართველოს თუ თურქეთს. იმ დროს აქ განვითარდა რთული მოვლენები, ბატალიები. მათი ცოდნა მომავალი თაობის ვალია.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, როცა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, მათ შორის აჭარა, რუსეთთან ერთად ერგო საქართველოს, ჩვენი რეგიონი თანდათან უბრუნდებოდა თავის ეროვნულ გარემოს. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) ბოლოს, 1918 წ. აპრილში ბათუმი დაიკავა ოსმალეთის ჯარმა. 1918 წ. 26 მაისს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა მთელი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თურქებს ჰქონდათ დაკავებული. იმავე წლის შემოდგომაზე, პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და თურქეთის დამარცხების შემდეგ, ბათუმის ოლქი გადავიდა ინგლისელთა ხელში. 1919 წელს, საქართველოს პატრიოტები ცდილობდნენ ბათუმი დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში, რადგან აქ იყვნენ სხვა ქვეყნებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები. ასეთ პირობებში იმარჯვა და უპირატესობა მოიპოვა ქართულმა ძალამ მემედ აბაშიძის მეთაურობით. 1920 წლის ზაფხულში აჭარა დაუბრუნდა საქართველოს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს იმ დროს საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის ურთიერთობის შესახებ. ეს ორი ქვეყანა დაპირისპირებული იყვნენ ანტანტასთან (ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან). ამიტომ მოხდა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება.*

1920 წ. დეკემბერში, როცა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა როგორც აჭარა, ისე მის სამხრეთ მდებარე ართვინისა და არდაგანის ტერიტორიები, თურქეთის არმიის გენერალმა ქიაზიმ ბეიმ პრეტენზია გამოთქვა აჭარაზე. ხოლო ერთ თვეში, 1921 წ. იანვარში თურქეთის ხელისუფლების მიერ ოფიციალური განცხადება გაკეთდა მეჯლისში ჩვენი რეგიონის შესახებ, ისურვეს, რომ ის მალე დაბრუნებოდა „დედა-სამშობლოს“ (1.167-168).

---

* შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობა გაცივდა და მტრობაშიც გადაიზარდა.

1921 წ. თებერვლის შუა რიცხვებში საქართველო-სომხეთის საზღვარზე მომხდარი არეულობის შემდეგ საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია, მის მიზანს ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება წარმოადგენდა. იმდროინდელი, თითქმის ერთთვიანი ბატალიების შესახებ არაერთხელ დაწერილა. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ საქმეში ჩახედილი, კომპეტენტური პირის, გენერალი გიორგი მაზნიაშვილის (რომელზედაც ქვემოდ უფრო მეტად შევჩერდებით) აზრს. კერძოდ, მისი დაკვირვებით, „მთავრობამ არ მიიღო არავითარი ზომები, არ მოამზადა ხალხი მოსალოდნელი შემთხვევისათვის“ (2.150). ის ასევე წერდა: „არც ავიაცია იყო მზად საბრძოლო მოქმედებებისათვის“ (იქვე, 152), ხოლო უცხოეთიდან შემოტანილი 9000 თოფიდან კი მხოლოდ 183 გამოდგებოდა (იქვე, 155). მალე წითელი არმიის უპირატესობა გამოიკვეთა.

მაშინ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია ებრძოდა ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოჭრილ მოწინააღმდეგეს, ანგორის მთავრობამ (ასე ეძახდნენ თურქეთის ხელისუფლებას) გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და დაეკავებინა კიდევ უფრო მეტი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები. ანგორის მთავრობამ ულტიმატუმის ფორმით მოთხოვა ქართულ მხარეს ჯარები გაეყვანა არტაანის, ოლთისის, ართვინის და ბათუმის ოკრუგებიდან, ხოლო ეს ტერიტორიები თურქეთისთვის გადაეცა. შექმნილ მდგომარეობაში თბილისი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ამიტომ „23 თებერვალს ქართულმა ჯარმა დატოვა არტაანის, ოლთისის და ართვინის ოკრუგები და 7 მარტს ამ ოკრუგებში თურქეთის არმია შევიდა“ (3.35). საქართველოს ხელისუფლება აღნიშნულ დათმობაზე იმიტომ წავიდა, რომ წითელი არმიის წინააღმდეგ დამხმარე ძალას ეძებდა. მოცემულ საკითხზე პროფესორი ლევან თოიძე წერდა: „ნამდვილად დასაშვებია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყველა პლიუს-მინუსის გათვლის შემდეგ, თურქეთის ჯარსაც მოუხმობდა“ (4.14).

მას შემდეგ რაც საქართველოს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების ნაწილი შეერთა, თითქოსდა თურქეთის ხელისუფლება დაკმაყოფილდა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის განცხადებით: „...არდაგანის და ართვინის დაკავების შემდეგ ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქართველოს მთავრობას შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში, გაეხსნა მათთვის გზა და შეეშვა ბათუმში, რომელსაც დაიცავდნენ ბოლშევიკებისაგან“ (5.111).

ანგორას ხელისუფლება მიღწეულს არ დასჯერდა, რასაც ქართველებიც უწყობდნენ ხელს. როდესაც სურამთან (4-7 მარტს) ბოლშევიკური და მენშევიკური არმიები ერთმანეთს ებრძოდნენ, საქართველოს მთავრობამ ანგორას ხელისუფლებას გადასცა ორპუნქტიანი შეთანხმების პროექტი. მისი მიხედვით მენშევიკებმა თურქებს შესთავავაზეს „ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრების ოკუპაცია“, იმ პირობით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მმართველობა იქნებოდა საქართველოს მთავრობის ხელში. ე. ი. იქ იქნებოდნენ თურქული სამხედრო და ქართული სამოქალაქო ხელისუფლებანი, ორხელისუფლებიანობა. თუმცა, შეთავაზების მიხედვით, თურქი სამხედროები აღნიშნულ რაიონებში დარჩებოდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მდგომარეობის გარკვევამდე (3.35). აქ უდაოდ მხედველობაშია ის, რომ როდესაც წითელი არმია საქართველოში აღარ იქნებობა, შესაბამისად თურქებიც უნდა გასულიყვნენ ბათუმის ოლქიდან და ახალქალაქის მაზრიდან.

საქართველოს ხელისუფლების ვარაუდი, რომ რადგან ანგორის მთავრობას ქვეყნის ტერიტორიების ნაწილი დაუთმო, ის დაეხმარებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, შეცდომა იყო. ეს აღიარებულია ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში. კერძოდ, 2012 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს ისტორია“, ვკითხულობთ: „როდესაც საქართველოს მთავრობის თანხმობით თურქეთმა

რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში ჯარი შემოიყვანა აჭარაში, რომ საქართველოს დახმარებოდა რუსეთთან უთანასწორო ომში, მათ აჭარის კვლავ ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს“ (6.269).

1921 წ. 25 თებერვალს, როდესაც თბილისში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ბათუმის ოლქში ჯერ კიდევ არ იყო შემუსული არც წითელი არმია და არც თურქების ჯარი. 26 თებერვალს მოსკოვში დაიწყო კონფერენცია საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით. ცხადია მოსკოვში იცოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქების შემოსვლის შესახებ და ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ისინი მოძრაობას გააგრძელებდნენ. 28 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საკითხის კომისარი იოსებ სტალინი სახკომსაბჭოს (მთავრობის თავმჯდომარეს) ვლადიმერ ლენინს წერდა ბათუმის დაცვის აუცილებლობაზე (1.168).

ბათუმის ოლქის დაკავება სურდა როგორც ბოლშევიკებს, ისე თურქებს. ამიტომ მოეშურებოდა აქეთ მათი არმიები. 8 მარტს საქართველოში არსებულმა ახალმა, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა პროტესტი, რომელსაც ხელს აწერდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მამია ორახელაშვილი. მასში გამოთქმული იყო ურყევი ნება ბათუმი დარჩენოდა საქართველოს (იქვე, 169).

9 მარტს აღმოსავლეთ თურქეთის ჯარების მეთაურმა ქიაზიმ ყარაბექირ ფაშამ ოფიციალურადაც კი განაცხადა, რომ ბათუმში გაგზავნილია თურქ სამხედროთა რაზმი რათა დაიკავონ ტერიტორია 1878 წლამდე არსებულ საზღვრებში. ამ განცხადების შესახებ სერგო ორჯონიკიძემ დაუყონებლივ აცნობა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს და შესთავაზა ჯარი გაეგზავნა აჭარაში (იქვე, 168). იმავე დღეს ვ. ლენინმა წერილი მისწერა გ. ჩიჩერინს: „მეტად შეშფოთებული ვართ იმით, რომ თურქები აჭიანურებენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, (იმ დროს მოსკოვში მიმდინარეობდა ზემოდ აღნიშნული კონფერენცია – ა. ჩ.) დროს იგებენ სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიდიან. ასეთი გაჭიანურების საშუალება არ უნდა მივცეთ. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვეტთ თქვენს კონფერენციას ჩემთან ლაპარაკისათვის, ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილ იქნეს ბოლომდე“ (7.65).

ანგორას ხელისუფლების ჯარების ნაწილები ბათუმში 11 მარტს შემოვიდნენ. რადგან ეს შეთანხმებული იყო მენშევიკურ მთავრობასთან, ქალაქში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ნაშთებს „რომელთა რაოდენობა 3.5 ათას კაცს არ აღემატებოდა“ (8.37-38), მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. თურქებმა დაიკავეს სიმაგრეები: ბარცხანა, ხემიდიე, ანარია, სამება და სხვ. ხემიდიესა და ბარცხანაში იდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ნაწილებიც. ქართველ სამხედროებს ეკავათ აგრეთვე კახაბერი, სტეპანონკა და დიდი სამება (1.167).

მენშევიკური ხელისუფლების მიერ ბათუმის თურქებისათვის დროებით(?) დათმობის ფაქტს, 1921 წ. 16 მარტს ადასტურებდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ლორთქიფანიძე. კერძოდ, ბოლშევიკთა წარმომადგენლის მ. ორახელაშვილის შეკითხვაზე: „მართალია თუ არა ყარაბექირის (აღმოსავლეთ თურქეთის ჯარების მეთაურის – ა. ჩ.) ცნობა, რომ თქვენმა მთავრობამ მის ჯარებს გადასცა ბათუმი?“ გ. ლორთქიფანიძე პასუხობს: „ბათუმში ნამდვილად იმყოფება... ანგორის მთავრობის დაჯგუფება, შემოშვებული ჩვენი თანხმობით“ (იქვე, 166-167).

სინამდვილეში კი, როგორც აღვნიშნეთ, თურქების მიზანს შეადგენდა არა მენშევიკების დახმარება, არამედ აღდგენილიყო 1878 წლამდე არსებული საზღვარი, ანუ აჭარა და სამცხე-ჯავახეთი მოქცეულიყო მათ საზღვრებში. ამიტომ „ბათუმში შესვლის შემდეგ თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა კრებამ დაადგინა მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსიაო... საქართველოს მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას“

(5.111). როდესაც მენშევიკური ხელისუფლებისათვის აშკარა გახდა მათი მიზანი, გადაწყვიტეს, რომ ბათუმი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი მაინც საქართველოსთვის შეენარჩუნებინათ, თუნდაც ბოლშევიკებისათვის. ამიტომ დაადგინეს ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით ბოლშევიკებთან გაემართათ მოლაპარაკება.

ბათუმში და საერთოდ აჭარაში დამკვიდრებისათვის თურქებმა კიდევ ერთ გზას მიმართეს. კერძოდ, იმ დროს ჩვენს რეგიონში არსებობდა 1919 წელს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მეტ-ნაკლები ლეგიტიმურობით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო – მეჯლისი. თუკი ეს მეჯლისი მხარს დაუჭერდა თურქებს, ეს გამოყენებული იქნებოდა როგორც რეგიონში კანონიერად დამკვიდრების ერთ-ერთი საბუთი. მეჯლისის თავმჯდომარე იყო მემედ აბაშიძე. მოგვიანებით, 1933 წელს მ. აბაშიძე თავის წერილში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის მიმართ წერდა: „1921 წელს, როდესაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა გზას უთმობდა ახალს, საბჭოთა ხელისუფლებას... ჩემთან როგორც მეჯლისის თავმჯდომარესთან, ბათუმში ანგორის მთავრობის დელეგაცია გამოცხადდა და წინადადება მომცა გადაგვესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოგვეტანა დადგენილება, რომ ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა ანგორის მთავრობას. აღნიშნული დელეგაცია წარმოდგენილი იყო ყარსში მყოფი მთავარსარდლის ქააზიმ ყარა-ბექირ ფაშას მიერ ანგორის მთავრობის დავალებით... მე შევკრიბე მეჯლისის იქ მყოფი წევრები: რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ქიქავა, ისქანდერ ცივაძე, ზია აბაშიძე, მემედ გოგიბერიძე და მეჯლისისა და გამანთავისუფლებელი კომიტეტის რწმუნებულები ჰაიდარ აბაშიძე და სულეიმან დიასამიძე... ამხანაგებმა მეჯლისის წევრებმა ჩემი აზრი გაიზიარეს... ვთხოვე შემობრძანება ანგორის დელეგაციისა. შემოვიდნენ, გაგვეცნეს და მოითხოვეს ბათუმის ოლქის ანგორის მთავრობაზე გადაცემა ბრესტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე... რომ ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დადგენილება ავტონომიურ საფუძველზე თურქეთთან შეერთებისა. დადგენილების გამოტანისთანავე თურქეთის მთავრობა შემოიყვანს აქ თავის რეგულარულ ნაწილებს... მე განვუმარტე მათ, რომ მეჯლისი არჩეულია ცხოვრებაში ავტონომიის გასატარებლად და მას არა აქვს უფლება თავისი ოლქი მეორე სახელმწიფოს გადასცეს... მათ დაჟინებით მოითხოვეს და ამტკიცეს, რომ მეჯლისს სწორედ ჰქონდა ამის უფლება... კამათმა გამწვავებული ხასიათი მიიღო და ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ზრდილობიანად თავი დავუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს... ანგორის დელეგაციის ცდა ამაო გამოდგა“ (9.388-390).

სწორედ იმ დროს გრძელდებოდა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 26 თებერვალს დაწყებული კონფერენცია. იგი დასრულდა 16 მარტს „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების“ დადებით. ამ ხელშეკრულებაში ჩვენი რეგიონიცაა მოხსენიებული. კერძოდ, გატარებულია სახელმწიფო საზღვარი, რომელიც დღესაც მოქმედებს. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ თურქეთი ქალაქ ბათუმს და „საზღვრიდან ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას“ (ე. ი. თანამედროვე აჭარას – ა. ჩ.) საქართველოს დაუთმობს, თუკი აქაურ მოსახლეობას მიეცემა ფართო ავტონომია. ეს საინტერესო მომენტია. ზოგი ინტერპრეტაციით, იმ დროს საქართველოში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული, ამიტომ რუსეთი საკუთარ თავს უფლებას აძლევდა გადაეწყვიტა საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიის შექმნის საკითხი. რეალურად კი, ოფიციალურად რუსეთი სხვა სახელმწიფო იყო, ხოლო ჩვენს ქვეყანას, ასევე ოფიციალურად საქართველოს რევულუციური კომიტეტი (რევკომი) მართავდა. ხელშეკრულებაშიც ეს არის ნაგულისხმევი, რომ საბჭოთა საქართველო ახალი დამოუკიდებელი სუბიექტია, ცხადია ბოლშევიკების, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი სუბიექტი. ამიტომ აღნიშნუალი ხელშეკრულებით რუსეთის ხელისუფლებას ევალებოდა გავლენა მოეხდინა

საქართველოზე ავტონომიის შექმნასთან დაკავშირებით (11, 12.18). ამასთან აღვნიშნავთ, რომ აჭარაში ავტონომიის შექმნა საქართველოში დღის წესრიგში ისედაც იდგა. ანგორის მთავრობა კი აგრძელებდა ჩვენი რეგიონის დაკავებას. ამით ისინი შეეცდებოდნენ, ჯერ კიდევ ბუნდოვან მომავალში ახალი რეალობის შექმნას, ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, თუნდაც საქართველოს ხელისუფლებასთან და ბათუმის ოლქის შენარჩუნებას. პოზიციის, პოლიტიკის შეცვლა ისტორიაში, იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგალითად, ანგორას მთავრობა, მისი მეთაური მუსტაფა ქემალი ანუ როგორც შეარქვეს ათა თურქი, ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თავდაპირველად კარგ, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთთან. იყენებდა მის შესაძლებლობებს ანტანტის წინააღმდეგ. მოსკოვშიც იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთი მათთან მეგობრულ პოლიტიკას გააგრძელებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. შემდეგ პერიოდში ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის შეიცვალა. აქ საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი. აღნიშნული 16 მარტის ხელშეკრულებით თურქებს დათქმულ ვადაში უნდა გაეყვანათ ჯარები ალექსანდროპოლიდან, მაგრამ არ გაჰყავდათ. მაშინ სერგო ორჯონიკიძემ შეაჩერა მოსკოვიდან თურქეთის დელეგაციის გამგზავრება, რომელთაც მიჰქონდათ დახმარება ფულის და საბრძოლო მასალის სახით. თურქებმაც სასწრაფოდ დატოვეს ალექსანდროპოლი (13). ასევე, მდგომარეობა შეიძლება შეცვლილიყო მოსკოვის ხელშეკრულების პირობებში საქართველოსთან დაკავშირებითაც და დაკავების შემთხვევაში თურქეთი ბათუმის ოლქს ადვილად არ (ან საერთოდ არ) შეელეოდა.

გარდა ამისა, 16 მარტის ხელშეკრულებით თურქეთმა უფლება მიიღო ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანზიტისა ბათუმის პორტიდან, გადასახადებისა და შეფერხების გარეშე (11). წინასწარ ვიტყვით, რომ ეს უფლება გამოყენებული არ ყოფილა.

1921 წლის 16 მარტისათვის ფაქტი გახდა, რომ წითელმა არმიამ დაამარცხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია. გადაწყდა მთავრობის საზღვარგარეთ წასვლა. იმ დროისათვის თურქეთის ჯარი ბათუმში იდგა. 17 მარტს წითელი XI არმიის მეთაურობამ საქართველოს მთავრობას ზავი შესთავაზა. ეს უკანასკნელი მოლაპარაკებას დათანხმდა. როგორც აღვნიშნეთ, მენშევიკები და ბოლშევიკები მზად იყვნენ მოლაპარაკებისათვის, რათა ბათუმის ოლქი დარჩენოდა საქართველოს. მოლაპარაკება გაიმართა ქუთაისში 17-18 მარტს. აქ რუსეთის მხრიდან მონაწილეობდნენ ა. ენუქიძე და ა. სვანიძე, საქართველოს მხრიდან – რევკომის წევრი მ. ორახელაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან – მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ლორთქიფანიძე (8.39).

17 მარტს წითელი XI არმიის პოლიტიკურმა კომისარმა ნ. ჟორდანიას ხელისუფლების წარმომადგენლებს განუცხადა: „თურქებს სურთ ბათუმი დაიკავონ, ჩვენ არ დავანებებთ, თუ ძალით მოგვინდომეს წართმევა, ვანანებთ“ (5.131).

17-18 მარტის ქუთაისის მოლაპარაკებამ შედეგები გამოიღო. კერძოდ, „მხარეები შეთახმდნენ: 1. მოხდეს დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა. 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. 3. სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდეს ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისგან... 4. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობისა და მისი მხედრობისადმი“ (იქვე, 137-138).

ქუთაისის მოლაპარაკების დამთავრებისთანავე, 18 მარტს, ღამით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმიდან გემებით ემიგრაციაში გაემგზავრა. თან წაიღეს დიდძალი მატერიალური სიმდიდრე.

1921 წლის მარტის შუა რიცხვებისათვის მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: თურქები, რომლებმაც დაიკავეს ბათუმის ოლქი, ცდილობდნენ ბურუსით მოცული მომავალი თავიანთ სასარგებლოდ შეეცვალათ, მათ მიზანს კი შეადგენდა 1878 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც წითელმა არმიამ დაამარცხა, მიხვდა, რომ ანგორის მთავრობა არ დაეხმარებოდა. ამიტომ ჟორდანიას ხელისუფლება ხელს უწყობდა წითელ არმიას, რათა აჭარა და სამცხე-ჯავახეთი შენარჩუნებოდა საქართველოს. ხოლო საქართველოში მყოფი წითელი არმია კი მოსკოვის მხარდაჭერით ცდილობდა ბათუმის ოლქის დაკავებას.

საბჭოთა ჯარების „ფრონტის სარდლობამ ბათუმის მიმართულებით შექმნა სპეციალური დამკვრელი ჯგუფი მე-18 საკავალერიო და 280-ე მსროლელი დივიზიის, მე-9 მსროლელი დივიზიის მეორე ბრიგადის და მე-18 მსროლელი დივიზიის 53-ე ბრიგადისაგან. ეს ჯგუფი... ბათუმისაკენ დაიძრა“ (10.699).

ემიგრაციაში გამგზავრებამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ახლა უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, ნოე ჟორდანიამ ბათუმში ხელისუფლება გადასცა ქალაქის თვითმმართველობას და ციხიდან პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლა, თითქმის 1000-მდე კაცი.

17-18 მარტს შეიქმნა ქ. ბათუმისა და მისი ოლქის დროებითი სამხედრ-რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) ს. ქავთარაძის, ს. გუბელის (მეძმარიშვილის), ი. სტურუას, მ. აბაშიძის, ი. პევცოვის და სხვ. შემადგენლობით. მოცემული დროისათვის ბათუმში ორხელისუფლიანობა დამყარდა. რევკომმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მალე მიიღებდა დამხმარე ძალებს, მოუწოდა სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებს მორჩილებისაკენ. თავის მხრივ, თურქების საოკუპაციო ნაწილის უფროსმა ქიაზიმ ბეიმ, რომლის განკარგულებაში იმყოფებოდა 5000-ზე მეტი სამხედრო, საკუთარი მთავრობისაგან კიდევ ითხოვა დამატებითი სამხედრო კონტინგენტი (8.41). მას ესმოდა, რომ ქართველებს მალე დამხმარე ძალა მოუვიდოდათ. ქიაზიმ ბეის თხოვნის საპასუხოდ თურქეთის აღმოსავლეთ ფრონტის სარდალმა ქიაზიმ ყარაბექირ ფაშამ თხოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რათა ბათუმში დამატებითი თურქული სამხედო ნაწილები შეეშვა. ამ თხოვნაზე მან უარი მიიღო (იქვე).

1921 წ. 17 მარტს ქიაზიმ ბეიმ საკუთარი თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა, ხოლო ბათუმის ოლქი, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები კი თურქეთზე მიერთებულად გამოაცხადა. მის ბრძანებაში ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობის ნებართვით ბათუმის ოლქი, ახალციხისა და ახალქალაქის ოკრუგები ოკუპირებულია ჩვენი ჯარების მიერ... ეს ოლქები დღევანდელი დღიდან ბრუნდება „დედა-სამშობლოს“ საზღვრებში და პოლიტიკური და ადმინისტრაციული დამოკიდებულებით ემორჩილება თურქეთის ეროვნულ მთავრობას“ (1.167).

თურქები საქმეზე გადავიდნენ. მათ ბათუმში დაიკავეს სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის ქალაქის გამაგრებული რაიონის ფორტები, ფოსტა-ტელეგრაფი, მილიციის სამმართველო, რადიოსადგური და სხვ. როგორც ვხედავთ, ბათუმი ფაქტიურად თურქების ხელში გადადიოდა. ახლა ქიაზიმ ბეიმ მოითხოვა ქართული ჯარის განიარაღება. აიკრძალა მოქალაქეთა შეკრებები, საღამოს 10 საათის შემდეგ ქუჩებში თავისუფალი გადაადგილება, თურქეთის მთავრობის და არმიის წინააღმდეგ გამოსვლა, საბრძოლო მასალის, ასევე ბენზინის შესახებ ცნობები მიწოდებული უნდა ყოფილიყო თურქების სამხედრო მეთაურებისათვის (8.42).

18 მარტს დილიდანვე თურქმა ჯარისკაცებმა დაიწყეს ქალაქის პატრულირება, ამასთან სროლა დაუწყეს რევკომის შენობას. რევკომმა საპასუხო შეიარაღებული დაპირისპირებისათვის შექმნა სამხედრო საბჭო შ. დადიანის, კ. საჯაიას და თ. ჟღენტის შემადგენლობით. სამხედრო საბჭომ ჩამოაყალიბა შეიარაღებული რაზმი. ამას შეუერთდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

არმიის ნაშთები ბათუმში და ისინი მოემზადნენ თურქებთან ბრძოლაში ჩასართველად. დილიდანვე ქართველმა სამხედროებმა დაიკავა რკინიგზის ვაგზალი და ქალაქის რიგი უბნები. დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც დღის განმავლობაში გაძლიერდა. იმავე დროს, ქართულმა მხარემ თურქებს სამჯერ ბრძოლის შეწყვეტა და დაზავება შესთავაზა, რაზედაც პასუხი არ მიუღიათ. სანაცვლოდ თურქები რევკომის შენობას უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ. იყვნენ დახოცილებიც, კერძოდ, თურქების მხრიდან ერთი ოფიცერი და ხუთი ჯარისკაცი, ქართველთა მხრიდან კი ექვსი ჯარისკაცი.

შუადღეზე ქართველთა რიგებში 850-მდე მეომარი იყო. უფრო ნაკლები ვიდრე თურქები, მაგრამ ისინი მედგრად იცავდნენ თავიანთ ქალაქსა და რეგიონს. თურქების საბოლოოდ განდევნისათვის აუცილებელი იყო ყველა ქართული ძალის გაერთიანება, ერთიანი ფრონტი. 18 მარტს გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა ბათუმის ოლქის შეიარაღებილი ძალების სარდლად და გენერალ-გუბერნატორად. მოადგილედ კი დაუნიშნეს გენერალი გრიგოლ სუმბათაშვილი (8.43-44).

* * *

გიორგი მაზნიაშვილი დაიბადა 1870 წელს. კარიერა შეიქმნა რუსეთის არმიაში. მიაღწია გენერლის წოდებას. თავის დროზე მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905 წწ.) ომში. დაიჭრა, მოხვდა ლაზარეთში. იქ რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II პირადად გადასცა წმინდა გიორგის ჯვარი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914-1918 წწ). 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში. მას არც ერთი ბრძოლა არ წაუგია საქართველოს ისტორიაში.

1918 წ. გაზაფხულზე თურქებმა ბათუმი დაიკავეს და გურიას შეუტიეს. გენერალმა გ. მაზნიაშვილმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ოსმალებს ჩოლოქთან ბრძოლაში.

1918 წ. იგი დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად. სადაც წარმატებით ებრძოდა შემოჭრილ დენიკინის არმიის სამხედრო ნაწილებს. იმავე წლის ნოემბერში საქართველო-სომხეთის ომის დროს მეთაურობდა შულავერის ფრონტს.

ახლა კი მას ბათუმისათვის ბრძოლისათვის უნდა ეხელმძღვანელა.

* * *

გ. მაზნიაშვილის მეთაურობით შემუშავდა საბრძოლო გეგმა. ქალაქის მიდამოები ორ უბნად გაიყო. ერთს გენერალი ვარდენ წულუკიძე მეთაურობდა, კერძოდ, ბათუმის ნაწილს, ბარცხანისა და კახაბრის ფორტებს. ხოლო ქალაქის მეორე ნაწილს, ასევე სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებს კი გენერალი დავით ართმელაძე ჩაუყენეს სათავეში.

იმავე დღეს, 18 მარტს, დღის მეორე ნახევარში ბათუმში საომარი მდგომარეობა უფრო დაიძაბა. სწორედ იმ დროს აღმოსავლეთიდან გოდერძის უღელტეხილზე მოადგა წითელი არმიის ნაწილები დ. ჟლობას მეთაურობით. ქიაზიმ-ბეი შეეცადა მათ შეჩერებას, მან ჟლობასთან თავისი წარმომადგენლები გაგზავნა. თურქები იყენებდნენ დეზინფორმაციის საშუალებებს. კერძოდ: ბათუმში რუსებს ხაფანგს უმზადებენ, ბათუმში ბოლშევიკებთან საბრძოლველად მზადაა ინგლის-საფრანგეთის ჯარი სამხედრო ფლოტთან ერთად, ასევე თითქოს 16 მარტის ხელშკრულებით ბათუმი ოსმალეთს ერგო და ამიტომ თურქეთის ჯარი აჭარაში დგას და ა. შ. როდესაც ხმებმა ჟლობას შტაბამდე მიაღწია წითელი არმია გოდერძის უღელტეხილთან შეჩერდა. იმავე დროს გასათვალისწინებელია, რომ დიდთოვლობა იყო. „ასეა თუ ისე, ჟლობამ წინსვლა შეაჩერა და სერგო ორჯონიკიძეს რევო-

ლუციური სამხედრო საბჭოს წევრს აცნობა, რომ დიდი თოვლის გამო ჯერჯერობით წინ ვერ წაიწიეს. სერგო ორჯონიკიძემ მაშინვე აპარატთან მოიხმო ცხენოსანთა არმიის სამხედრო კომისარი, რომელსაც უბრძანა ბრძანების შეუსრულებლობისათვის დაეპატიმრებინა ჟლობა და პირადად გაძღოლოდა არმიას წინ, ბათუმისაკენ. ეს ბრძანება ჟლობამაც მოისმინა. დაშინებული თვითონ წაუძღვა არმიას და უღელტეხილიც წარმატებით გადალახა“ (4.35). ოსმალები ორ ცეცხლში ჩავარდნენ. ისინი ფაქტიურად დამარცხდნენ. ტყვედ ჩავარდა 218 ასკერი. საღამოს დროებითი ზავი დაიდო, 24 საათით. თურქები მყისიერად შეეცადნენ ლაზი გლეხებისაგან ჩამოეყალიბებინათ შეიარაღებული რაზმი და გამოეყენებინათ ის თავიანთ სასარგებლოდ. ამის საშიშროება კი ნამდვილად იყო, რადგან იმ დროს „ლაზ გლეხთა ნაწილი მართლაც წამოეგო თურქი პროპაგანდისტების ანკესს და დეზინფორმაციის წყალობით მართლაც უჭერდა მხარს თურქეთს“ (იქვე.14). თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა და ლაზებმა ბრძოლაში არ მიიღეს მონაწილეობა (3.40).

წითელი XI არმიის საკავალერიო დივიზიის მეთაური დ. ჟლობა 19 მარტს ს. ორჯონიკიძეს წერდა: „ჩვენი სამხედრო ნაწილები ბათუმში შევიდნენ 1921 წ. 18 მარტს 17 საათსა და 18 წუთზე. ქედასთან და აჭარისწყალთან მიახლოებისას... ჩვენ გვხვდებოდნენ თავზარდაცემული ქემალისტები. ზოგი მათგანი დაჭრილი იყო... გამოირკვა რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, გაენადგურებიათ ოსმალები, რომლებიც ცდილობდნენ ქალაქის ხელში ჩაგდებას“ (1.172-173).

მიუხედავად უიმედო მდგომარეობისა, თურქებმა ბოლო ძალ-ღონე მოიკრიბეს და 19 მარტს დილით შეტევაზე გადმოვიდნენ. გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა კახაბრის ფორტთან. იქ თავი გამოიჩინეს ქართველმა არტილერისტებმა მაიორი პ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით. ასკერთა შეტევა წარმატებით იქნა მოგერიებული. გენერალი მაზნიაშვილის მოგონებების მიხედვით, იმ დღეს ოსმალებს მოუვიდათ დიდი ზარალი. კახაბრის ახლოს ღელეები სავსე იყო მოკლული ასკერთა გვამებით (2.207).

სამდღიანი (17-19 მარტის) ბრძოლების შედეგად ქართულმა არმიამ, რომელსაც ზურგს უმაგრებდა წითელი არმია, ბათუმსა და მის მიდამოებში მოიპოვა გამარჯვება თურქთა შეიარაღებულ ძალებზე. მაგრამ ასკერთა ნაშთებს ჯერ კიდევ ეკავათ ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფისა და მილიციის სამმართველოების შენობები. ქართული მხარისათვის მათი დაკავება პრობლემას აღარ წარმოადგენდა. ბრძოლისაგან დაუძლურებულ ასკერებს სამი დღე არაფერი ეჭამათ. 20 მარტს დილით 9 საათზე ქიაზიმ ბეის წარმომადგენელი მივიდა გ. მაზნიაშვილთან და აცნობა, რომ გადაწყვეტილი აქვთ ბათუმის დატოვება. მან ასკერებისთვის ითხოვა სამი დღის საგზალი პური. გ. მაზნიაშვილმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. მალე, 12 საათისთვის ბათუმი თავისუფალი იყო თურქი ჯარისკაცებისაგან (8.47).

ბათუმისათვის ბრძოლისას დაიღუპა და დაიჭრა ასობით თურქი სამხედრო, ხოლო ექვსასამდე ტყვედ ჩავარდა. ქართველთა ხელში აღმოჩნდა მოწინააღმდეგის შეიარაღება. რაც შეეხება ქართულ მხარეს, ბრძოლაში დაიღუპა 84 მეომარი.

ბრძოლების დამთავრებისთანავე, 20 მარტს ბათუმში ჩამოვიდა გასაბჭოებული საქართველოს საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ელიავა. მან ბრძანა დაღუპული ქართველი მეომრები დიდი ზეიმით დაეკრძალათ აზიზიეს (შემდეგ ლენინის, ახლა თავისუფლების მოედანზე). შესაბამისი ცერემონია გაიმართა 23 მარტს, მასში მონაწილეობდნენ როგორც სამხედროები, ისე სამოქალაქო საზოგადოება. 84 დაღუპულიდან აღნიშნულ მოედანზე დაკრძალეს 43. დანარჩენები თავიანთმა ახლობლებმა წაიყვანეს მიწას მისაბარებლად (2.209).

1921 წლის მარტის ბრძოლების შედეგად ბათუმი და აჭარა დარჩა საქართველოს შემადგენლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. М. И. Чавлеишвили, Октябрьская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии, Издателбство „Сабчота Аджара“, Батуми, 1987.

2. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი (1917-1923), ბათუმი, 1990.

3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი IV, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012.

4. ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.

5. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, კოოპერაციული გამომცემლობა „ივერთა მხარე“, 1991.

6. საქართველოს ისტორია, ტომი IV, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბილისი, 2012.

7. ვ. ლენინი, თხზულებანი ტ. 45, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.

8. ო. თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940), ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2012.

9. მემედ აბაშიძე, თხზულებანი, გამოსცა გურამ შარაძემ, თბილისი 1998.

10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.

11. ინტერნეტით, Московский договор между россией и турцией, 16 марта 1921 года.

12. ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

13. Московский договор (1921) – википедия.

ᲗᲘᲜᲐ ᲨᲘᲠᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲘᲜᲝ ᲗᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ

ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲭᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ

სარფი – ტკივილი,
სარფი – სიზმარი,
და გაფრთხილება
ჩვენი მარადი...
დავით თედორაძე

„სარფი, როგორც სოფელი და როგორც მეტაფორა, მხატვრული ლიტერატურის ყურადღების ფარგლებში მას შემდეგ მოექცა, რაც საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარმა ორად გაკვეთა სოფელი და საქართველოს სხეულიდან საუკუნეთა განმავლობაში ჩამოჭრილი ნაწილების, ხელოვნურად დადებული საზღვრების ერთ-ერთ სიმბოლოდ აქცია“ (ჩოხარაძე, თანდილავა, თავდგირიძე, 2015: 306). ისტორიის სიმუხთლით ორად გაყოფილი სოფელი სარფი პოეტ დავით თედორაძის (და რომელი ქართველის არა!) მოუშუშებელი საწუხარია. ისტორიის ბედუკუღმართობამ რკინის ფარდა ჩამოაფარა სოფელს, შუაზე გახლიჩა და გაღმა-გამოღმა დატოვა სისხლით და ხორცით ნათესავნი, ვეღარც ჭირს იზიარებდნენ და ვეღარც – ლხინს. დავით თედორაძის პირველი პოეტური ნაბიჯების და შემდეგ უკვე ლექსთა ორი კრებულის („ბეწვის ხიდი“ – 1977; „ორღანი უკრავს“ – 1980) ერთ-ერთი ტკივილიანი თემა სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება. კრებულში „ორღანი უკრავს“ ცალკე რუბრიკა – „ლაზიკა“ (გვ. 24-35) – ეძღვნება ყოველთა ქართველთა საწუხარს – ოდესღაც დიდი ლაზიკის ერთ-ერთ ფესვმაგარ და ხალხმრავალ სოფელ სარფს.

ლექსში „...დამესიზმრა...“ (თედორაძე, 1980: 27-28) ვეცნობით პოეტის ოცნებას ერთიან სოფელზე, რომლის ავბედითი საზღვარი პატარა ღელეა და რომელსაც ლაზმა მხატვარმა და პოეტმა ხასან ჰელიმიშმა „ორ ძმას შორის ცხარე ცრემლი“ უწოდა:

საზღვრის ღელეო, საზღვარი არ ხარ,
შენ ორ ძმას შორის ცრემლი ხარ ცხარე,
შენც ხომ ჩემსავით გულდამწვარი ხარ –
ასე უგულოდ ზღვას ჩამდინარე.
(ჰელიმიში, 2005: 50)

წინამორბედი პოეტის ლექსში გამოხატული უნდობარი რეალობისა და ამით გამოწვეული მწუხარების ნაცვლად, დავით თედორაძე ლექსში სანდომიან სიზმარს გვთავაზობს: ისტორიული ძნელბედობის ჟამს სოფლის გამყოფი და საზღვრად დასახული პატარა ღელე პოეტისეულ ზმანებაში ხევსურის ხმალია, გაღმა-გამოღმა სარფი კი – წაწლები, ერთმანეთისკენ რომ ილტვიან დღემუდამ:

დამესიზმრა: სარფის ღელე
ხმალი იყო ხევსურის
და წაწლობდა ორი სარფი –
ერთი სისხლის ერთგული.

სარფის სტუმარი პოეტი უდიდესი ტკივილით ეხმიანება სარფელ მეგობარს – გუბაზ ვანილიშს, რომელიც, თითქოსდა შესჩვევია ამ რეალობას, და ნატრობს, ღმერთმა ამ გამრუდებული ისტორიის არშეჩვევის გრძნობა მისცეს, რათა მუდამ გაისმოდეს ტკბილი, სულშიჩამწვდომი ლაზური „ნანა“, გმირ ვაჟკაცებს რომ უზრდიდა ძველთაგან კოლხებს:

...შეჩვეულხარ, გუბაზ ჩემო,
და მე მართობ ლეგენდებით...
ვატყობ, გულმა მიღალატა
და ჩემს გამჩენს ვევედრები,
არშეჩვევის გრძნობა მომცეს,
თუნდ სხვა ფიქრი გადაღობონ,
მე ვიმღერებ ლაზურ „ნანას“
ყრმათა ჩემთა სალაღობოდ.

აკი არც შეჩვეულა და გულგაგლეჯილი ლაზური სოფლის ტკივილი მრავალ ლექსში გააჟღერა. ლექსით „მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი“ (თედორაძე, 1980: 29) დავით თედორაძე გვიმხელს ქართველთათვის ამ უდიდესი საწუხარის მისეულ განცდას:

ძუძუმწოვარა ბავშვის სუნივით
მიზიდავს სარფი, გავცდი კვარიათს,
მთა მაღალია, როგორც დუმილი
და ვგრძნობ, ამ მიწის დიდი ვალი მაქვს.

მთებიდან ჩამონაჟური წყლის წვეთები პოეტის წარმოსახვაში ლაზი ასულის ცრემლებია, ლექსის ავტორის დარად რომ მოთქვამს ტკივილიან წარსულზე:

ალაგ მთებიდან წყალი მოწვეთავს,
წყალი თუ ცრემლი ლაზი ასულის,
დგას ისტორიის მოწმედ მთვარე და
ჩემს ნორჩ სხეულში ტირის წარსული.

სარფი – მძიმე წარსულის, შუაგახლეჩილი ქართული სულისა და სხეულის მწარე და შეურიგებელი რეალობა იმითაც არის საწუხარ-სავაგლახო, რომ აქ მოსული ტურისტისათვის საზღვარ გაღმა ტერიტორია „თათრეთია“:

აქ დღეში ცხრაჯერ მოდის ტურისტი,
ორი სამყარო სურს, რომ იხილოს,
გაღმა მხარეზე იტყვის – თათრეთი...
და მოგინდება, ისევ იტირო.

პოეტის დასკვნით, ქართველთა მოუნელებელ ტკივილთან ერთად, მარადი გაფრთხილებაა ჩვენთვის სარფი, ხოლო ლექსის ბოლო სტრიქონები – ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფლისეული განცდის გულწრფელი გამოხატვა:

სარფი – ტკივილი, სარფი – სიზმარი
და გაფრთხილება ჩვენი მარადი...
მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი
და სოფელივით დავპატარავდი.

საზღვრის ღელის გასწვრივ მავთულხლართებით და ხაკისფერი ღობით გაღმა-გამოღმა მცხოვრები ერთი სისხლისა და ხორცის მქონე ადამიანთა ასე უმოწყალოდ გათიშვა წლების განმავლობაში აქაურთა უდიდესი ტრაგედიაა. ორივე მხრიდან კარგად მოჩანს, რა უჭირთ, რა ულხინთ, თუმცა, ემოციების აშკარად გამოხატვა ეკრძალებათ. ლექსში „ტირილი იყო სარფში“ (თედორაძე, 1980: 30-31) პოეტი გულისტკივილით გვაცნობს, როგორ განიცდიან გაღმა-გამოღმა სოფლის მკვიდრნი ერთმანეთის გაჭირვებას... და ლექსად იკინძება უმძიმესი სურათი:

ხანდახან საქმე არ წაუვა
კაცს ხოლმე წაღმა,
ტირილი იყო გამოღმა და
ტიროდნენ გაღმაც.
შუა სოფელში ხაკისფერი
ღობე და ღობე,
ფორთოხლის ჩრდილში მოხუცები
სხედან და ბჭობენ.
ცხოვრობს სოფელი ადათებით
ძველით და ახლით,
დგას ჯარისკაცი მავთულხლართთან,
აქვეა ძაღლი...
(თედორაძე, 1999: 52)

მზის ჩასვლისას კი, როცა მიცვალებული, წესისამებრ, მიწას უნდა მიებაროს, გაღმელთა გულისტკივილი გაჰყვება:

მზემ სახეკეთილ დიაცივით
ზღვაში ჩაყვინთა...
გამოასვენეს და გამოჰყვა
გული გაღმიდან.
აქ კი მდუმარე, ხაკისფერი
ღობე და ღობე...

სასაფლაოზე მოხუცები
დგანან და ბჭობენ.

სარფის გულის მესაიდუმლე და ხშირი სტუმარი – პოეტი დავით თედორაძე ამ ისტორიული სოფლის ყოველი მონახულებისას დარდით და ტკივილით ივსება, „ყელგამომშრალი“ ბრუნდება უკან, – დღევანდელ საქართველოს ძველი ლაზიკის დიდებად ეს ნახევარსოფელიღა შერჩენია, რომელსაც ნაკრძალივით ესათუთება პოეტის ჩანგი, თუმცა, რაც უნდა უთხრას, მთავარი მაინც უთქმელი რჩება:

ყელგამომშრალი ვბრუნდები სარფით,
ცრემლის სიგრძეა ლაზთა სამანი,
დღეს როგორც ნაკრძალს, ვესათუთები
და ვერ ვუთხარი მაინც მთავარი...
(თედორაძე, 1980: 32)

ცნობილი ლაზი თვითნასწავლი მხატვრისა და პოეტის – ხასან ჰელიმიშის ცხედრის თბილისიდან სარფში გადმოსვენებისადმი მიძღვნილ ლექსში „დაბრუნება“ (თედორაძე, 1980: 33-34) დავით თედორაძემ მთელი სისავსით გადმოსცა დედინაცვლად ქცეულ წუთისოფელში ხელოვანის გატანჯული ცხოვრება. ქართულ ხალხურ ფილოსოფიაში სიკვდილის ტრადიციული, გაპიროვნებული წარმოდგენა და მისადმი სიცოცხლისმოყვარე ჩვენი ხალხის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ეპითეტები დ. თედორაძის ლექსში მისთვის ჩვეული ლაპიდარული და ღრმაშინაარსიანი შედარებით გამოიხატა:

ჩაფარივით ჩაუჯდა
ნათელმოსილ გზაზე
სიკვდილი.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ესოდენ პატივმიუგებელი, მუდმივად მარტვილი და ხიზანი ხელოვანის უდროო სიკვდილით გამოწვეული გარინდების, საერთო სახალხო წუხილისა და გულისტკივილის პოეტისეული აღქმა ბევრად აღემატება ხასან ჰელიმიშის ავტოპორტრეტს – საიდანაც ახალგაზრდა, იმედებით აღსავსე ლაზი ვაჟკაცი იმზირება:

ვერა, ვერ დახატავდა
ასეთ ავტოპორტრეტს!
სიჩუმე...
სული ცისკენ მიფრინავს,
არწივები კორტნიან,
იშუშებს...

ამ უაღრესად წუხილიან ლექსში დავით თედორაძე სვამს ძველსა და მარად ახალ ზოგადკაცობრიულ პრობლემას, რაც ძველთაგანვე წუთისოფლის თანმდევია და ვერა და ვერა, ვერც ეს წყევლაკრულვიანი პრობლემა გადაჭრა ადამის მოდგმამ – ცოცხალი ადამიანის მიმართ გულგრილობას ვიჩენთ, მიცვალებულს კი ვაღმერთებთ:

ვაგლახ, წუთისოფელო,
წარსულში და აქეთ
(კაცმა რომ თქვას, შემთხვევით)
ისევ ვებღაუჭებით
გულგრილობის საჭეს,
მოკვდება და ვემთხვევით.
ტირის მთელი სოფელი
და სველ საფლავს ავედრებს
(ნეტავი, მეც მენახა)
უზენაეს თამადის
ძვლის, ხორცის და ხავერდის
შენახვას.

დავით თედორაძის პირველივე პოეტურ კრებულში – „ბეწვის ხიდი“, პროჟექტორთა შუქით ნახაზი უაღრესად შთამბეჭდავი ღამეული სურათია დახატული ლექსით „...წიფლნარში გატყდა...“ (თედორაძე, 1977: 23). მართალია, აქ საზღვრისპირა სოფლის – სარფის დასახელება არსად არის, მაგრამ მკითხველი ადვილად ხვდება, სად გახაზა პროჟექტორის შუქმა ცა და სად შეიძლება დადგეს ლაზური ღამე, რასაც აგრერიგად ნატრობს პოეტი:

წიფლნარში გატყდა ხმელი ხის ტოტი,
გაიფაჩუნა ბნელში რაღაცამ;
მიყუჩდა ხევში ავი ხმა ჭოტის,
ცა პროჟექტორის შუქმა დახაზა.
ნეტავი, იყო შენ მხოლოდ ჩემი
ერთადერთი და სათნო ასული,
დაგიხატავდი დღეს ამგვარ სურათს
და გვექნებოდა ღამე ლაზური.

დავით თედორაძის შემოქმედებაში სარფის, ლაზეთის თემა იმთავითვე ტკბილ-მწარე განცდებთან, ჩვენი ქვეყნის უმძიმესი ისტორიის ფურცლებთან არის დაკავშირებული; ეს, ბუნებრივია, ყოველთვის ახსოვდათ და ახსოვთ ლაზებს, უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ ჭაბუკობიდანვე მათი მშობლიური სოფლის უბადლო ტრუბადურის მიმართ, ვისი სტრიქონების მოსმენაც გულს მალამოდ ეფინება. ერთ-ერთი ასეთი სურათია დახატული დავით თედორაძის ლექსში „...გაიცინა ლაზმა...“ (თედორაძე, 1980: 35):

...ამშვენებდათ ცრემლები
ქალწულებს და დედებს.
ერთმა მანდილოსანმა
ჩამოიღო ფანდური,
ლაზიკაზე იმღერა
სევდიანი ქართულით.
აგვაცრემლა და უცებ
მოსჭრა ლხინის თარგზე:

– კიდევ ერთი ლექსი
დაწერეთო სარფზე!

გვჯერა, კიდევაც დაწერს პოეტი გულშიჩამწვდომ ლექსებს სარფზე, ლაზებზე, ლაზიკაზე, გარდასულ დროთა დიდებაზეც და იქნებ ღმერთმაც ინებოს, გამთლიანდეს მთელი ჩვენი ქვეყანა და შუაგაყოფილი სოფლის სევდაც ისტორიას ჩაბარდეს...

ბიბლიოგრაფია:

1. თედორაძე, 1977 – დავით თედორაძე, „ბეწვის ხიდი“, ბათუმი;
2. თედორაძე, 1980 – დავით თედორაძე, „ორღანი უკრავს“, ბათუმი;
3. თედორაძე, 1999 – დავით თედორაძე, „ერთტომეული“, ბათუმი;
4. ჩოხარაძე, თანდილავა, თავდგირიძე, „სარფი მხატვრულ ლიტერატურაში“ – კოლექტიურ მონოგრაფიაში „სარფი“, ბათუმი;
5. ჰელიმიში, 2005 – ხასან ჰელიმიში, „ლექსები“, ბათუმი.

ჯოროხი 2

2023

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2023
malkhaz.pagava@gmail.com